# ტრადიციული მრავალხმიანობის მეშვიდე საერთაშორისო სიმპოზიუმი

22-26 სექტემბერი 2014 თბილისი, საქართველო

# The Seventh International Symposium on Traditional Polyphony

22-26 SEPTEMBER 2014 TBILISI, GEORGIA

სიმპოზიუმი ტარდება საქართველოს პრეზიდენტის
გიორგი მარგველაშვილის პატრონატით

სიმპოზიუმს ფინანსურად უზრუნველყოფს საქართველოს კულტურისა
და ძეგლთა დაცვის სამინისტრო

სიმპოზიუმის ორგანიზატორები:

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია
ქართული ხალხური სიმღერის საერთაშორისო ცენტრი
ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი

**THE SYMPOSIUM IS HELD UNDER THE PATRONAGE OF GIORGI MARGVELASHVILI,
PRESIDENT OF GEORGIA**

**BY THE FINANCIAL SUPPORT OF THE MINISTRY OF CULTURE AND MONUMENTS PROTECTION
OF GEORGIA**

**ORGANIZERS OF THE SYMPOSIUM:**

**VANO SARAJISHVILI TBILISI STATE CONSERVATOIRE
THE INTERNATIONAL CENTRE FOR GEORGIAN FOLK SONG
THE FOLKLORE STATE CENTRE OF GEORGIA**



## გიორგი მარგველაშვილი

საქართველოს პრეზიდენტი

ტრადიციული მრავალხმიანობის საერთაშორისო სიმპოზიუმი ჩვენი კულტურული ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მოვლენაა. მოხარული ვარ, რომ იგი თანდათან უფრო მასშტაბური ხდება. მადლობას ვუხდი მის ორგანიზატორებს და პატივისცემას გამოვხატავ სიმპოზიუმის ქართველი თუ უცხოელი მონაწილეების მიმართ.
მრავალხმიანი სიმღერა ქართული კულტურის სავიზიტო ბარათია. ამავე დროს, იგი კაცობრიობის უდიდესი კულტურული მონაპოვარი, ცივილიზაციის საუნჯის ფასდაუდებელი მარგალიტია. მისი ძალა არა მხოლოდ მის ხანდაზმულობასა და ჰარმონიის სილამაზეშია. ქართულ პოლიფონიაში განსახიერებულია ადამიანის ყველაზე დიდი ღირსებები: თითოეული ინდივიდის თავისუფლება და უნიკალურობა და, ამავე დროს, პატივისცემა განსხვავებულისადმი, სოლიდარულობა და ჰარმონიული თანაცხოვრებისთვის ერთობლივი შრომის ნიჭი.
ხალხური მუსიკის ეს საერთაშორისო დღესასწაული კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს დღეს, როდესაც დასავლეთთან ინტეგრაციის პროცესმა შეუქცევადი ხასიათი მიიღო.
როგორც პატრიარქმა ბრძანა – ,,ჩვენ, როგორც არასდროს, ვუახლოვდებით ევროპის კულტურას, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ საქართველოსთვის ეს არის არა მარტო დიდი პატივი, არამედ – დიდი პასუხისმგებლობა. საქართველომ უნდა აჩვენოს ევროპას და მთელ მსოფლიოს ჩვენი უძველესი კულტურა, ჩვენი საგალობლები, ჩვენი სიმღერა, ჩვენი წარსული“.
ამიტომ არის, რომ ღრმად გვწამს: დასავლური ცივილიზაციის ბუნებრივ გარემოში დაბრუნება არა მხოლოდ საქართველოს წინსვლისა და ძლიერებისათვის არის საჭირო. ჩვენი უნიკალური კულტურისა და ტრადიციების სათანდოდ დაფასება კიდევ უფრო გაამდიდრებს და მიმზიდველს გახდის განსხვავებულთა ერთიანობის მსოფლიო კულტურას.
წარმატებებს გისურვებთ თითოეულ თქვენგანს, წარმატებას ვუსურვებ იმ დიდ საქმეს, რომელსაც ყველა ერთად ემსახურებით.

## GIORGI MARGVELASHVILI

PRESIDENT OF GEORGIA

International Symposium on Traditional Polyphony is one of the most important events of our cultural life. I am delighted that it acquires broader scale. Let me thank the organizers of the Symposium and express my respect to its Georgian and foreign participants.
Polyphonic song is the visit card of Georgian culture. At the same time it is the greatest achievement of the mankind, invaluable gem of the civilization. Its power is not only in its antiquity and beauty of harmony. Georgian polyphony embodies most significant human virtues: freedom and uniqueness of each individual, and, at the same time, respect to the different, solidarity and talent of joint work for harmonious co-existence.
This international festival of traditional music acquires more significance today when the process of integration with the West has become irreversible.
As the Patriarch of All-Georgia said: “We, as never before, are approaching European culture, but we should remember, that this is not only great honor, but great responsibility as well. Georgia should show its ancient culture, chants, songs, past to Europe and the entire world”.
This is why we believe that the return to the natural environment of Western civilization is necessary not only for Georgia’s advance and might; proper appreciation of our unique culture and traditions will enrich the world cultural unity of the different and make it more attractive.
I wish success to each of you and the great job you carry out together.



## მიხეილ გიორგაძე

საქართველოს კულტურისა
და ძეგლთა დაცვის
მინისტრი

ხალხური მრავალხმიანობა ქართული კულტურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მონაპოვარია და მისი მხარდაჭერა ქვეყნის პოლიტიკის მთავარ პრიორიტეტთაგანია.
მით უფრო, რომ ეს არ არის ლოკალური მოვლენა, იგი იუნესკოს მიერაა აღიარებული, როგორც „კაცობრიობის ზეპირი და ხელთუქმნელი არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შედევრი“ და მის მიმართ, როგორც ამას სიმპოზიუმების ისტორიაც ადასტურებს, დიდ ინტერესს იჩენენ არა მარტო ქართველი, არამედ მსოფლიოს გამოჩენილი ეთნომუსიკოლოგებიც.
ჩვენი კულტურა ყოველთვის ევროპულ ღირებულებებზე იყო ორიენტირებული. ამას მოწმობს ტრადიციული მრავალხმიანი სიმღერა-გალობაც, რომლის პოლიფონიური ბუნება სამყაროს მრავალ ფერად ირეკლავს და თავად სამყაროს მრავალფეროვნებასაც გამოხატავს. ევროპის მსგავსად, ამ მრავალფეროვნების შენარჩუნებისკენ ვისწრაფვით ჩვენც და სწორედ ამას ემსახურება თქვენი სიმპოზიუმიც, რომელზეც წარმოდგენილი იქნება არა მარტო ქართული, არამედ მსოფლიოს ხალხების მრავალხმიანობა.
გისურვებთ ნაყოფიერ და წარმატებულ მუშაობას!

## MIKHEIL GIORGADZE

MINISTER OF CULTURE AND
MONUMENTS PROTECTION

Georgian folk polyphony is one of the most significant achievements of Georgian culture and its support is one of the principal priorities of the country's policy.
Moreover, it is not a local phenomenon; UNESCO proclaimed it a Masterpiece of the Oral and Intangible Heritage of Humanity, and it has become the focus of interest of Georgian and World-renowned scholars.
Our culture has always been oriented towards European values to this testifies traditional multipart songs and chants; their polyphonic nature is a multi-colour reflection of the universe and also the expression of its diversity. Like Europe we also strive to safeguard this diversity, this is the aim of our symposium, where presented will be not only Georgian polyphony, but that of other peoples.
I wish you fruitful and successful work!





## რეზო კიკნაძე
თბილისის
ვანო სარაჯიშვილის
სახელობის სახელმწიფო
კონსერვატორიის რექტორი

კონსერვატორიის რექტორის ამპლუაში უკვე მეორედ მაქვს პატივი, სიხარულით მივესალმო ეთნომუსიკოლოგიურ „ნადიმს“, ტრადიციული მრავალხმიანობის საერთაშორისო სიმპოზიუმად რომ იცნობენ მთელს მსოფლიოში და წელს მეშვიდედ რომ ელის რჩეულ ეთნომუსიკოლოგებს. საქართველო წელს კვლავ მოგვევლინება ტრადიციული მრავალხმიანობის იმ გრავიტაციულ ცენტრად, რომელიც მრავალმხრივაა მნიშვნელოვანი: ქართული ტრადიციული მუსიკის კვლევით, მისი მექანიზმების წვდომით მსოფლიო მუსიკალურ და მუსიკოლოგიურ კონტექსტში, მუსიკალურ კულტურათა მრავალმხრივი სპექტრის, მართლაც რომ ზღვა საკვლევი მასალის ინტენსიური სამეცნიერო ურთიერთგაცვლითა და გაზიარებით, „სადაგ“ დროსაც რომ გამუდმებით მიმდინარეობს, მაგრამ ამგვარ შეკრებებზე განსაკუთრებული ინტენსივობით განიცდება და გაიაზრება როგორც მონაწილეთა, ისე დამსწრე საზოგადოების მიერ.
მიხარია, რომ კონსერვატორია მასპინძლობს ამ თავის წიაღში დაარსებულ საზოგადოებრივ და „საქვეყნო“, მართლაც რომ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სამეცნიერო და კულტურულ მოვლენას, ორივე მხრივ: სამეცნიერო ნაწილს დაუვიწყარი კონცერტების სერია ახლავს და კონფერენციაზე შეკრებილ სწავლულთა კვლევის საგანი – ტრადიციული მრავალხმიანობა – მთელი თავისი ბრწყინვალებით წარდგება ადგილობრივთა და უცხოელთა შესრულებით.



## RESO KIKNADZE
RECTOR OF VANO SARAJISHVILI TBILISI
STATE CONSERVATOIRE

As the Rector of the Conservatoire, I am honored for the second time to greet the ethnomusicological "feast", worldwide known as International Symposium on Traditional Polyphony, the one that hosts world renowned ethnomusicologists for the seventh time. Georgia will again become the gravitational centre for traditional polyphony, which is interesting from many standpoints: research of Georgian traditional music, understanding its mechanisms in world musical and musicological context, diverse spectrum of musical cultures, intensive scientific interchange and sharing of immense research material.
It is delighting that the Conservatoire is hosting one of the most significant scientific and cultural events, both social and "national", generated within its walls; the scientific part is accompanied by the series of unforgettable concerts; the topic of the gathering – traditional polyphony will be presented in all its brilliance as performed by the locals and guests.
This process permanently continues usually, but is particularly felt and interpreted both by participants and the audience at such gatherings.

ფოტო: ლ. ხერხეულიძე / Photo: L. Kherkheulidze
*ცხელი შოკოლადის არქივიდან* / From the archive of *Tskheli Shokoladi*



## ანზორ ერქომაიშვილი

ქართული ხალხური
სიმღერის საერთაშორისო
ცენტრის პრეზიდენტი

მივესალმები მრავალხმიანობის მეშვიდე საერთაშორისო სიმპოზიუმის მონაწილეებს, სტუმრებს და ორგანიზატორებს და მსურს განსაკუთრებული მადლიერება გამოვხატო ქართული ხალხური მუსიკის დამფასებლების, კერძოდ, თბილისში შეკრებილი მეცნიერების, შემსრულებლებისა და მსმენელების მიმართ.
ათასწლეულების მანძილზე, ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე, მუდმივად თავდაცვისა და თვითმყოფადობის შენარჩუნებისთვის მებრძოლმა ჩვენმა წინაპრებმა არა მხოლოდ შექმნეს უნიკალური მუსიკალური კულტურა, არამედ ჩვენამდეც მოიტანეს იგი. ამიერიდან, ყოველი ჩვენგანის მოვალეობა მისი შენარჩუნება, განვითარება და მომავალი თაობებისთვის გადაცემაა.
მიმაჩნია, რომ სიმპოზიუმის როლი და დანიშნულება ამ ეროვნულ საქმეში არსებითი და მნიშვნელოვანია.
ვიმედოვნებ, რომ სიმპოზიუმი ტრადიციულად მაღალ დონეზე ჩაივლის და მისი მონაწილენი მათთვის საინტერესო ბევრ აღმოჩენას გააკეთებენ, როგორც მეცნიერების, ისე ხალხური შემსრულებლობის სფეროში.



## ANZOR ERKOMAISHVILI

PRESIDENT OF THE
INTERNATIONAL CENTRE FOR GEORGIAN
FOLK SONG

I would like to greet the participants of the 7th International Symposium on Traditional Polyphony, and express my delight with the fact that the admirers of traditional music – scholars, performers, and simply listeners are gathering in Tbilisi again.
Our ancestors, continuously defending their originality during millennia on the crossroads of civilizations, not only created unique musical culture, but transmitted it to us. From now on each of us is responsible to preserve, develop and transmit it to future generations.
I believe that the role and purpose of the Symposium is essential and is of national significance.
Hope that the symposium will be a successful and exciting event, of which all of the participants will have indelible memories.



## რუსუდან წურწუმია

თბილისის სახელმწიფო
კონსერვატორიის
ტრადიციული
მრავალხმიანობის
კვლევის საერთაშორისო
ცენტრის დირექტორი

კიდევ ერთი სიმპოზიუმი იწყება. . . 12 წელი ცოტა არაა და მინდა განსაკუთრებით დიდი მადლობა გადავუხადო იმ მეცნიერებს, რომლებიც 2002 წლიდან მუდმივად მონაწილეობდნენ ჩვენს სიმპოზიუმებში და ახლა გარკვეული გარემოებების გამო ვერ ახერხებენ ჩამოსვლას. დიტერ ქრისტენსენი და ფრანც ფოიდერმაირი ჩვენი მეგობრები არიან და მათმა თანადგომამ დიდი როლი შეასრულა თბილისის სიმპოზიუმების პრესტიჟის ამაღლებასა და სამეცნიერო დონის სტაბილურობაში. ასევე მივესალმები პროფესორ იზალი ზემცოვსკის, რომელიც აგერ უკვე 30 წელზე მეტია ქართული მუსიკალური კულტურის დიდი მოამაგეა და თავისი ნაშრომებით დიდად დაგვეხმარა, უკეთ გაგვეგო საზოგადოდ მრავალხმიანობისა და, კერძოდ, ქართული მრავალხმიანობის ბუნება. . .
როგორ შეიძლება მადლიერების გრძნობა არ გამოვხატოთ სიმჰა არომისა და პოლო ვალეჰოს მიმართ, რომლებიც უკვე რვა წელია იკვლევენ ქართულ ტრადიციულ მუსიკას, ან ჰუგო ზემპის მიმართ, რომელიც ქართულ მუსიკალურ კულტურაზე შესანიშნავი ფილმების ავტორია. წელს, წინა სიმპოზიუმების მსგავსად, კვლავ გვსტუმრობენ პროფ. დაივა რაჩიუნაიტე-ვიჩინიენე, სუზან ციგლერი და ქეროლაინ ბითელი, რომლებიც მრავალი წელია გამოხატავენ თავიანთ განსაკუთრებულ დამოკიდებულებას საქართველოს მიმართ.
სულ უფრო იზრდება ჩვენი მეგობრების რიცხვი – კაე ჰისაოკა, ახალგაზრდა მკვლევარი, რომელმაც ჩვენს ცენტრში ქართული ტრადიციული მუსიკის მოკლე კურსი გაიარა და ტაივანელი პროფ. იუ-სიუ ლუ, რომელიც პირველად 2010 წელს გვსტუმრობდა, წელს კი თავის მოწაფეებთან და ტაივანელ მომღერლებთან ერთად ჩამოდის, რომ მსოფლიოს მეცნიერთა წარმომადგენლობით ფორუმზე უნიკალური აბორიგენული მუსიკა წარმოადგინოს.
წლევანდელ სიმპოზიუმს ძველთან ერთად ბევრი ახალი მონაწილე ჰყავს. ვიმედოვნებ, ისინიც დიდხანს ვერ დაივიწყებენ აქ გატარებულ დღეებს და მომავალშიც არაერთხელ გვეწვევიან.



## RUSUDAN TSURTSUMIA

DIRECTOR OF THE INTERNATIONAL
RESEARCH CENTER FOR
TRADITIONAL POLYPHONY
OF TBILISI STATE CONSERVATOIRE

Another symposium is starting…. 12 years is not a short time and I would like to particularly thank the scholars, who permanently participated in our symposia from 2002 and cannot join us this time due to various circumstances. Dieter Christensen and Franz Foedermayr are our friends, their assistance significantly contributed to the increase of the significance of Tbilisi symposia and stability of its scientific level. I welcome Prof. Izaly Zemtsovsky, who has been a beneficent of Georgian music for more than 30 years, helping us with his works to better understand the nature of polyphony in general and of Georgian polyphony, in particular…
I can't help expressing gratitude to Simha Arom and Polo Vallejo, who have been researching Georgian chord syntax for already eight years, and on whose initiative, at the 2012 symposium, we organized the Round Table session dedicated to the modality of Georgian and European polyphony; as well as to Hugo Zemp, who is the author of the brilliant filmes about Georgian musical culture. This time, like before, among the guests are Prof. Daiva Rachiunaite-Vichiniene, Susanne Ziegler and Caroline Bithel, whose particular attitude to Georgia we have felt during the years.
The number of our friends is increasing – Yang researcher Kae Hisaoka from Japan, former student of the Center's short course in Georgian Traditional Music and Prof. Yu-hsiu Lu from Taiwan, who first visited us in 2010 and this time is visiting together with her students and singers to present unique aboriginal music at this representative Forum of world-renowned scholars.
This year the Symposium has many new participants. I hope they will not forget the days spent here and will visit us many more times in the future.



## გიორგი დონაძე
საქართველოს ფოლკლორის
სახელმწიფო ცენტრი

სასიხარულოა, რომ საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი VII საერთაშორისო სიმპოზიუმის ოფიციალური პარტნიორი გახდა და პირველად ჩაერთო მისი საკონცერტო პროგრამების ორგანიზებაში.
მე, როგორც შემსრულებელი და ლოტბარი, ანსამბლ ბასიანთან ერთად დიდი ხანია ვთანამშრომლობ სიმპოზიუმში მონაწილე უცხოელ მეცნიერებთან – პროფესორებთან – სიმჰა არომსა და პოლო ვალეჰოსთან, რომლებიც ანსამბლ ბასიანთან ერთად თითქმის ათი წელია მუშაობენ ქართული მრავალხმიანობის საკითხებზე და, რომელთა ინიციატივითაც, ბოლო წლებში ქართული ტრადიციული მუსიკის არაერთი კონცერტი გაიმართა საზღვარგარეთ. მინდა მადლიერება გამოვხატო მათ მიმართ.
ჩვენმა ცენტრმა თავის თავზე აიღო მეტად საპატიო მისია – ჩამოიყვანოს მომღერლები საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, რათა სიმპოზიუმის სტუმარ მეცნიერებს საშუალება მიეცეთ გაეცნონ ქართული სიმღერა-გალობის შემსრულებლობაში მიმდინარე პროცესებს. ვიმედოვნებთ, ეს აისახება როგორც ქართველი, ისე უცხოელი მკვლევრების ნაშრომებზე.
ქართული მრავალხმიანი სიმღერა-გალობის უდიდეს გამარჯვებად მიმაჩნია მსოფლიოში აღიარებულ ეთნომუსიკოლოგთა ასეთი დიდი ინტერესი თბილისის სიმპოზიუმისადმი.
გულითადად მივესალმები სიმპოზიუმის მონაწილეებს და წარმატებას ვუსურვებ მუშაობაში.



## GIORGI DONADZE
EXECUTIVE DIRECTOR
OF THE STATE FOLKLORE
CENTRE OF GEORGIA

I am delighted, that the State Folklore Centre of Georgia is the official partner of the 7th International Symposium on Traditional Polyphony and is, for the first time, involved in the organization of the Symposium concert programs.
As a performer and choir director together with ensemble Basiani I have cooperated with foreign scholars – participants of the symposium for a long time – Prof. Simha Arom and Prof. Polo Vallejo have worked with ensemble Basiani on the issues of harmony of Georgian polyphony for almost 10 years, on their initiative, a number of concerts of Georgian traditional music was held abroad in the past years. I would like to take the opportunity and express my deep gratitude to them.
Our Centre has a honorary mission _ to bring folk singers from Georgia's various regions for the participation in the Symposium concerts, thus enabling the guest scholars to watch, listen and compare the processes going on in Georgian song and chant performance. I hope, on its part, this will be reflected in the works of both Georgian and foreign researchers.
I think that such interest of world-renowned researchers to Tbilisi symposia is a great victory of Georgian multipart song and chant.
I cordially welcome the Symposium participants and wish them success.

## სიმპოზიუმის საორგანიზაციო კომიტეტი

**საორგანიზაციო კომიტეტის თანათავმჯდომარეები:**

მიხეილ გიორგაძე, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი

რეზო კიკნაძე, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი

ანზორ ერქომაიშვილი, ქართული ხალხური სიმღერის საერთაშორისო ცენტრის პრეზიდენტი

**საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, სამეცნიერო პროგრამის ხელმძღვანელი:**

რუსუდან წურწუმია, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის დირექტორი

**სიმპოზიუმის საზღვარგარეთული ბიუროსა და სამეცნიერო პროგრამის ხელმძღვანელი:**

იოსებ ჟორდანია (მელბურნი, ავსტრალია)

**საკონცერტო პროგრამის ხელმძღვანელი:**

გიორგი დონაძე, საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დირექტორი

**საორგანიზაციო ბიურო:**

მაია კაჭკაჭიშვილი, მაკა ხარძიანი, ნინო რაზმაძე, თეონა ლომსაძე

**პრეს-სამსახური:**

ირაკლი ევსტაფიშვილი, ნანა კაცია

**სამუშაო ჯგუფი:**

მანანა გაბარაშვილი, ნანა გოდერიძე, გიორგი დოროყაშვილი, შორენა მეტრეველი, არჩილ ნიქაცაძე, მარიამ ქამუშაძე, გიორგი ხუციშვილი, ილია ჯღარკავა, სოფო კოტრიკაძე

## SYMPOSIUM ORGANIZING COMMITTEE

**CO-CHAIR PERSONS OF THE ORGANIZING COMMITTEE:**

MIKHEIL GIORGADZE, Minister of Culture and Monuments Protection of Georgia

RESO KIKNADZE, Rector of Tbilisi State Conservatoire

ANZOR ERKOMAISHVILI, President of the International Centre for Georgian Folk Song

**DEPUTY CHAIR OF THE ORGANIZING COMMITTEE, HEAD OF THE SCIENTIFIC PROGRAM:** RUSUDAN TSURTSUMIA, Director of the International Research Center for Traditional Polyphony of the Tbilisi State Conservatoire

**HEAD OF THE FOREIGN BUREAU OF THE SYMPOSIUM AND THE SCIENTIFIC PROGRAM:** JOSEPH JORDANIA (Melburne/Australia)

**HEAD OF THE CONCERT PROGRAM:** GIORGI DONADZE, Executive Director of the State Folklore Centre of Georgia

**ORGANIZING BUREAU:** MAIA KACHKACHISHVILI, MAKA KHARDZIANI, NINO RAZMADZE, TEONA LOMSADZE

**PRESS SERVICE:** IRAKLI EVSTAPISHVILI, NANA KATSIA

**WORK GROUP**: MANANA GABARASHVILI, NANA GODERIDZE, GIORGI DOROKASHVILI, SHORENA METREVELI, ARCHIL NIKATSADZE, MARIAM KAMUSHADZE, GIORGI KHUTSISHVILI, ILIA JGHARKAVA, SOPO KOTRIKADZE

## პროგრამა

| | | |
|---|---|---|
| 22 სექტემბერი, ორშაბათი | სამეცნიერო სესია | 10:00-14:00<br>კონსერვატორიის საკონფერენციო დარბაზი |
| | პრესკონფერენცია | 17:00<br>კონსერვატორიის დიდი დარბაზის ფოიე |
| | სიმპოზიუმის გახსნა და ფოლკლორული კონცერტი | 18:00<br>კონსერვატორიის დიდი დარბაზი |
| 23 სექტემბერი, სამშაბათი | სამეცნიერო სესია | 09:30-17:00<br>კონსერვატორიის საკონფერენციო დარბაზი |
| | ფოლკლორული კონცერტები | 13:00-15:00<br>კონსერვატორიის მცირე დარბაზი |
| | | 20:00<br>კონსერვატორიის დიდი დარბაზი |
| 24 სექტემბერი, ოთხშაბათი | სამეცნიერო სესია | 09:30-17:00<br>კონსერვატორიის საკონფერენციო დარბაზი |
| | ფოლკლორული კონცერტი | 13:00-15:00<br>კონსერვატორიის მცირე დარბაზი |
| | ფილმების ჩვენება | 19:30<br>კონსერვატორიის მცირე დარბაზი |
| 25 სექტემბერი, ხუთშაბათი | კულტურული პროგრამა უცხოელი მეცნიერებისათვის | 08:00-19:00 |
| | ფოლკლორული კონცერტი | 13:00-15:00<br>კონსერვატორიის მცირე დარბაზი |
| | ლატვიის სახელმწიფო გუნდი და ანსამბლი *დიდგორი* | 20:00<br>კონსერვატორიის დიდი დარბაზი |
| 26 სექტემბერი, პარასკევი | სამეცნიერო სესია და მრგვალი მაგიდა<br>დასკვნითი სესია | 09:30-17:30<br>კონსერვატორიის საკონფერენციო დარბაზი |
| | ფოლკლორული კონცერტი | 13:00-15:00<br>კონსერვატორიის მცირე დარბაზი |
| | სიმპოზიუმის დახურვა გალა კონცერტი | 19:30<br>კონსერვატორიის დიდი დარბაზი |

# PROGRAM

| | | |
|---|---|---|
| 22 SEPTEMBER, MONDAY | SCIENTIFIC SESSION | 10:00-14:00<br>CONFERENCE HALL OF THE CONSERVATOIRE |
| | PRESS CONFERENCE | 17:00<br>FOYER OF THE GRAND HALL<br>OF THE CONSERVATOIRE |
| | OPENING OF THE SYMPOSIUM AND FOLK CONCERT | 18:00<br>GRAND HALL OF THE CONSERVATOIRE |
| 23 SEPTEMBER, TUESDAY | SCIENTIFIC SESSION | 09:30-17:00<br>CONFERENCE HALL OF THE CONSERVATOIRE |
| | FOLK CONCERTS | 13:00-15:00<br>RECITAL HALL OF THE CONSERVATOIRE |
| | | 20:00<br>GRAND HALL OF THE CONSERVATOIRE |
| 24 SEPTEMBER, WEDNESDAY | SCIENTIFIC SESSION | 09:30-17:00<br>CONFERENCE HALL OF THE CONSERVATOIRE |
| | FOLK CONCERT | 13:00-15:00<br>RECITAL HALL OF THE CONSERVATOIRE |
| | DEMONSTRATION OF THE FILMS | 19:30<br>RECITAL HALL OF THE CONSERVATOIRE |
| 25 SEPTEMBER, THURSDAY | CULTURAL PROGRAM FOR THE VISITING SCHOLARS | 08:00-19:00 |
| | FOLK CONCERT | 13:00-15:00<br>RECITAL HALL OF THE CONSERVATOIRE |
| | STATE CHOIR *LATVIJA* AND ENSEMBLE *DIDGORI* | 20:00<br>GRAND HALL OF THE CONSERVATOIRE |
| 26 SEPTEMBER, FRIDAY | SCIENTIFIC SESSION AND ROUND TABLE<br>FINAL SESSION | 09:30-17:30<br>CONFERENCE HALL OF THE CONSERVATOIRE |
| | FOLK CONCERT | 13:00-15:00<br>RECITAL HALL OF THE CONSERVATOIRE |
| | CLOSING OF THE SYMPOSIUM GALA CONCERT | 19:30<br>GRAND HALL OF THE CONSERVATOIRE |

## მონაწილეები

| | |
|---|---|
| **ავსტრალია/საქართველო** | იოსებ ჟორდანია |
| | ნინო ციციშვილი |
| **ავსტრია/საქართველო** | ნონა ლომიძე |
| **აზერბაიჯანი** | სანუბარ ბაგიროვა |
| **აშშ** | ბრუნო ნეტლი |
| **აშშ/რუსეთი** | იზალი ზემცოვსკი |
| **აშშ/რუსეთი/ყაზახეთი** | ალმა კუნანბაევა |
| **გერმანია** | ეკეჰარდ პისტრიკი |
| | ბიორნ რაინჰარდტი |
| | სუზან ციგლერი |
| **დანია** | კრისტერ ირგენს-მოლერი |
| **დიდი ბრიტანეთი** | ქეროლაინ ბითელი |
| **ესპანეთი** | პოლო ვალეჰო |
| **თურქეთი** | აბდულა აკატი |
| **იაპონია** | კაე ჰისაოკა |
| **იტალია** | რენატო მორელი |
| **ლიტვა** | დაივა რაჩიუნაიტე-ვიჩინიენე |
| **პოლონეთი** | ანა პიოტროვსკა |
| **საფრანგეთი** | სიმჰა არომი |
| | ჰუგო ზემპი |
| **საქართველო** | გია ბაღაშვილი |
| | თამაზ გაბისონია |
| | ნათია დეკანოსიძე |
| | მალხაზ ერქვანიძე |
| | ლევან ვეშაპიძე |
| | ნინო კალანდაძე-მახარაძე |
| | ოთარ კაპანაძე |
| | მარინა კვიჟინაძე |
| | სოფო კოტრიკაძე |
| | გიორგი კრავეიშვილი |
| | თეონა ლომსაძე |
| | ნინო ნაკაშიძე |
| | ნინო ნანეიშვილი |
| | ნინო რაზმაძე |
| | მაგდა სუხიაშვილი |
| | ნინო ფირცხალავა |
| | ზაალ წერეთელი |
| | სვიმონ ჯანგულაშვილი |
| **სერბეთი** | გორდანა ბლაგოევიჩი |
| **ხორვატია** | ტერეზია კუკროვი |
| **ჩინეთი, ტაივანი** | კაო შუ-ჩაო |
| | ლუ იუ-სიუ |
| | ბი იქსინი |

## PARTICIPANTS

| | |
|---|---|
| **AUSTRALIA/GEORGIA** | JOSEPH JORDANIA |
| | NINO TSITSISHVILI |
| **AUSTRIA/GEORGIA** | NONA LOMIDZE |
| **AZERBAIJAN** | SANUBAR BAGHIROVA |
| **CHINA, TAIWAN** | KAO SHU-CHUAN |
| | BI YIXIN |
| | LU YU-HSIU |
| **CROATIA** | TEREZIJA CUKROV |
| **DENMARK** | CHRISTER IRGENS-MØLLER |
| **FRANCE** | SIMHA AR0M |
| | HUGO ZEMP |
| **GEORGIA** | GIA BAGHASHVILI |
| | NATIA DEKANOSIDZE |
| | MALKHAZ ERKVANIDZE |
| | TAMAZ GABISONIA |
| | SVIMON JANGULASHVILI |
| | NINO KALANDADZE-MAKHARADZE |
| | OTAR KAPANADZE |
| | MARINA KVIZHINADZE |
| | SOPO KOTRIKADZE |
| | GIORGI KRAVEISHVILI |
| | TEONA LOMSADZE |
| | NINO NAKASHIDZE |
| | NINO NANEISHVILI |
| | NINO PIRTSKHALAVA |
| | NINO RAZMADZE |
| | MAGDA SUKHIASHVILI |
| | ZAAL TSERETELI |
| | LEVAN VESHAPIDZE |
| **GERMANY** | ECKEHARD PISTRICK |
| | BJÖRN REINHARDT |
| | SUSANNE ZIEGLER |
| **GREAT BRITAIN** | CAROLINE BITHEL |
| **ITALY** | RENATO MORELLI |
| **JAPAN** | KAE HISAOKA |
| **LITHUANIA** | DAIVA RAČIŪNAITĖ-VIČINIENĖ |
| **POLAND** | ANNA PIOTROWSKA |
| **SERBIA** | GORDANA BLAGOEVIC |
| **SPAIN** | POLO VALLEJO |
| **TURKEY** | ABDULLAH AKAT |
| **USA** | BRUNO NETTL |
| **USA/RUSSIA** | IZALY ZEMTSOVSKY |
| **USA/RUSSIA/KAZAKHSTAN** | ALMA KUNANBAEVA |



## აბდულა აკატი

თურქეთი

ასოცირებული პროფესორი, ეთნომუსიკოლოგიის დოქტორი. სადოქტორო დისერტაცია მუსიკოლოგიასა და მუსიკის თეორიაში დაიცვა სტამბულის ტექნიკური უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ინსტიტუტში 2010 წელს. 2013 წელს იყო ბერლინის ფონოგრამარქივის მკვლევარი თურქეთის სამეცნიერო და ტექნოლოგიური კვლევების საბჭოს მხარდაჭერით. მონაწილეობა აქვს მიღებული საველე ექსპედიციებში, კვლევით პროექტებსა და პრეზენტაციებში. მისი ინტერესის სფეროა თურქეთის შავი ზღვის აუზის, კავკასიური მუსიკალური კულტურა და ყირიმელი თათრების მუსიკა. 2011 წლიდან არის ყარადენიზის მუსიკალური არქივის (KARMA) დირექტორი; ყარადენიზის ტექნიკური უნივერსიტეტისა და ტრაბზონის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკოლოგიის კათედრის გამგე.

### თურქეთის შავიზღვისპირეთის საკრავიერი მრავალხმიანობა

*ქამანჩა* და *თულუმი* ყველაზე ცნობილი საკრავებია თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში. *ქამანჩა* არის სამსიმიანი ვიოლინო, ხოლო *თულუმი* – ორლეriანი პატარა გუდასტვირი. ამ რეგიონის მოსახლეობისთვის ორივე დღესაც ძალიან მნიშვნელოვანი და პოპულარული ხალხური საკრავია.

ნაშრომის მიზანია, გამოავლინოს ამ ინსტრუმენტების განსაკუთრებული თვისებები მრავალხმიანობის კონტექსტში და პასუხი გასცეს შეკითხვას ამ რეგიონში მრავალხმიანობის არსებობის შესახებ. ასევე, ლაპარაკია ბოლოდროინდელ ცვლილებებზე ამ საკრავების სტრუქტურასა და მათზე დაკვრის ტექნიკაში.

## ABDULLAH AKAT

TURKEY

Associate Professor, Dr., ethnomusicologist, completed his PhD in Musicology and Music Theory at the Istanbul Technical University Social Sciences Institute in 2010. He worked as a Post-Doc Researcher in Berlin Phonogramm-Archiv in 2013, with the support of the Scientific and Technological Research Council of Turkey. Fieldworks, publications, research projects and presentations interested in the Turkey-Black Sea, Caucasian music culture and the music of the Crimean Tatars. He fulfills the duties of Director of the Karadeniz Music Archive (KARMA) project from 2011 to present, Head of Musicology Department at the Karadeniz Technical University State Conservatory in Trabzon, Turkey.

### INSTRUMENTAL POLYPHONIC FOLK MUSIC IN THE EASTERN BLACK SEA REGION OF TURKEY

*Kemenche* and *tulum* are notable polyphonic instruments on the Black Sea coast, in the North-East of Turkey. *Kemenche* is a three-stringed fiddle and *tulum* is a small bagpipe with two reeds. Both of them were and still are the most important and most played folk musical instruments among the people of this region.

The paper aims to indicate particular characteristics of these instruments with regard to polyphony and to find reasonable answers on the existence of polyphony in this region. It also introduces new information about recent changes in the structures and playing techniques of both instruments and their effects on instrumental polyphony.

Keywords: Instrumental polyphonic music, Black Sea, Turkey, *Kemenche*, *Tulum*.

## სიმჰა არომი
საფრანგეთი



სორბონის უნივერსიტეტის დოქტორი, სამეცნიერო კვლევის ეროვნული ცენტრის (CNRS) საპატიო სამეცნიერო დირექტორი, ამავე ცენტრის ლაბორატორიის ზეპირი ტრადიცია – *ენები და ცივილიზაციები* (LACITO) ეთნომუსიკოლოგიის განყოფილების გამგე. ცენტრალურ აფრიკაში ხანგრძლივი მუშაობისას შეიმუშავა ინტერაქტიული ჩაწერის მეთოდები, რომლებიც ზეპირი ტრადიციის ნებისმიერი მრავალხმიანი მუსიკის ტრანსკრიფციისა და ანალიზის საშუალებას იძლევა. ამ ნაშრომისათვის იგი დაჯილდოვდა სამეცნიერო კვლევის ეროვნული ცენტრის ვერცხლის მედლით. გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე წიგნი, მრავალი სამეცნიერო სტატია, ოცდაათამდე ჩანაწერი და ფილმი. ამათგან, სამმა ფირფიტამ მიიღო ჩარლზ კროს აკადემიის *დისკების საერთაშორისო გრან პრი.* მისი წიგნი *აფრიკული მრავალხმიანობა და პოლირიტმია,* რომელიც გამოსცა კემბრიჯის უნივერსიტეტის გამომცემლობამ, 1992 წელს აღინიშნა პრესტიჟული ჯილდოთი *ASCAP Deems Taylor Award*. 2011 წელს მსოფლიო ეთნომუსიკოლოგიაში შეტანილი წვლილისთვის მიენიჭა ფუმიო კოიცუმის პრემია.

### გელათის მონასტრის ჩასართავები, სადიდებლები და საგალობლები: ფორმები, კილოები, ჰარმონიული ორგანიზაცია
(პოლო ვალეჰოს თანაავტორობით)

გელათის მონასტრის ლიტურგიკული საგალობლების უდიდესი მემკვიდრეობიდან ჩვენ შევარჩიეთ დაახლოებით ასი ნიმუში (ვგულისხმობთ საგალობელს ან საგალობლის ვარიანტს). ესენია ჩასართავები, სადიდებლები და საგალობლები. თითოეული ნიმუში გავაანალიზეთ სიღრმისეულად შემდეგი პარამეტრების გამოყენებით: ფორმა; კილოური ორგანიზაცია; მათი ჩარჩოს აკორდიკა.
პირველი ორი ტიპის (ჩასართავებისა და სადიდებლების) ყველა ვარიანტი ერთსა და იმავე კილოშია და შეიცავს მსგავს მუსიკალურ მასალას, ანუ თითოეული ტიპის სხვადასხვა ვარიანტი ერთმანეთის ვარიანტებია, ხოლო საგალობლებში კილოები და მუსიკალური მასალა იცვლება რვახმის სისტემის ხმების მიხედვით.
სამივე ტიპის ჰარმონიული ორგანიზაცია ერთსა და იმავე პრინციპს ემორჩილება: სტაბილური აკორდების არეალი მათი შესაძლო ცვლილების არეალთან მონაცვლეობს. ავტორებს ეს ნაშრომი ქართველი კოლეგების სამსჯავროზე გამოაქვთ და მათი გამოხმაურების იმედი აქვთ.

## SIMHA AROM
FRANCE

Docteur d'Etat from the Sorbonne University (Paris) is currently Emeritus Director of Research at the French National Center for Scientific Research (C.N.R.S.) and Head of the Department of Ethnomusicology of the Laboratory *Oral Tradition – Languages and Civilizations* (LACITO) of the C.N.R.S.; During his long work in Central Africa, developed interactive recording methods allowing the transcription and analysis of any oral polyphonic music. For this achievement, was awarded the Silver Medal of the C.N.R.S., has published several books, numerous scientific papers, and some thirty records and films. Three of his records have won the *Grand Prix International du Disque of the Academie Charles Cros*, and his book African Polyphony and Polyrhythm, published by the Cambridge University Press, was awarded the prestigious *ASCAP Deems Taylor Award* in 1992. Was awarded Fumio Koitsumi prize for the contribution to the world ethnomusicology in 2011.

### REFRAINS, EXALTATIONS AND HYMNS OF THE GELATI MONASTERY: FORMS, MODES, HARMONIC ORGANIZATION
(Co-author **Polo Vallejo**)

From the vast heritage of liturgical chants of the Gelati Monastery, authors selected about one hundred *items* (this term is used to refer to a chant or a *version of a chant*) which are representative of three types: *Refrains*, *Exaltations*, and *Hymns*.
Each item underwent in-depth analysis with the use of the following parameters: Form; Modal organization; The chords which constitute their framework.
All versions of the first two types (the *Refrains* and *Exaltations*) are in the same mode and have similar musical material, i.e. various versions of each type are variants of each other, whereas in Hymns, the modes and the musical material vary according to different *tones*.
In all three types, the harmonic organization follows the same principle: areas in which the chords are stable alternate with those in which they can fluctuate. This work will be submitted for the reactions of our Georgian colleagues and authors hope to receive feedback from them.



## სანუბარ ბაგიროვა
აზერბაიჯანი

აზერბაიჯანული ტრადიციული მუსიკის მკვლევარი. არის იუნესკოს არამატერიალური მემკვიდრეობის სიაში შეტანილი სამი ნომინაციის – *აზერბაიჯანული მუღამი* (2003), *აზერბაიჯანელი აშიყების ხელოვნება* (2009), *აზერბაიჯანული თარი* (2012) ავტორი. ავტორია წიგნებისა *აზერბაიჯანული მუღამი* (2007, ბაქო, ორ ტომად), *აზერბაიჯანის მუსიკა და მუსიკოსები* (2011,ბაქო). არის აზერბაიჯანული მუსიკის ათობით კომპაქტური დისკის ავტორი, მათ შორის ისეთი გარმორჩეული გამოცემებისა, როგორიცაა აზერბაიჯანი: *აშიყების ანთოლოგია* (2 დისკი, ინედიტ, საფრანგეთი, 2008), *აზერბაიჯანელი აშიყების კლასიკური მემკვიდრეობა* (12 დისკი, ბაქო, 2010), *აზერბაიჯანული ტრადიციული მუსიკა* (7 დისკი, ფელმეი რექორდს, იტალია, 2011-2013), *აზერბაიჯანული მუღამი* (სონგლაინზ, დიდი ბრიტანეთი, 2013), დოკუმენტური ფილმი *მუსიკასთან შეზრდა: აზერბაიჯანი* (SOAS, დიდი ბრიტანეთი, 2013) და აზერბაიჯანულ მუსიკაზე ბიბისის *რადიო 3*-ის გადაცემების კონსულტანტი. არის იუნესკოს ექსპერტი, ტრადიციული მუსიკის საერთაშორისო საბჭოს (ICTM) წევრი და კოორდინატორი.

### აზერბაიჯანული მუღამის პოლიფონიური პრინციპები

*მუღამს* ტრადიციულად განიხილავენ, როგორც მონოდიის ნაირსახეობას, თუმცა მის საერო ფორმებში ფართოდ გამოიყენება სხვადასხვა კონტრაპუნქტული ტექნიკა. ძირითადად – ბურდონი, რომელიც მელოდიის ვერტიკალს ქმნის. უფრო რთული ტექნიკა წარმოდგენილია *ზერბი მუღამში*, სადაც რიტმული ოსტინატო და ინსტრუმენტული ტუტი თავისუფალი მეტრისა და სოლო ვოკალის ხაზის კონტრასტს ქმნიან. *მუღამის* ანსამბლი არ არსებობს *თარისა* და *ქამანჩას* გარეშე (ანსამბლში ასევე შედის *გავალი*, მაგრამ მუღამის რეპერტუარში იგი გამოიყენება მხოლოდ მეტრული ნიმუშებისთვის). მე-20 საუკუნის,განსაკუთრებით 1940-იან-1980-იანი წლების მუსიკალურ პრაქტიკაში, *ქამანჩა*, ჩვეულებრივ, იმეორებდა *თარის* პარტიას კანონისა და იმიტაციის ტექნიკის გამოყენებით, ხოლო *თარს* მიჰყავდა დიალოგი მომღერალთან. დღეს, ზოგიერთ შემსრულებელს შემოაქვს *მუღამის* ანსამბლის თითოეული წევრის როლის ახლებური ხედვა.

## SANUBAR BAGHIROVA
AZERBAIJAN

Specializes in research and promotion of the traditional music of Azerbaijan. She is the author of three UNESCO nominations – on *Azerbaijani Mugham* (2003), on the art of *Azerbaijani Ashiqs* (2009), and on *Azerbaijani Tar* (2012), inscribed in the UNESCO List of intangible cultural heritage, is the author of *Azerbaijani Mugham* (2007, Baku, in two volumes), *Azerbaijani Music and Musicians* (2011, Baku). Has released dozens of CDs on Azerbaijani traditional music including important editions such as *Azerbaijan: Anthology of Ashiq* (2 CD, INEDIT, France, 2008), Classical Heritage of Azerbaijani *Ashiqs* (12 CD, Baku, 2010), *Traditional Music of Azerbaijan* (7 CD, Felmay Records, Italy, 2011-2013), *Mugham of Azerbaijan* (Songlines, UK, 2013), a documentary film *Growing into Music: Azerbaijan* (SOAS, UK, 2013), consulted a number of the BBC *Radio 3* World Routes programs on Azerbaijani music. Baghirova is a UNESCO expert, a member and liaison officer of the ICTM.

### ABOUT POLYPHONIC PRINCIPLES IN AZERBAIJANI *MUGHAM*

*Mugham* is traditionally viewed as a variety of monody. However, in the secular forms of *Mugham* various contrapuntal techniques are widely used. The basic one is the drone tone constituting the vertical to the melody. More complex technique is presented in *Zerbi Mugham* where rhythmic ostinato and instrumental tutti make contrast to the line of free metrics and vocal solo.
The *Mugham* ensemble cannot do without *tar* and *kemancha* (*gaval* is also inclusive in this ensemble being used only for metrical pieces of the *Mugham* repertoire). In the musical practice of the 20th century, especially in the 1940s-1980s, *kemancha* normally repeated musical part of tar using the techniques of canon and imitation while tar led its dialogue with the singer.
Nowadays, some performers bring new vision to the roles of each member of *Mugham* ensemble.



## გია ბაღაშვილი
საქართველო

ფოლკლორისტი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი. საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (2000). დაამთავრა თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკისმცოდნეობის ფაკულტეტი ფოლკლორისტის სპეციალობით (1994). იყო შემოქმედებითი გაერთიანება *ლომისის* მუსიკალური ხელმძღვანელი (1995-2005), 2005 წლიდან დღემდე მისი გენერალური დირექ-ტორია. 1995 წლიდან ეწევა აქტიურ სამეცნიერო საქმიანობას. 2001-2006 წ.წ. ხელმძღვანელობდა ე. თაყაიშვილის სახელობის თბილისის კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოლკლორის კომპლექსური კვლევის ლაბორატორიას. 2005 წელს დაიცვა დისერტაცია თემაზე: *ქართული მუსიკალური ფოლკლორის ესთეტიკის სათავეებთან.* სხვადასხვა დროს კითხულობდა ლექციებს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში, თბილისის კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და თბილი-სის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში. გამოქვეყნებული აქვს სამეც-ნიერო შრომები, მათ შორის, ხალხური მუსიკის ესთეტიკასა და მეთოდოლოგიაზე. მონაწილეობს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში. არის შემეცნებითი ხასიათის საავტორო, სატელევიზიო და რადიოპროექტების ავტორი.

### ქართული მუსიკალური აზროვნების კიდევ ერთი გარდამტეხი პერიოდის შესახებ

ქართული მუსიკალური აზროვნების გარდამტეხ პერიოდად სამართლიანად არის მიჩ-ნეული ჩვენში ქრისტიანული რელიგიის შემოსვლა და დამკვიდრება (ე. ჭოხონელიძე). ნაშრომში ჩამოყალიბებულია მოსაზრება კიდევ ერთი გარდამტეხი პერიოდის არ-სებობის შესახებ, რომელიც ქრისტიანობამდე მაგიური აზროვნებიდან რელიგიურ აზროვნებაზე გადასვლას უნდა უკავშირდებოდეს. ამ მნიშვნელოვან მსოფლმხედ-ველობრივ ცვლილებას უნდა მოჰყოლოდა კილო-ინტონაციური ცვლილებები; იმ დროის მუსიკის პოლიფუნქციური ბუნების გათვალისწინებით, უნდა გაჩენილიყო ახალი მუსიკალურ-სემანტიკური ფორმულები.
აქტიურ მუსიკალურ პრაქტიკაში შემორჩენილ ქართულ მასალაზე დაყრდნობით გამოთქმულია ვარაუდი, რომ *ვედრების, ღაღადის* მუსიკალურ-სემანტიკური პლასტის წარმოშობა სწორედ მაგიურიდან რელიგიურ აზროვნებაზე „დიად გადასვლას“ (ჯ. ფრეზერი) უნდა მოჰყოლოდა.

## GIA BAGHASHVILI
GEORGIA

Folklorist, Doctor of Arts. Laureate of the State Prize of Georgia (2000). Graduated from the Department of Musicology (speciality of folklor-istics) of V. Sarajishvili Tbilisi State Conservatoire (1994). Musical director at *Lomisi* Artistic Union (1995-2005); Director General – from 2005 to this day. Has led scholarly activity since 1995. Headed the Laboratory for the Complex Study of Folklore at E. Taqaishvili Tbilisi State Institute of Culture in 2001-2006. Defended the dissertation: *At the Sources of Georgian Musical Folklore* in 2005. At various times delivered lectures at Tbilisi State Conservatoire, Tbilisi State Institute of Culture and Tbilisi State Institute of Theater and Film. Is the author of a number of scholarly works, includ-ing those on the problems of methodology and aesthetics of folk music. Takes part in International Scientific Conferences and Symposia. Is the author of cognitive television and radio projects.

### ON ANOTHER TURNING-POINT IN GEORGIAN MUSICAL THINKING

Introduction and adoption of Christianity in Georgia is justly considered as a turning point in Georgian musical thinking (E. Chokhonelidze).
The paper presents the consideration on the exis-tence of another turning point, possibly linked with the transition from magical to religious thinking in pre-Christian period. This significant change of the world outlook may have been followed by mode-intonational changes; with the consideration of the polyphonic music of the time, new musical-semantic formulas might have appeared.
The supposition, that "great transition" (J. Frazer) from magical to religious thinking may have been followed by the possible origin of the musical-semantic layer of *entreaty, appeal,* is uttered basing on the surviving Georgian material.



## ქეროლაინ ბითელი
დიდი ბრიტანეთი

ოქსფორდის უნივერსიტეტის ხელოვნების მაგისტრი, უელსის უნივერსიტეტის ფილოსოფიის დოქტორი. ეთნომუსიკოლოგიის უფროსი მასწავლებელი (მანჩესტერის უნივერსიტეტი). მისი კვლევის სფეროა მრავალხმიანი სიმღერა ზეპირ ტრადიციებში, ფოლკლორის აღორძინება, მსოფლიო მუსიკის პოლიტიკა და ესთეტიკა, თემების მუსიკა და კრიტიკული ნარკვევები საექსპედიციო საკითხებსა და ეთნოგრაფიაზე. სქეაქროუ პრესმა გამოსცა მისი ნაშრომი სიმღერით მოტანილი: *კორსიკული ხმები ზეპირი ტრადიციიდან მსოფლიო სცენაზე* (2007). მისი ახალი მონოგრაფია, *სხვა ხმა, სხვა სიმღერა: თემის გამოსწორება ბუნებრივი ხმითა და მსოფლიო სიმღერით* 2014 წელს გამოსცა ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობამ. არის *ოქსფორდის მუსიკის აღორძინების ცნობარის* თანარედაქტორი (2014). ამჟამად მისი კვლევის სფეროა ქართული მრავალხმიანობა და მისი საერთაშორისო კავშირები, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა და კულტურული ტურიზმი.

### პოლიფონია როგორც საშუალება და ტროპი: როგორ „მუშაობს“ პოლიფონია 21-ე საუკუნეში

მოხსენებაში მოცემულია პოლიფონიური სიმღერის, როგორც სოციალური და ინტერკულტურული საქმიანობის, სოციალური კაპიტალის შექმნის საშუალებისა და ახალი სუბიექტივიზმების კვლევის სფერო. ახალ წიგნში *სხვა ხმა, სხვა სიმღერა* მოყვანილ არგუმენტებზე დაყრდნობითა და, განსაკუთრებით, „სხვა“ კულტურების მომღერლების დამოწმებით, განხილულია მონათესავე საკითხები, მათ შორის მონაწილეობის პოლიტიკა, შესრულების ტრანსფორმაციული პოტენციალი, ავთენტიკურობისა და იდენტობის საკითხები. ამ პროცესში ავტორი დიალოგში შედის ეთნომუსიკოლოგიის, სოციალური ანთროპოლოგიის, პოლიტიკური მეცნიერებისა და კულტურული თეორიის ბოლოდროინდელ თეორიულ ნაშრომებთან,მუსიკის,როგორც ფართო მოხმარების საგნის, რაც ჩვეულებრივ მსოფლიო მუსიკალურ ინდუსტრიასთან ასოცირდება, ალტერნატივის უზრუნველსაყოფად. იმედია, ეს მიდგომა ნათელს მოჰფენს იმას, თუ რა დავკარგეთ ან შევიძინეთ 21-ე საუკუნეში პოლიფონიური ლანდშაფტის ცვლილების გამო.

## CAROLINE BITHELL
GREAT BRITAIN

(MA Oxford, PhD Wales) is Senior Lecturer in Ethnomusicology at the University of Manchester, UK. Her research interests include polyphonic singing in oral traditions, folk revivals, the politics and aesthetics of world music, community music, and critical issues in fieldwork and ethnography. Her book *Transported by Song: Corsican Voices from Oral Tradition to World Stage* was published by Scarecrow Press (2007). Her new monograph, *A Different Voice, A Different Song: Reclaiming Community Through the Natural Voice and World Song*, is published by Oxford University Press (2014). She is also co-editor of *The Oxford Handbook of Music Revival* (2014). Her current research focuses on Georgian polyphony and its international connections, intangible cultural heritage, and cultural tourism.

### POLYPHONY AS TOOL AND TROPE: THEORISING THE "WORK" OF POLYPHONY IN THE 21ST CENTURY

The paper offers a theoretical analysis of polyphonic singing as a form of social and intercultural engagement a tool for building social capital, and a site for exploring new subjectivities. Building on arguments presented in my new book, *A Different Voice, A Different Song*, and with particular reference to those who sing songs from "other" cultures, author considers a set of related issues, including the politics of participation, the transformative potential of performance, and questions of authenticity and identity. In the process, she enters into dialogue with recent theoretical work in ethnomusicology, social anthropology, political science and cultural theory. In providing alternatives to the trope of music as commodity that is more usually associated with the world music industry, this approach will hopefully shed a different kind of light on questions about what is lost or gained in the changing polyphonic landscape of the 21st century.



## გორდანა ბლაგოევიჩი
სერბეთი

ბელგრადში დაამთავრა ფილოსოფიის ფაკულტეტი ეთნოლოგიისა და ანთროპოლოგიის განხრით (1999), აქვე დაიცვა მაგისტრისა (2002) და ფილოსოფიის დოქტორის (2007) დისერტაციები. 2003 წლიდან მუშაობდა ბელგრადში სერბეთის მეცნიერებათა აკადემიის ეთნოგრაფიის ინსტიტუტში. 2013 წლიდან არის უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი. 2003-2004 აკადემიურ წლებში იყო *ალექსანდრე ს. ონასისის ფონდის* სტიპენდიანტი. 2006 წელს დაამთავრა ათენის საეპისკოპოსო სკოლა ბიზანტიური მუსიკის *ზუდოჰუ პიგი* სპეციალობით პროფესორ კონსტანტინე ანგელიდისის კლასი. ამჟამად ათენის ეროვნული და კაპოდისტრიის უნივერსიტეტის მუსიკოლოგიის კათედრაზე მუშაობს მეორე სადოქტორო დისერტაციაზე. არის სერბეთის ეთნოლოგიური და ანთროპოლოგიური საზოგადოებისა და სერბეთის მუსიკოლოგიური საზოგადოების წევრი. მონაწილეობა აქვს მიღებული რამდენიმე საერთაშორისო კონფერენციაში. არის სამი მონოგრაფიისა და მრავალი სამეცნიერო სტატიის ავტორი, როგორც სერბეთში, ისე საზღვარგარეთ. მისი კვლევის სფეროა მულტიკულტურალიზმი, ეთნიკური იდენტობა, საწესო და რელიგიური პრაქტიკები, კულტურული კონტაქტები, ეთნიკური უმცირესობები, ცეკვისა და მუსიკის ანთროპოლოგია.

### მრავალხმიანი სასულიერო მუსიკა, როგორც ეროვნული და რელიგიური უმცირესობების სიმბოლო: სლოვაკები სერბეთში

ნაშრომის თემაა სერბეთში სლოვაკი უმცირესობის სასულიერო მუსიკა. სლოვაკების მიგრაცია ჩრდილოეთ სერბეთში მე-18 საუკუნის შუა ხანებში დაიწყო. სლოვაკეთში მცხოვრები სლოვაკები, ძირითადად, კათოლიკები არიან, ხოლო სერბეთში მცხოვრები მათი თანამემამულეები – ლუთერანები, ანუ აუგსბურგის კონფესიის სლოვაკეთის ევანგელისტური ეკლესიის მრევლი, ასევე არსებობენ ნეო-პროტესტანტული თემები. სლოვაკებმა თან მოიტანეს თავიანთი განსაკუთრებული სასულიერო და მატერიალური კულტურა, რაც მათ ადგილობრივი მოსახლეობისგან განასხვავებდა. დღევანდელ სერბეთში პროტესტანტი სლოვაკები ორმაგი – ეროვნული და რელიგიური უმცირესობის მაგალითია. ნაშრომში შესწავლილია სლოვაკური ევანგელისტური ეკლესიის პოლიფონიური გალობის როლი სლოვაკების ეთნიკური და რელიგიური იდენტობის გადარჩენაში. ამ რეგიონის რელიგიურად აქტიურმა და მგალობელმა სლოვაკებმა შეინარჩუნეს თავანთი ენა და ეთნიკური იდენტობა. ნაშრომში საუბარია შესაძლო ინტერ-კულტურული და მუსიკალური გავლენის შესახებ მეზობელ ეთნიკურ ჯგუფებსა და სერბულ უმრავლესობაზე.

## GORDANA BLAGOJEVIĆ
SERBIA

Graduated from the Department of Ethnology and Anthropology of the Faculty of Philosophy in Belgrade (1999), where she defended MA (2002) and Ph. D. theses (2007). She has been employed at the Institute of Ethnography of the Serbian Academy of Sciences and Arts (Belgrade, Serbia) since 2003; from 2013 she has worked as a Senior Research Associate. During the academic 2003-2004 she received a scholarship of the *Alexander S. Onassis* Public Benefit Foundation. In 2006 graduated from The School of Athens Archbishopric of Byzantine music Zoodohou Pigi (Athens) in Byzantine music Professor Constantine Angelidis' class. Is doctoral candidate (for the second Ph. D) of the Musicology Department at the Faculty of Philosophy of National and Kapodistrian University of Athens. She is a member of Serbian Ethnological and Anthropological Society and Serbian Musicological Society, participated in several international conferences, mainly abroad. Has published three monographs and many scientific articles in the publications in Serbia and abroad. Her main interest is the issues of multiculturalism, ethnic identity, ceremonial and religious practices, cultural contacts, ethnic minorities, anthropology of dance and anthropology of music.

### POLYPHONIC SACRAL SINGING AS A SYMBOL OF NATIONAL AND RELIGIOUS MINORITY: SLOVAKS IN SERBIA

The research focuses on polyphonic sacral singing of the Slovak ethnic minority in Serbia. Starting from the mid-18th century the Slovaks migrated to the territory of the present day North Serbia in several waves. While in Slovak Republic the Slovaks are mostly Roman-Catholics, their compatriots in Serbia are generally Lutheran, i.e., members of the Slovak Evangelical Church of Augsburg Confession and there are some Neo-Protestant communities. The Slovaks brought part of their specific spiritual and material culture that separated them from current population. Today Slovak Protestants in Serbia represent an example of double minority – national and religious, compared to the dominant Orthodoxy. This paper studies the role which polyphonic singing within Slovak Evangelical Church has in preservation of Slovak ethnic and religious identity. By actively worshiping and singing the Slovaks of this region saved their language and ethnic identity. The study observes possible intercultural and musical influences as well as the influence of other neighboring ethnic groups and Serbian majority.



## თამაზ გაბისონია

საქართველო

მუსიკოლოგიის დოქტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, წმინდა გიორგი მთაწმინდელის სახელობის უმაღლესი სასწავლებლის დეკანი. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია მუსიკისმცოდნე-ფოლკლორისტის სპეციალობით (1986). ფოლკლორულ ანსამბლ *კერიას* ხელმძღვანელი.
მისი კვლევის ძირითადი სფეროა ქართული ხალხური მრავალხმიანობის ფორმები. აქვს ნაშრომები ქართული საეკლესიო საგალობლის შესახებაც. მონაწილეობა აქვს მიღებული რიგ ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში, ფოლკლორისტულ ექსპედიციებში.

### ბურდონის სემიოტიკური განზომილებები ტრადიციულ მუსიკაში

მოხსენებაში გათვალისწინებულია ტრადიციულ მუსიკაში ცნება *ბურდონის* განსხვავებული მნიშვნელობების დადგენა სემიოტიკური რაკურსით. მოცემულია ცდა *ბურდონის* იმანენტური თავისებურებების – ხმოვანების კონტინუუმის, ბგერათსიმაღლებრივი კონსტანტის, ასევე – ფონის, ბაზისის და სხვა წარმოებული ფუნქციების კორელაციისა ეთნიკურ მუსიკაში. განიხილება ბურდონის როლი ხალხური მრავალხმიანი ფაქტურის კონსტრუირებაში ქართული ეთნომუსიკალური სივრცის მაგალითზე.

## TAMAZ GABISONIA

GEORGIA

Doctor of Musicology, teacher at the High School of Georgian Church Chant and Song at the Theological Seminary. Graduated from the Department of Musicology of Tbilisi State Conservatoire (1986). Directs folk ensemble *Keria*.
The focus of his scholarly interest is the forms of Georgian traditional polyphony. Is the author of works on Georgian church chants. Has participated in a number of national and international scientific conferences and field expeditions.

### SEMIOTIC DIMENSIONS OF DRONE IN TRADITIONAL MUSIC

The paper considers different meanings of *drone* from semiotic standpoint. Presented is the attempt to ascertain the correlation between immanent peculiarities – sound continuum, pitch constant, background, basis and other derivative functions in ethnic music. Discussed is the role of *drone* in the construction of folk polyphonic texture on the example of Georgian ethnomusicological space.



## ნათია დეკანოსიძე

საქართველო

მუსიკისმცოდნე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მუსიკის თეორიის კათედრის პედაგოგი. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ბაკალავრიატი მუსიკისმცოდნის სპეციალობით (მუსიკის თეორია და ფოლკლორი, 2003), სანკტ-პეტერბურგის ნ. ა. რიმსკი-კორსაკოვის სახელობის კონსერვატორია (2005) და ამავე კონსერვატორიის ასპირანტურა მუსიკის თეორიის მიმართულებით (2009). 2009-2011 წლებში პეტერბურგის კონსერვატორიის თეორიის კათედრაზე გაიარა სამეცნიერო სტაჟირება. 2011 წელს სანკტ-პეტერბურგის კონსერვატორიაში დაიცვა დისერტაცია თემაზე: *გია ყანჩელის და არს მუსიკა: ოპერის ჟანრისა და დრამატურგიის პრობლემები.* არის ი. ბარდანაშვილის, ჯ. კახიძის, გ. ყანჩელის, საქართველოს პრეზიდენტის სტიპენდიანტი, აღებული აქვს კულტურის სამინისტროს გრანტი). არის არაერთი სამეცნიერო სტატიის ავტორი. მონაწილეობა აქვს მიღებული რესპუბლიკურ და საერთაშორისო კონფერენციებში.

### აჭარული *ნადური* სიმღერების კომპოზიციური და დრამატურგიული თავისებურებანი (სიმფონიზმის პრობლემა)

საქართველოში *ნადი* იყო კოლექტიური შრომის უძველესი ფორმა,რომელსაც შრომის პროცესის გასაადვილებლად და მისი რიტმის დასარეგულირებლად ხშირად თან სიმღერა ახლდა. აჭარული *ნადური* სიმღერები მრავალხმიანობისა და დრამატურგიული განვითარების მაღალი დონით გამოირჩევა. მათი ურთულესი პოლიფონიური ოთხხმიანობა ხმების სახელწოდებებისა და ფუნქციების განსაზღვრის მრავალგვარობას განაპირობებს.

ვლადიმერ ახობაძის მიერ ჩაწერილი აჭარული ნადური სიმღერების ანალიზმა ამ ჟანრისათვის დამახასიათებელი დრამატურგიისა და ფორმაქმნადობის თავისებურებები გამოავლინა: უწყვეტი განვითარების პროცესის საშუალებით ექსპონირებული მასალის ხარისხობრივად სხვა რანგში აყვანა და მუსიკალური იდეის მოქმედებაში გახსნა ქმნის ტრადიციული აზროვნების ისეთ დრამატურგიულ მოდელს, რომელიც საფუძველს იძლევა ვისაუბროთ *ნადური* სიმღერების ასაფიევისეულ სიმფონიზმზე.

აჭარულ ნადურ სიმღერებში მუსიკალური აზროვნების უწყვეტობა და დინამიზმი შრომითი პროცესის უწყვეტობასა და დინამიზმს უკავშირდება. თუმცა, მუსიკალური იდეის გაშლა-განვითარების სიმფონიზებული ტიპის დრამატურგიული მოდელი, *ნადურ* სიმღერებს მუსიკალური ფენომენის უფრო მაღალ სტატუსს აძლევს, ვიდრე, უბრალოდ, შრომის თანმხლებ და მას დაქვემდებარებულ სიმღერას შეიძლება ჰქონდეს.

## NATIA DEKANOSIDZE

GEORGIA

Musicologist, Doctor of Arts, pedagogue at the Music Theory Department of Tbilisi State Conservatoire and Ilia State University. Completed Bachelor studies in the specialty of musicologist at Tbilisi State Conservatoire (music theory and folklore, 2003), and Music Theory Department at N.A. Rimsky-Korsakov St. Petersburg State Conservatory (2005) and completed the post-graduate course at the same Conservatory (2009). In 2009-2011 passed scientific probation at the Theory Department at St. Petersburg Conservatory, here in 2011 defended the dissertation: *Guya Kancheli's 'Music for the Living': On the Problems of Opera Genre and Dramaturgy.* Is the holder of several scholarships (of I. Bardanashvili, J. Kakhidze, G. Kancheli, Georgian President, of the Georgian Ministry of Culture) and grants. Author of a number of scientific articles. Has participated in national and international conferences.

### COMPOSITIONAL AND DRAMATURGICAL PECULIARITIES OF ACHARAN NADURI SONGS (PROBLEM OF SYMPHONISM)

In Georgia *nadi* was an ancient form of labor, which was often accompanied by singing to facilitate the work process and regulate the rhythm of work. Acharan *naduri* songs are distinguished in high level of dramaturgical and polyphonic development, their complex four-part polyphony determines the diversity of voice names and functions.

The paper presents the peculiarities of the dramaturgy and form-making, characteristic of the genre as a result of the analysis of *naduri* songs recorded by Vladimer Akhobadze: different qualitative level of the material via uninterrupted development process and dramaturgical model of traditional thinking, which provides grounds for discussing Asafiev's symphonism of *naduri* songs.

In Acharan *naduri* songs continuous musical thinking and dynamism is related to uninterrupted work process and dynamics, however the symphonized type dramaturgical model of musical idea, gives to the phenomenon of *naduri* songs higher status, than to a song simply accompanying work process and subordinated to it.



## მალხაზ ერქვანიძე
საქართველო

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების მიმართულებისა და თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის პედაგოგი, ქართული საეკლესიო გალობისა და ხალხური სიმღერის უმაღლესი სასწავლებლის ერთ-ერთი სახელოსნოს ხელმძღვანელი, *ანჩისხატის ტაძრის მგალობელთა გუნდის* ერთ-ერთი დამაარსებელი და რეგენტი 1988-2007 წლებში. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია მუსიკისმცოდნე-ფოლკლორისტის სპეციალობით (1990). მისი საქმიანობა მიმართულია მივიწყებული ხალხური სიმღერებისა და უძველესი ქართული საგალობლების აღდგენის, აგრეთვე მათი სწორი საშემსრულებლო მანერის დაცვისკენ. ამჟამად ხელმძღვანელობს ფოლკლორულ ანსამბლ სახიობასა და მამა დავითის ტაძრის მგალობელთა გუნდს. გამოცემული აქვს 25-მდე CD სხვადასხვა ანსამბლთან ერთად (*ანჩისხატის გუნდი, ძველი კილოები, მამა დავითის ტაძრის გუნდი, სახიობა*). ეწევა საექსპედიციო საქმიანობას, კონსულტაციას უწევს ქართული სიმღერა-გალობის შემსრულებლებს საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ. გამოქვეყნებული აქვს ქართული გალობის ცხრა სანოტო კრებული. მისი ნაშრომები ეძღვნება ქართულ ბგერათწყობასა და ქართული მრავალხმიანობის ბუნებას.

### ქართული ტრადიციული მუსიკის სამუსიკო სისტემა (სქემატური განხილვა)

თემაში წარმოდგენილი იქნება ქართულ სამუსიკო სისტემაზე დაკვირვებისა და ჩატარებული ექსპერიმენტების ოცდახუთწლიანი გამოცდილების შედეგები: კილოები და ბგერათრიგები, ბგერათწყობები, კილოში აზროვნების ძირითადი თავისებურებები, კილოს განსაზღვრის საკითხი, ინსტრუმენტების წყობები, მოდულაციური სისტემები, ხმათა მოძრაობის წესები და სხვ.

## MALKHAZ ERKVANIDZE
GEORGIA

Teacher at the Georgian Folk Music Department of Tbilisi State Conservatoire and theological Seminary. Leads one of the work-shops at the High School of Georgian Chant and Song, One of the founder and leader (1988-2007) of *Anchiskhati* Church Choir. Graduated from the faculty of musicology of Tbilisi State Conservatoire (specialized in folklore, 1990). His scholarly interest is focused on the revival of lesser known Georgian folk songs and ancient church chants, and the maintenance of the correct form of their performance manner. He directs folk ensemble *Sakhioba* and *Mama Daviti Church* choir. Has published nearly 25 CDs with different ensembles; leads consultations for folk and church choirs in Georgia and abroad. Carries out field work activity. His works are dedicated to Georgian scale and the nature of Georgian multi-part singing. Has published 9 collections of transcriptions of Georgian church hymns with his introductions.

### MUSICAL SYSTEM OF GEORGIAN TRADITIONAL MUSIC (SCHEMATIC ANALYSIS)

The paper presents the results of the 25-year experience of observation and study of Georgian music system; modes and scales, basic peculiarities of modal thinking, issue of modal definition, tuning of instruments, modulation systems, rules of vocal movements, etc.



## პოლო ვალეჯო
ესპანეთი

მუსიკალურ მეცნიერებათა დოქტორი, პარიზის ცოცხალი პოლიფონიების ასოციაციის მკვლევარი, მონრეალის უნივერსიტეტის შედარებითი მუსიკოლოგიის, ანთროპოლოგიისა და მუსიკის ლაბორატორიის წევრი, *კარლ ორფის* (მიუნხენი, გერმანია) ფონდის სამხატვრო და სამეცნიერო მრჩეველი. მოღვაწეობს ექსპერიმენტული პედაგოგიკისა და მუსიკოლოგიის დარგში, 1987 წლიდან სამეცნიერო კვლევებს ატარებს აფრიკაში. ავტორია საერთაშორისო კინოფესტივალების გამარჯვებული დოკუმენტური ფილმისა *აფრიკა: რიტმი.* ამჟამად მუშაობს ტანზანიის საექსპედიციო ჩანაწერების გამოცემაზე. არის საგანმანათლებლო კონცერტების ავტორი და წამყვანი, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ატარებს მუსიკის ტრენინგებს, ამჟამად ჩართულია ორ ექსპერიმენტულ პროექტში: *სენეგალის კედუგუს რეგიონის ბავშვთა რეპერტუარი*; და *ქართული საერო და საეკლესიო მრავალხმიანობა.*

### გელათის მონასტრის ჩასართავები, სადიდებლები და საგალობლები: ფორმები, კილოები, ჰარმონიული ორგანიზაცია
(**სიმჰა არომის** თანაავტორობით)

გელათის მონასტრის ლიტურგიკული საგალობლების უდიდესი მემკვიდრეობიდან ჩვენ შევარჩიეთ დაახლოებით ასი ნიმუში (ვგულისხმობთ საგალობელს ან საგალობლის ვარიანტს). ესენია ჩასართავები, სადიდებლები და საგალობლები. თითოეული ნიმუში გავაანალიზეთ სიღრმისეულად შემდეგი პარამეტრების გამოყენებით: ფორმა; კილოური ორგანიზაცია; მათი ჩარჩოს აკორდიკა.
პირველი ორი ტიპის (ჩასართავებისა და სადიდებლების) ყველა ვარიანტი ერთსა და იმავე კილოშია და შეიცავს მსგავს მუსიკალურ მასალას, ანუ თითოეული ტიპის სხვადასხვა ვარიანტი ერთმანეთის ვარიანტებია, ხოლო საგალობლებში კილოები და მუსიკალური მასალა იცვლება რვახმის სისტემის ხმების მიხედვით.
სამივე ტიპის ჰარმონიული ორგანიზაცია ერთსა და იმავე პრინციპს ემორჩილება: სტაბილური აკორდების არეალი მათი შესაძლო ცვლილების არეალთან მონაცვლეობს. ავტორებს ეს ნაშრომი ქართველი კოლეგების სამსჯავროზე გამოაქვთ და მათი გამოხმაურების იმედი აქვთ.

## POLO VALLEJO
SPAIN

Doctor of Musical Sciences, researcher at the Polyphonies Vivants Association of Paris, member of the Laboratoire de Musicologie Comparee Anthropologie et de la Musique at the University of Montreal (Canada), Artistic and Scientific Advisor at the *Carl Orff* Foundation in Munich (Germany). Internationally recognized in the field of experimental pedagogy and musicology, he has developed research works in Africa since 1987. Author of a documentary film *Africa: The Beat*, selected and awarded at International Film Festivals, he is preparing the edition of a Tanzanian field-notes book. Creator and presenter of Didactic Concerts, teaches in international musical training courses all over the world and currently is holding two experimental works: one on children repertoires in the region of Kedougou, Senegal, another on secular and religious vocal polyphony in Georgia (Caucasus).

### REFRAINS, EXALTATIONS AND HYMNS OF THE GELATI MONASTERY: FORMS, MODES, HARMONIC ORGANIZATION
(Co-author **Simha Arom**)

From the vast heritage of liturgical chants of the Gelati Monastery, authors selected about one hundred *items* (this term is used to refer to a chant or a *version of a chant*) which are representative of three types: *Refrains, Exaltations, and Hymns*.
Each item underwent in-depth analysis with the use of the following parameters: Form; Modal organization; The chords which constitute their framework.
All versions of the first two types (the *Refrains* and *Exaltations*) are in the same mode and have similar musical material, i.e. various versions of each type are variants of each other, whereas in Hymns, the modes and the musical material vary according to different *tones*.
In all three types, the harmonic organization follows the same principle: areas in which the chords are stable alternate with those in which they can fluctuate.
This work will be submitted for the reactions of our Georgian colleagues and authors hope to receive feedback from them.



## ლევან ვეშაპიძე
საქართველო

ეთნომუსიკოლოგი, *ანჩისხატის ტაძრის გუნდისა* და ანსამბლ *ქართული ხმების* წევრი. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია მუსიკისმცოდნეობის სპეციალობით (ფოლკლორი, 1996). არის სრულიად საქართველოს საპატრიარქოს საეკლესიო გალობის ცენტრის თანამშრომელი, ქართული ხალხური სიმღერისა და გალობის უმაღლესი სასწავლებლის პედაგოგი, ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი. მონაწილეობა აქვს მიღებული ქართული საეკლესიო საგალობლების სხვადასხვა სანოტო კრებულის გამოცემაში. უკრავს აჭარულ ჭიბონზე, რაჭულ გუდასტვირსა და აფხაზურ აჭარპანზე. მისი მოღვაწეობის ძირითადი სფეროა ქართული ხალხური სიმღერა და საეკლესიო გალობა.

### ქართული ბგერათრიგის შესახებ
(**ზაალ წერეთლის** თანაავტორობით)

ქართული ხალხური მუსიკის ბგერათრიგი რომ არც მაჟორულ-მინორულია და არც შუა საუკუნეების ევროპული კილოების წყობას ემთხვევა, ამაზე მუსიკისმცოდნეები აღარ დავობენ, თუმცა, კონკრეტულად, როგორია ეს ბგერათრიგი, ესაა თანამედროვე მკვლევართა ინტერესის საგანი. ამ საკითხს სხვადასხვა დროს იკვლევდნენ ქართველი და უცხოელი სპეციალისტები, რომელთაც არაერთი საყურადღებო ვარაუდი აქვთ გამოთქმული. მოხსენება ორი წლის პრაქტიკული კვლევების საფუძველზე ქართული ბგერათრიგის შესახებ მიღებული მეტად საინტერესო შედეგების გამომზეურების მორიგ მცდელობას წარმოადგენს.

## LEVAN VESHAPIDZE
GEORGIA

Ethnomusicologist, a member of *Anchiskhati Church Choir* and ensemble *Kartuli Khmebi*. Graduated from Musicology Department, specialty folklore, of Tbilisi State Conservatoire in 1996. Teacher of chant at the Centre of Church Chant of the Georgian Patriarchy, pedagogue at High School for Georgian Folk Song and Chant, Board member at the State Folklore Centre of Georgia, participated in the preparation and publication of a number of Georgian sacred chant collections; plays Acharan chiboni, Rachan gudastviri and Abkhazian acharpan. Main field for activity Georgian folk song and sacred chant.

### ON GEORGIAN SCALE
(Co-author **Zaal Tsereteli**)

Musicologists do not argue any more about the fact that Georgian scale is neither major-minor, nor does it coincide with European modal scale, but the topic of study for today's researchers is what this scale was like. At various times this issue was studied by Georgian and foreign scholars, who have uttered a number of interesting considerations. Paper presents rather interesting results of the 2-year research on Georgian scale.



## ლუ იუ-სიუ
ტაივანი, ჩინეთი

ტაივანის სოჩოუს უნივერსიტეტისა და პეკინის ცენტრალური კონსერვატორიის პროფესორი. ვენის უნივერსიტეტის მუსიკოლოგიის ინსტიტუტში მიენიჭა ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი. მისი კვლევის სფეროა ტაივანის აბორიგენული მუსიკა, ჩინეთის ფრე-ქინის დინასტიის მუსიკის ისტორია და მუსიკის იკონოგრაფია. ავტორია მონოგრაფიებისა *ტაივანის მუსიკის ისტორია* (2003), *ტაოს კონცერტი მთვარის შუქზე* (2007), *მუსიკოლოგიის კვლევა* (2009). მის მედიაპუბლიკაციებს შორისაა *შუქის ჩრდილების მელოდია* (დოკუმენტური ფილმი, 2003 წლის *ტაივანის ეთნოგრაფიული ფილმების საერთაშორისო ფესტივალის* ფინალისტი), *მუსიკა ჩინურ მხატვრობაში* (კომპაქტური დისკი, 2003), *მალან მაკაბაჰაი* (კომპაქტური დისკი, 2004, ტრადიციული და პროფესიული მუსიკის ოქროს მელოდიის მე-16 დაჯილდოების ფინალისტი), *მოძრავი ეპოქა. ფალანგოს სამეურნეო სიმღერები* (2 კომპაქტური დისკი, 2011,მუსიკის საუკეთესო ტრადიციული ინტერპრეტაციის – ოქროს მელოდიის 23-ე დაჯილდოების ფინალისტი) და *პოლიფონიის ძებნა. ტაიტუნგ ამისების დაკარგული ძველი სიმღერების გახსენება* (3 კომპქტური დისკი, 2013). არის ტაივანის მუსიკის ენციკლოპედიის I ნაწილის: *აბორიგენული მუსიკა* (2008) რედაქტორი.

### პოლიფონიურია თუ მონოფონიური *ამისების* სიმღერა?
(კაო შუ-ჩაო-ს თანაავტორობით)

ხმებში განაწილება მრავალხმიანობის საფუძველია. *ამისები* მღერიან ორხმიანობის კონცეფციით. ჯგუფის წევრების რაოდენობისა და მათი სასიმღერო უნარების მიხედვით, სიმღერა აკუსტიკურად შეიძლება წარმოდგენილი იყოს, როგორც მონოფონიური ან პოლიფონიური.
დისციპლინის განვითარების პროცესში ეთნომუსიკოლოგები ყურადღებით სწავლობენ ევროპაცენტრიზმის პრობლემას და თანხმდებიან, რომ გათვალისწინებული უნდა იყოს ეთნიკური ჯგუფების ადგილობრივი პერსპექტივა. მართლაც, *ამისების* ხმები უფრო გამოირჩევა ტემბრით, ვიდრე ბგერის სიმაღლით. პოლიფონიის ეფექტს ქმნის ძირითადი მელოდიის *მრუდი* (*ი'კუნგი*). *მრუდის* შექმნის ნიჭი მომღერლებთან ერთად იცვლება, ასე რომ, სხვადასხვა მომღერალი სხვადასხვა პოლიფონიურ აკუსტიკას ქმნის. მრავალხმიანი შესრულება რთულია შესასწავლადაც და სასწავლებლადაც.

## LU YU-HSIU
TAIWAN, CHINA

Professor at Taiwan Soochow University and Beijing Central Conservatory of Music, gained Master's degree and PhD at the Institute of Musicology of the University of Vienna. Her research covers the areas of Taiwan aboriginal music, music history of Chinese Pre-Qin Dynasty, and iconography of music. Her monographs include *History of Music in Taiwan* (2003), *Tao's Moonlight Concert* (2007), *An Exploration of Musicology* (2009). Her media publications include *The Melody in Light Shadows* (documentary film, finalist at the *2003 Taiwan International Ethnographic Film Festival*), *Music in Chinese Paintings* (CD-ROM, 2003), *Malan Makabahay* (CD, 2004, finalist at the 16th Golden Melody Awards – Traditional and Art Music), *A Rolling Age. Falangaw Farming Songs* (2 CDs, 2011, finalist at the 23th Golden Melody Awards – Best Traditional Interpretation Music) and *Searching for Polyphony. Recollecting the Lost Old Songs of Taitung Amis* (3 CDs, 2013). Editor of the Part I: *Aboriginal Music* of the Encyclopedia of Taiwan Music (2008).

### IS THE SONG OF THE *AMIS* POLYPHONIC OR MONOPHONIC?
(co-author **Kao Shu-Chuan**)

Division of vocal parts is the basis of polyphony. The *Amis* sing their songs in the concept of two parts. However, a song can be presented acoustically in either monophony or polyphony according to the members of singing groups, and their singing skills.
In the development process of the discipline, ethnomusicologists re-inspect the problem of Europe-centralism, and agree that the local perspective of ethnic groups should be considered. In fact, the vocal parts of the *Amis* are distinguished in timbre, rather than pitch. The effect of polyphony is mainly created with the *curve* (*i'kung*) of core melody. The ability of *curve* varies with singers, so that the songs presented by different members show various polyphonic acoustics. The skill of multi-part singing is difficult to be taught and learned.



## ბი იქსინი
ტაივანი, ჩინეთი

ჩინეთის ცენტრალური კონსერვატორიის (CCOM) სტუდენტი. ეროვნული სტიპენდიანტი, კონსერვატორიის სამეცნიერო ნაშრომების კონკურსის გამარჯვებული. მისი სამეცნიერო კვლევის ძირითადი თემაა უძველესი ჩინური მუსიკა და მუსიკის იკონოგრაფია. თარგმნიდა კონსერვატორიაში ჩატარებულ ლექციებსა და სამეცნიერო ნაშრომებს. იოსებ ჟორდანიას წიგნის, *რატომ მღერის ხალხი?* თარგმნისას დაინტერესდა ჩინური ვოკალური მრავალხმიანობის გავრცელებით და დაიწყო სამხრეთ-დასავლეთ ჩინეთის ეთნიკური ჯგუფის იის მრავალხმიანობის კვლევა.

### მრავალხმიანობა მიგრაციებში – ურთიერთკავშირი მრავალხმიანობასა და *იის* ხალხის მიგრაციებს შორის

სამხრეთ-დასავლეთ ჩინეთში ტრადიციული მრავალხმიანობის საერთაშორისო კვლევა არადამაკმაყოფილებელია. ამ რეგიონის ერთ-ერთი პროვინციის იუნანის მოსახლეობის აღწერისა და სტატისტიკური სამმართველოს მონაცემებით, აქ 55 ეთნიკური უმცირესობა ცხოვრობს. მათ შორის, ყველაზე მრავალრიცხოვანია იის ეთნოსის წარმომადგენლები, მთელი მოსახლეობის დაახლოებით 10.94% ანუ 5 მილიონი ადამიანი. სამხრეთ-დასავლეთ ჩინეთის ბევრი სხვა ჯგუფის მსგავსად, *ii* მრავალხმიანობის მქონე ეთნოსია. მოხსენებაში განხილულია იის ხალხის მრავალხმიანი სიმღერები.
ამჟამად, *იის* ხალხი იუნანის ფარგლებს გარეთ ცხოვრობს, რაც *იის* ხალხის ისტორიული მიგრაციებითაა განპირობებული. საზოგადოდ, *იის* უძველესი ხალხი 6 ქვეჯგუფად იყოფა. ექვსივე ჯგუფი და მათი შთამომავლები უცხოელთა შემოსევების, მოსახლეობის ექსპანსიისა და რეგიონული კონკურენციის გამო ხშირად მიგრირებდნენ. რა კავშირშია *იის* ხალხის ვოკალური მრავალხმიანობის დღევანდელი კანონი, თავისუფალი კონტრაპუნქტული სიმღერა და მიგრაციები? მოხსენება წარმოადგენს ამ კავშირების შესაძლებლობის დადგენის მცდელობას მათი მრავალხმიანობის მიმოხილვის საშუალებით.

## BI YIXIN
TAIWAN, CHINA

Currently is a graduate student at the Department of Musicology, Central Conservatory of Music (CCOM), China. Obtained national scholarships and won the first prize in the competition of research thesis in CCOM. Main research interests are the history of ancient Chinese music and iconography of music. Translated lectures delivered at CCOM and participated in written translation. When translating Dr. Joseph Jordania's book *Why Do People Sing?* she became interested in the distribution of Chinese vocal polyphony and began to research the polyphony of the ethnic group: the Yi in South-West China.

### POLYPHONY IN MIGRATIONS – THE INTERRELATION BETWEEN POLYPHONY AND MIGRATIONS OF THE *YI*

The international research on traditional polyphony in South-West China is insufficient. Yunnan, one of the provinces of the region, has 55 ethnic minorities, according to the Office for Population Census and Bureau of Statistics of Yunnan Province. Among these, the ethnic group *Yi* has the largest population, amounting to 10.94% of total population with 5 million people. Like many other groups in South-West China, *Yi* is a polyphonic group. Polyphonic songs of the *Yi* people were the focus of the study. Nowadays, the surviving *Yi* people live apart in Yunnan, which results from historical migrations of the *Yi*. It is generally considered that ancient *Yi* people were divided into six sub-groups. These sub-groups and their descendants frequently migrated, due to foreign invasion, expansion of population or regional competition. Does the vocal polyphony such as canon, heterophony and free counterpoint sung by the *Yi* people today interrelate with the traces of migrations? This study attempts to search the possibilities through viewing the types of their polyphony.



## კრისტერ ირგენს-მოლერი

დანია

მუსიკოსი, ავტორი, მუსიკოლოგი, პედაგოგი. უკრავს კლავიშიან საკრავებზე, გიტარასა და სხვადასხვა სიმებიან ინსტრუმენტზე, ფლეიტასა და დრამზე. არის მუსიკოლოგიისა და დანიური ლიტერატურის მაგისტრი კოპენჰაგენის უნივერსიტეტში (1979). 1980-იან წლებში იყო მუსიკალური ჟურნალისტი და სტატიების ავტორი დანიურ მუსიკალურ პერიოდულ გამოცემაში – თანამედროვე ხელოვნებისა და მუსიკის ჟურნალი (DMT). 1980 წლიდან უკრავს ავნგარდულ ჯაზ ჯგუფებსა და აფრო-დანიურ მუსიკალურ კოლექტივებში. აწყობს იმპროვიზებული და საკომპოზიტორო მუსიკის კონცერტებს. ჯგუფებთან ერთად საკონცერტო ტურნეებით მოგზაურობს ევროპაში, თანამშრომლობს უცხოელ მუსიკოსებთან. გამოსცა კომპაქტური დისკები ისეთ ჯგუფებთან ერთად, როგორიცაა *კლინჩი, გოსთ-ინ–ზე-მეშინი,* OCS-CPH და სხვ. ჩატარებული აქვს მუსიკალური კვლევა განაში (1985), შემდგომში, განის ტრადიციული მუსიკის კვლევა ცნობილი დანიელი დრამერების მიერ. ჰქონდა რადიო-პროგრამები კვლევაზე. 2002 წელს *მოესგაარდის მუზეუმმა* (აარუს, დანია) დაავალა ავღანური მუსიკის კოლექციის, მათ შორის ჰაზარაჯაათისა და ნურისტანის მასალის მუსიკოლოგიური კვლევა. 2005 წელს ჩაატარა კვლევა მალიში. 2009 წელს იუტლანდიის არქეოლოგიურ საზოგადოებასთან ერთად გამოსცა წიგნი *მუსიკა ნურისტანში.*

### ნურისტანის მუსიკა

მოხსენებაში *ნურისტანის მუსიკა* აღწერილია რეგიონალური სტილისადმი მიძღვნილ მონაკვეთში. მასალა ჩაწერილია დანიელი მკვლევრების კლაუს ფერდინანდისა და ლენ-არტ ედელბერგის მიერ 1953-55, 1964 და 1970 წლებში.

ეს არის ერთგვარი დამატება ნურისტანის მუსიკის შესახებ იოსებ ჟორდანიას დაკვირვებებზე წიგნში *ვინ დასვა პირველი შეკითხვა?* განხილულია ვაიგალისა და პარუნის ხეობებისა და სოფელ კუშტოს (ბაშგალი) მუსიკა. ვოკალური მრავალხმიანობა უხვად გვხვდება ვაიგალის მასალაში, აქ ყველაზე ტიპური მრავალხმიანი სიმღერების გარდა ჩაწერილია მრავალხმიანობის სხვა სტილები. ავტორის ვარაუდით, წყვილების სტრუქტურამ და საკრავების – ფლეიტების, არფისა და ვიოლინოს ტონალურმა კონცეფციამ გადამწყვეტი გავლენა მოახდინა ვოკალურ მუსიკაზე. ეს მუსიკა არის რემინისცენცია *ქაფირის* კულტურისა, რომლის დაპყრობა და ისლამიზაცია მოხდა 1896 წელს. დღეს, ნურისტანის მოსახლეობას აღარ ახსოვს ძველი მუსიკალური კულტურა.

## CHRISTER IRGENS-MØLLER

DENMARK

Musician, composer, author, musicologist, teacher. Instruments: keyboards, guitar and miscellaneous string instruments, flute, drums. Was awarded Master's degree in musicology and Danish Litterature, University of Copenhagen, in 1979. Worked as music journalist and published papers for DMT, Danish music periodical in the 1980s. From 1980 played in avant-garde jazz groups and African-Danish music groups. Organizer of concerts with improvised and composed music. Tours with groups in several countries in Europe. Cooperates with international musicians. Releases CDs with groups such as *Clinch, Ghost-in-the-Machine, OCS-CPH*. 1985 music research in Ghana. Further studies in traditional Ghanean music by master drummers in Denmark. Leads Radio programmes on the research. In 2002 carried out musicological investigation of the collection of Afghan music, including documentation from Hazarajaat and Nuristan, commissioned by Moesgaard Museum, Aarhus, Denmark for the 2005 music research in Mali. Published the book *Music in Nuristan*, Jutland Archeological Society in 2009.

### MUSIC IN NURISTAN

In the paper the *Music of Nuristan* is described under the heading – regional style. The documentation was carried out in 1953-55, in 1964 and 1970 by Danish researchers, Klaus Ferdinand and Lennart Edelberg.

The paper will supplement the observations on the music of Nuristan by Joseph Jordania in his paper *Who Asked the First Question?* The valleys comprise Waigal, Parun and the village Kushtos in Bashgal. Vocal polyphony appears abundantly in the documentation from Waigal. Aside from the quintessential polyphonic song, several other polyphonic styles are recorded. It is authors theory that the organization in pairs and tonal concept of the instruments, the flutes, the harp and the fiddle, has had a crucial impact on the vocal music. This music represents reminiscences of the kafir culture conquered and Islamized in 1896. Today, the Nuristani people have no recollection of the old music culture.



## ნინო კალანდაძე-მახარაძე
საქართველო

ეთნომუსიკოლოგი, მუსიკოლოგიის დოქტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, განათლების სამინისტროს მუსიკის ექსპერტი, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების ლაბორატორიის სპეციალისტი, საბავშვო სტუდიის *დები ჭოხონელიძეების* ხალხური სიმღერის პედაგოგი, ქალთა ფოლკლორული ანსამბლის *მზეთამზის* წევრი; აქვს უცხოეთში ქართული ხალხური სიმღერის სწავლების გამოცდილება (დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ბელგია, ფინეთი...). არის ათზე მეტი ფოლკლორისტული ექსპედიციის მონაწილე და ხელმძღვანელი. აქვს სამეცნიერო ნაშრომები ქართული სასიმღერო მეტყველების სემანტიკის პრობლემებზე, დაინტერესებულია საბავშვო და ბავშვთა ფოლკლორის საკითხებით. მონაწილეობს რესპუბლიკურ თუ საერთაშორისო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში, პროექტებში; შედგენილი და გამოცემული აქვს სიმღერების კრებულები, მონოგრაფიები ქართველ ლოტბარებზე. ეწევა აქტიურ საზოგადოებრივ და საგანმანათლებლო საქმიანობას.

### მრავალხმიანი აზროვნება: უწყვეტი ქართული ტრადიცია

ნაშრომში განხილულია ქართული ხალხური სიმღერის დიდოსტატისგან – პოლიკარპე ხუბულავასგან ჩაწერილი საეკლესიო საგალობლები (*შენ ხარ ვენახი, მერცხალო მშვენიერო* და *ქრისტე აღდგა*). ნიმუშები შემსრულებელს მამისგან – 1882 წ. დაბადებული ერასტი ხუბულავასგან ბავშვობაში აქვს ნასწავლი, რომელიც, თავის მხრივ, გალობას სოფ. კიწიაში მცხოვრები მუსიკოსისაგან – მაქსიმე ვეკუასაგან დაუფლებია. არც კომუნისტური იდეოლოგიის მძვინვარების წლებში და არც პოსტ-საბჭოურ პერიოდში ეს საგალობლები ბატონ პოლიკარპეს თვითონ არ უგალობია. 2014 წლის ჩანაწერები, სადაც სამივე ხმას 90 წლის მომღერალი ასრულებს, ეთნოფორის მუსიკალურ ცნობიერებაში შემონახული დასავლურქართული გალობის, სავარაუდოდ, მარტვილის (ჭყონდიდის) სამგალობლო სკოლის ნიმუშებად უნდა მივიჩნიოთ. ჩატარებული ექსპერიმენტი იზალი ზემცოვსკის მიერ შემოთავაზებული *Homo Polyphonicus*-ის კონცეფციის ნათელი დადასტურებაა და მრავალსაუკუნოვანი ადგილობრივი ტრადიციის სიცოცხლისუნარიანობაზე მეტყველებს.

## NINO KALANDADZE-MAKHARADZE
GEORGIA

Ethnomusicologist, Doctor of Musicology, Associated Professor at the School of Arts and Sciences of Ilia State University, expert at the Ministry of Education of Georgia, specialist at the Georgian Folk Music Laboratory of Tbilisi State Conservatoire, music teacher at *Debi Chokhonelidzeebi* children's studio, a member of female folk ensemble *Mzetamze*; experienced in teaching Georgian folk music outside Georgia (Great Britain, France, Belgium, Finland…); a member and leader of over 10 folk expeditions, author of scientific works on the semantics of Georgian song, the focus of her interest is children's folklore; has participated in national and international conferences and symposia, has compiled and published collections of songs, monographs on Georgian song-masters; leads social and educational activity.

### POLYPHONIC THINKING: UNINTERRUPTED GEORGIAN TRADITION

The paper discusses church chants (*Shen Khar Venakhi, Mertskhalo Mshveniero* and *Kriste Aghdga*) performed by Polikarpe Khubulava – renowned master of Georgian folk song. Polikarpe learned these examples in childhood from his father Erasti Khubulava (born 1882), who had studied chanting from Maxime Vekua from the village of Kitsia. Polikarpe himself never chanted these chants in Soviet or post-Soviet times. The 90-year-old song master sings all three voice parts, these examples should presumably be considered of the Martvili (Chqondidi) School of Chant, surviving in the consciousness of the ethnofor. The realized experiment clearly confirms Izaly Zemtsovsky's concept of *Homo Poliphonicus* and testifies to the viability of centuries-old local tradition.



## ოთარ კაპანაძე
საქართველო

ეთნომუსიკოლოგი, მუსიკოლოგიის დოქტორი. თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების ლაბორატორიის უფროსი ლაბორანტი და ამავე სასწავლებლის მოწვეული პედაგოგი. თბილისის ე. მიქელაძის სახელობის მეორე ცენტრალური მუსიკალური სასწავლებლის პედაგოგი.
2008-2012 წლებში იყო *ფოლკ რადიოს* მუსიკალური წამყვანი და რამდენიმე ეთნომუსიკოლოგიური გადაცემის ავტორი, 2012-2014 წლებში – ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის რეგიონებთან ურთიერთობის კოორდინატორი.
აქვს მგალობლისა და რეგენტის გამოცდილება. არის ფოლკლორულ ანსამბლ *ახალუხლების* ხელმძღვანელი, 10-ზე მეტი მუსიკალურ-ფოლკლორისტული ექსპედიციის წევრი, რამდენიმეს ხელმძღვანელი. მისი კვლევის ძირითადი სფეროა ქართული საფერხულო სიმღერები.

### ტრადიციული მრავალხმიანობის თანამედროვე მდგომარეობა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (2012 წელს დუშეთის რ-ნში ჩაწერილი მასალის მიხედვით)

მოხსენება ეფუძნება ავტორის მიერ 2012 წელს აღმოსავლეთ საქართველოს რამდენიმე კუთხეში (ძირითადად, მთიულეთსა და გუდამაყარში, ასევე – ხევსურეთსა და ფშავში) შეკრებილ მასალას. ამ რეგიონში ჯერ კიდევ შეიძლება ტრადიციული მუსიკის ჩაწერა. მრავალხმიანი აზროვნება ჯერ კიდევ შენარჩუნებული აქვს საშუალო ასაკს გადაბიჯებულ ზოგიერთ შემსრულებელს (იშვიათად – შემსრულებელთა ჯგუფს), ხოლო ახალგაზრდებში ახალი, უცხო რეპერტუარის პოპულარობა და ტრადიციული მრავალხმიანი სიმღერების არცოდნა შეინიშნება.

## OTAR KAPANADZE
GEORGIA

Ethnomusicologist, Doctor of Musicology. Senior Lab assistant at the Georgian Folk Music Department; invited lecturer of the Conservatoire, pedagogue at E. Mikeladze Central Music School №2. Music presenter and author of several ethnomusicological programs at *Folk Radio* in 2008-2012. Coordinator of relations between centre and regions at the State Folkore Centre of Georgia in 2012-2014. Has experience as a chanter and director of a church choir. Director of folk ensemble *Akhalukhlebi*. A member of over 10 and leader of several folk music expeditions. Main focus of research – Georgian round-dance songs.

### CONTEMPORARY STATE OF TRADITIONAL POLYPHONY IN EAST GEORGIAN MOUNTAIN REGIONS (BASING ON THE MATERIALS RECORDED IN DUSHETI DISTRICT, 2012)

The paper is based on the material collected by the author in several parts of East Georgia (mainly, in Mtiuleti and Gudamaqari, also in Khevsureti and Pshavi, 2012). In this part of the country it is still possible to record traditional music. Some performers (rarely a group of performers) over middle age have maintained polyphonic singing, whilst the popularity of foreign repertoire and nescience of traditional multi-part songs is obvious among the youth.



## მარინა კვიჟინაძე
საქართველო

ეთნომუსიკოლოგი, დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკისმცოდნეობის ფაკულტეტი. თბილისის ცენტრალური სამუსიკო (ნიჭიერთა) ათწლედის პედაგოგი. იკვლევს ცნობილი ქართველი ლოტბარების ცხოვრებასა და შემოქმედებას, ქართულ-აფხაზურ მუსიკალურ ურთიერთობებს. გამოცემული აქვს 4 მონოგრაფია (სამი – უჩა პატარიძის თანაავტორობით). ნინო კალანდაძე-მახარაძესთან ერთად არის ავტორი წიგნისა *ტრადიციული მუსიკა ქართულ-აფხაზურ დიალოგში*. არის ტრადიციული მრავალხმიანობის საერთაშორისო სიმპოზიუმების მონაწილე (2002, 2004)

### საგუნდო შემსრულებლობის ისტორიის ფურცლები აფხაზეთში

ნაშრომში განხილულია მრავალხმიანი ტრადიციული მუსიკის სცენაზე შესრულების პირველი ეტაპი აფხაზეთში, რომელიც ქართული (მეგრული) სიმღერის პატრიარქის – ძუკუ ლოლუას სახელთან არის დაკავშირებული. ლოტბარი სოხუმში 1904-1919 წლებში ცხოვრობდა და მრავალმხრივ საქმიანობას ეწეოდა (აფხაზური ფოლკლორის შეკრება, ქართულ-აფხაზური გუნდების დაარსება, კონცერტების გამართვა, საგასტროლო ტურნეების მოწყობა, ფილარმონიული საზოგადოებისა და სამუსიკო საზოგადოების აფხაზეთის განყოფილების დაარსება, პედაგოგიური მოღვაწეობა და ა. შ.).
ძუკუ ლოლუას მიერ აფხაზეთში დაარსებული გუნდების ზუსტი რაოდენობა და თარიღები დღემდე დაუდგენელი იყო. ნაშრომი, შეძლებისდაგვარად, ნათელს ჰფენს ამ გაურკვევლობას.
დასანანია, რომ აფხაზური მუსიკის ზოგიერთი მკვლევარი უგულებელყოფს საგუნდო შემსრულებლობის ამ მნიშვნელოვან პერიოდს და ათვლის წერტილად საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებს მიიჩნევს.

## MARINA KVIZHINADZE
GEORGIA

Ethnomusicologist, graduated from the Musicology Department of Tbilisi State Conservatoire; pedagogue at Tbilisi Central School of Music. Studies the life and Creative work of renowned Georgian song-masters. The focus of her research is Georgian-Abkhazian musical relations. Is the author of four monographs; three of which together with Ucha Pataridze. Together with Nino Kalandadze-Makharadze, is the co-author of the book *Traditional Music in Georgian – Abkhazian Dialogue* (2011). Participated in the International Symposia on Traditional Polyphony (2002, 2004).

### HISTORY PAGES OF CHORAL PERFORMANCE IN ABKHAZIA

The paper deals with the beginning of traditional music performance on stage in Abkhazia, connected with the name of Dzuku Lolua ¬_ the patriarch of Georgian (Megrelian) song. The renowned song-master lived and worked in Sokhumi in 1904-1919 and was involved in diverse activities (compilation of Abkhazian folklore, creation of Georgian-Abkhazian choirs, organisation of concerts, concert tours, foundation of the Abkhazian branch of Philharmonic and Musical Society, etc).
The number of choirs created by Lolua in Abkhazia was unclear until today. The paper sheds light on this vague issue at the possible extent.
It is a pity, that some Abkhazian scholars disregard this significant period of choral performance and consider the first years of Soviet Era as a starting point.



## სოფო კოტრიკაძე
საქართველო

დაამთავრა თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მაგისტრატურა (2013). ამჟამად სწავლობს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურაში, მუშაობს ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავების სახელმწიფო მუზეუმში. მონაწილეობა აქვს მიღებული ექსპედიციებში (ხევი – 2005, რაჭა – 2011 და აჭარა – 2013). მისი სამაგისტრო ნაშრომი ეხებოდა ტრადიციისა და სიახლის პრობლემას აჭარულ ხალხურ მუსიკაში. სამეცნიერო ინტერესების სფერო მოიცავს საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდის მუსიკალური ფოლკლორის, ტრადიციული ქართული საკრავიერი მუსიკის, შემსრულებლობისა და მუსიკის სოციოლოგიის საკითხებს. წაკითხული აქვს მოხსენებები ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე. მღერის ქალთა ფოლკლორულ ანსამბლში *ნანინა*. პერიოდულად აქვეყნებს სტატიებს ჟურნალებსა და სოციალურ ქსელებში, მონაწილეობს რადიოგადაცემებში, ჩართულია სხვადასხვა პროექტში.

### ქართული ტრადიციული მრავალხმიანობა და ახალგაზრდობა (სოციოლოგიური დაკვირვების შედეგები)

საქართველოში ქართულ ტრადიციულ მუსიკას კონკრეტულად ამ სფეროზე ორიენტირებული – შედარებით მცირერიცხოვანი, მაგრამ აქტიური მსმენელი ჰყავს. მათ ძირითად ნაწილს ახალგაზრდა თაობის მომღერალ-მგალობლები და მათი მეგობრები შეადგენს. ქართულ მრავალხმიანობას ახალგაზრდების უმეტესობა სხვადასხვა სოციალური ქსელითა თუ მედიასაშუალებითაც ეცნობა.
კვლევის მიზანია ტრადიციული მრავალხმიანობის შესახებ ახალგაზრდების ფართო წრეების ინფორმირებულობის გარკვევა. რამდენიმე უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტების გამოკითხვამ განსხვავებული სურათი გვიჩვენა. ნაშრომში შეჯამებულია დაკვირვების შედეგები და დასახულია ქართული მრავალხმიანი მუსიკით ახალგაზრდების კიდევ უფრო მეტად დაინტერესების კონკრეტული გზები.

## SOPO KOTRIKADZE
GEORGIA

In 2013 completed Magistracy studies at V. Sarajishvili Tbilisi State Conservatoire, currently a Doctoral student at Ilia State University, works at the State Museum of Georgian Folk Song and Musical Instruments; has participated in field expeditions (Khevi-2005, Racha-2011 and Achara-2013). Her Master's work was dedicated to the problem of tradition and novelty in the folk music of Achara. Her scholarly interest is focused on the issues of musical folklore of Soviet and Post-Soviet Epochs, Georgian traditional instrumental music, performance and musical sociology. Has participated in local and International scientific conferences; is a member of a female folk ensemble *Nanina*, publishes articles in journals and social network, takes part in radio programs, and various projects.

### GEORGIAN TRADITIONAL POLYPHONY AND THE YOUTH (THE RESULTS OF SOCIOLOGICAL OBSERVATION)

Georgian traditional music has comparatively less, but active listeners. Most of these are young singer-chanters and their friends. Majority of the youth also gets familiarized with Georgian polyphony via social network or mass media.
The study aims to clear up the awareness level of the young. Inquiries among several high school students have shown different pictures. The paper sums up the results of the observation and presents the ways for increasing the interest to Georgian polyphonic singing among the youth.



## გიორგი კრავეიშვილი
საქართველო

დაამთავრა თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკის თეორიის ფაკულტეტის ბაკალავრიატი ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების განხრით (2011); ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის მუსიკის ფაკულტეტის მაგისტრატურა ეთნომუსიკოლოგიის განხრით (2013). ამჟამად არის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დოქტორანტურის (სამუსიკისმცოდნეო კვლევები – ეთნომუსიკოლოგია) პირველი კურსის სტუდენტი. იკვლევს საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველების ხალხურ მუსიკას. თემას მიეძღვნა მისი საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომები; გამოქვეყნებული აქვს სტატიები, მონაწილეობდა ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში, თანამშრომლობს მედიასთან. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების საგრანტო კონკურსში მოპოვებული აქვს გრანტი თემაზე *თურქეთში მცხოვრები ქართველების მუსიკალური ფოლკლორი* (2013-2014). მონაწილეობს პროექტში *საქართველოს სიძველენი* (პროექტის ხელმძღვანელი ა. ერქომაიშვილი).

### მრავალხმიანობა საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველების მუსიკალურ ფოლკლორში

თემის მიზანია, წარმოაჩინოს საკრავიერი და ვოკალური მრავალხმიანობის მდგომარეობა საქართველოს საზღვრებს გარეთ მოქცეული კუთხეებისა და გასული საუკუნეების (XVII-XIX) მიგრაციების შედეგად შექმნილი კომპაქტური დასახლებების მკვიდრ ქართველებში. ვოკალური მრავალხმიანობის დაკარგვის შემთხვევაში ყურადღება გამახვილებულია იმ ნიშნებზე, რომლებითაც დგინდება მისი სავარაუდო არსებობა. შეძლებისდაგვარად, საუბარია მიზეზებზე, რომელთა გამოც ვოკალური მრავალხმიანობა ამა თუ იმ კონკრეტულ ადგილას (მაგალითად, თურქეთში მცხოვრებ აჭარლებთან) შენარჩუნდა, ხოლო სხვაგან კი – არა.

## GIORGI KRAVEISHVILI
GEORGIA

Bachelor of Music Theory Department of V. Sarajishvili Tbilisi State Conservatoire, in the specialty of Georgian folk music (2011). Magister of Music Department of Batumi Art Teaching University in the specialty of ethnomusicology (2013). Currently, first-year Doctoral student (musicological studies _ ethnomusicology) of Tbilisi State Conservatoire, researches the folk music of the Georgians residing outside Georgia. His Bachelor and Magistracy works were dedicated to this theme; has published articles, participated in national and international conferences, cooperated with media. Is the grant-winner (Musical Folklore of the Georgians from Turkey) of Doctoral educational programs of Shota Rustaveli National Fund (2013-2014). A participant of the project Antiquities of Georgia (Project supervisor A. Erkomaishvili).

### MULTI-PART SINGING IN THE FOLKLORE OF THE GEORGIANS RESIDING ABROAD

The paper discusses the state of instrumental and vocal polyphony of the Georgians residing outside Georgia and in the compact settlements created as a result of the (17th -18th century) migrations. In the case of loss of vocal polyphony the attention is drawn to the signs indicating its presumable existence; deals with the reasons, thanks to which polyphony has been maintained in some places (for instance among the Acharans in Turkey) and disappeared in other places.



## ტერეზია კუკროვი
ხორვატია

ზაგრების უნივერსიტეტის ბაკალავრი, ნიუ იორკის მენსის მუსიკალური კოლეჯის მუსიკის მაგისტრი და რუთგერის უნივერსიტეტის (ნიუ ჯერსი) ნიუ ბრუნსუიკის სამუსიკო ხელოვნების დოქტორი. დაიბადა პორეჩში, ხორვატია. კრიტიკოსები მას აფასებენ, როგორც „ფაქიზ, მგზნებარე და ტექნიკურ შემსრულებელს". გამოდიოდა ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის ისეთ საკონცერტო დარბაზებში, როგორიცაა *უეილის დარბაზი* (კარნეგი ჰოლი), *სტეინვეის დარბაზი* (ნიუ იორკი). მისი პედაგოგები იყვნენ ლ. გაშპაროვიჩი, კ. ბოგინო, ს. სტარი და დ. ეფშტეინი. მონაწილეობდა გამოჩენილი პედაგოგების (ჩარლზ როზენისა და კლოდ ფრანკის) მასტერკლასებში, ჩანაწერები ხელმისაწვდომია *ალბანისა* და *ინოვა რეკორდსისგან.* ეწევა აქტიურ პედაგოგიურ საქმიანობას, ასწავლის ხორვატიაში, აშშ-სა და ჰონგ კონგში. არის ფორტეპიანოს პედაგოგების მსოფლიო ასოციაციის (WPTA) საერთაშორისო კონკურსის ჟიურის წევრი. პორეჩის (ხორვატია) საერთაშორისო ფესტივალის *ტერა მაჯიკას* თანადამაარსებელი, 2010 წლამდე იყო მსოფლიო დონის ხელოვანთა საზაფხული სკოლის დირექტორი და პედაგოგი. 2011 წლიდან ცხოვრობს ზაგრებში. არის ზაგრების უნივერსიტეტის მუსიკის აკადემიის თანამშრომელი და პავაო მარკოვაჩის სკოლის ჩასაბერი ინსტრუმენტების კათედრის აკომპანიატორი.

### ფოლკლორის ელემენტები პროფესიულ მუსიკაში: ივან მატეტიჩ-რონიგოვის (1880-1960) საფორტეპიანო ნაწარმოებები

მოხსენება ეხება ხორვატიული ფოლკლორის გავლენას ხორვატიულ პროფესიულ მუსიკაზე და განსაკუთრებულ ყურადღებას მიაპყრობს ამ ჟანრის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული კომპოზიტორის, ივან მატეტიჩ რონიგოვის ნაწარმოებებს. მატეტიჩი უმეტესად მუშაობდა ისტრიაში (დასავლეთ ხორვატია). ისტრია არის ადრიატიკის სანაპიროს უდიდესი ნახევარკუნძული ტრიესტეს ყურესა და კვარნერის უბეს შორის. იმის გამო, რომ ამ რეგიონის ტრადიციული სიმღერები და ინსტრუმენტები არ მიეკუთვნებიან რომელიმე ცნობილ ტემპერირებულ სისტემას, მატეტიჩი წავიდა კომპრომისზე და დაადგინა ოთხ-სერიიანი (წყობიანი) სისტემა, რაც მისი აზრით, ყველაზე ახლოს იყო ბუნებრივ მუსიკასთან. მისი გამოგონებები საშუალებას აძლევდა მუსიკოსებს ტრადიციული ჰანგები გადაეტანათ ნოტებზე დადგენილი კლასიკური თანამიმდევრობით და ასე გადაერჩინათ გაქრობისგან. თავის კომპოზიციებში მატეტიჩი ბაძავს ან ტრადიციულ ორხმიან სიმღერას „თხელი/გამხდარი და სქელი/მსუქანი" ან რომელიმე ტრადიციულ არატემპერირებულ საკრავს, უბრალოდ არანჟირებას უკეთებს ან ნოტებზე გადააქვს ტრადიციული ცეკვა. მოხსენებაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მატეტიჩის ყველაზე ცნობილ საფორტეპიანო ნაწარმოებებს: *ისტრიული სუიტა, ნანი-ნანი უსპავანკა* (იავნანა) და *ტიჩიი პირ* (ჩიტების ქორწილი).

## TEREZIJA CUKROV
CROATIA

Holds Bachelor's degree from the University of Zagreb, M.M. Degree from the Mannes College of Music in New York, and the D.M.A. from the Rutgers University, New Brunswick, NJ, USA. A native of Poreč, Croatia, has been described by critics as "subtly, passionate and a technically superior performer". As a soloist and a chamber musician has been heard throughout Europe and North America, in venues such as *Weill Hall* at Carnegie Hall or *Steinway Hall* in New York. Her teachers were Lj. Gašparović, K. Bogino, J. Rose, S. Starr and D. Epstein. She has participated in master classes taught by prominent pedagogues (Charles Rosen, Claude Frank). An active educator, she has been teaching in Croatia, U.S. and Hong Kong, and was a jury member of the international competition of the WPTA. A co-founder of the international Terra Magica Festival of Poreč, Croatia, she served as a program director and faculty of the summer school until 2010, having many world class artists on the roster. Works as a collaborative artist of the Music Academy of the University of Zagreb and accompanist for the Wind Department of the Pavao Markovac music school.

### FOLKLORE ELEMENTS IN ART MUSIC: PIANO WORKS BY IVAN MATETIĆ – RONJGOV (1880-1960)

This paper discusses the influence of Croatian folklore on Croatian art music and focuses on works by one of the most significant composers of the genre: Ivan Matetić Ronjgov. Matetić worked mostly in the region of Istria in West Croatia. Istria is the largest peninsula on the Adriatic Coast located at its head, between the Gulf of Trieste and the Bay of Kvarner. Since the traditional songs and instruments of the region don't belong to any known tempered system, Matetić made a compromise and defined a system of four series (scales) that he found closest to what he called *the natural music*. His inventions allowed musicians to transcribe the characteristics of traditional tunes into established classical progressions and save the music from disappearing. In his compositions, Matetić imitates either traditional two-voice singing, called "thin and thick", or one of traditional non tempered instruments, simply arranges or writes down traditional dance. The lecture focuses on his most demanding piano works: *Istarska Suita* (Istrian Suite), *Nani-Nani, Uspavanka* (Lullaby) and *Tičji pir* (Bird's Wedding).

## ნონა ლომიძე
ავსტრია/საქართველო



მუსიკის მაგისტრი, დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია მუსიკოლოგის სპეციალობით. იყო თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკი, თბილისის მუსიკალური აკადემიის პედაგოგი, საქართველოს ტელევიზიისა და პრესის მუსიკალური მიმომხილველი.
იყო ვენის მუსიკის უნივერსიტეტისა და საშემსრულებლო ხელოვნების ასისტენტ პროფესორი (ჰარმონია და კონტრაპუნქტი). ამჟამად არის ავსტრიის მეცნიერებათა აკადემიის ვენის ფონოგრამარქივის უშტატო თანამშრომელი (სეფარიდი ებრაელების კულტურული საქმიანობის ფიქსაცია ვენაში, იაპონური და ავსტრიული კულტურული ურთიერთობები, ვენის ფონოგრამარქივში დაცული ქართველი ტყვეების ჩანაწერები).
არის რამდენიმე სტატიის ავტორი კომპიუტერის საშუალებით ქართული მრავალხმიანი სიმღერის გაშიფვრისა და ვენის ქართველ ებრაელთა სათვისტომოს მუსიკალური კულტურის შესახებ.
არის ვენის საერთაშორისო პრესის საზოგადოების წევრი.

### ქართველი ებრაელები ვენაში – მათი ტრადიცია და ინტეგრაცია

ქართველი ებრაელების პირველი დასახლება ვენაში 1970-იან წლებში გაჩნდა. მათ თან ჩამოიტანეს ქართული ტრადიციები და ადათ-წესები. დღეს ვენაში დაახლოებით 200 ასეთი ოჯახი ცხოვრობს.
ნაშრომში ავტორი ცდილობს პასუხი გასცეს შემდეგ კითხვებს: როგორ შეიცვალა მათი ტრადიციები წლების განმავლობაში, როგორ შეერწყა ერთმანეთს ეს ორი კულტურა და ტრადიცია? როგორ მუსიკას უსმენენ ისინი დღეს? როგორ მღერიან? რომელი ტრადიციები შეინარჩუნეს? ავტორი მადლობას უხდის მეცნიერებათა აკადემიას პროექტის განხორციელებაში გაწეული დახმარებისთვის. ყველა მონაცემი ხელმისაწვდომია ვენის ფონოგრამარქივში.

## NONA LOMIDZE
AUSTRIA/GEORGIA

Master of Music, graduated from Tbilisi State Conservatoire with the specialization in Musicology. She worked as a researcher at Tbilisi Pedagogical Institute and a lecturer at Tbilisi Musical Academy. She was also a music reviewer for television and press.
She was an assistant professor at the Vienna University of Music and Performing Arts (harmony and counterpoint).
Currently is a freelancer at the Phonogrammarchiv of the Austrian Academy of Sciences (Documentation of the Cultural Activities of Sephardic Jews in Vienna, Cultural Relationship between Japanese and Austrian Culture, Recordings of Georgian War Prisoners at Vienna Phonogrammarchiv).
Is the author of several articles on the computerised transcriptions of Georgian polyphonic songs and social aspects of the musical culture of the Georgian Jewish community in Vienna.
She is a member of the Society of the International Press in Vienna.

### GEORGIAN JEWS IN VIENNA – THEIR TRADITIONS AND INTEGRATION

The first Georgian Jews came to settle in Vienna during the 1970s. With them they brought Georgian traditions and customs. Today there are about 200 such families living in Vienna.
How did their traditions change over the years, how did the two cultures and traditions mix? What kind of music are they listening to? How do they sing? What traditions have remained? These are the questions I will pursue.
I am grateful to the Academy of Sciences for the help, which made it possible to make various video films and interviews as well as concerts and celebrations. All data are available through the Phonogrammarchiv in Vienna.



## თეონა ლომსაძე
საქართველო

ხელოვნებათმცოდნეობის მაგისტრი ეთნომუსიკოლოგიაში. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის კომპოზიციისა და მუსიკის თეორიის ფაკულტეტი ეთნომუსიკოლოგიის სპეციალობით (2014). მუშაობს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრში სპეციალისტად; გორის ს. ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯში ქართული მუსიკის ისტორიის პედაგოგად. სხვადასხვა დროს მის სამეცნიერო ინტერესს წარმოადგენდა ქართული ხალხური მუსიკის დიალექტოლოგია, ამჟამად იკვლევს ქართული მუსიკალური ფოლკლორის თანამედროვე სოციუმში გამოყენების საკითხს. მიღებული აქვს მონაწილეობა სხვადასხვა კონფერენციაში, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ (ფინეთი, ტურკუ, EUPOP2013). არის სამეცნიერო პუბლიკაციების ავტორი, საერთაშორისო სტუდენტური კონფერენცია-კონკურსის სამგზის გამარჯვებული. ჩატარებული აქვს დამოუკიდებელი ექსპედიციები ქართლში, იმერეთში, რაჭასა და თუშეთში. იყო გიორგი მთაწმინდელისადმი მიძღვნილი გორის ახალგაზრდული კონფერენციის ორგანიზატორი (2009 წ., ეკატერინე ყაზარაშვილთან ერთად).

### სიცოცხლის ხის მითოლოგემა ქართულ მუსიკალურ ფოლკლორში (ალვის ხე და მასთან დაკავშირებული რიტუალები)

სიცოცხლის ხე ერთ-ერთი უძველესი მითოლოგემაა, რომელიც მსოფლიოს ყველა ხალხის მითოლოგიაში ფიგურირებს. ეს ცისა და მიწის დამაკავშირებელი სიმბოლო სხვადასხვა ხის ჯიშებშია განსხეულებული, გამომდინარე ამა თუ იმ ქვეყნის ფლორის თავისებურებებიდან.

ქართული მითოსისტემიდან ეთნოგრაფიულ რეალობაში ხის კულტის სახით გადმოსული სიცოცხლის ხის სიმბოლო მსჭვალავს ფოლკლორის ყველა დარგს, მათ შორის მუსიკალურსაც, სადაც სიცოცხლის ხედ შეიძლება მოგვევლინოს მუხა, ვაზი, ალვა და სხვ. ავტორი მოხსენებაში სწორედ ამ უკანასკნელზე, ალვის ხის სიმბოლოზე აკეთებს აქცენტს და მას ქართული მუსიკალური ფოლკლორის კონტექსტში განიხილავს.

## TEONA LOMSADZE
GEORGIA

Magister of Arts in ethnomusicology. Graduated from the Composition and Music Theory Department of Tbilisi State Conservatoire (2014); a specialist at the International Research Centre for Traditional Polyphony of Tbilisi State Conservatoire; teaches history of Georgian music at S. Tsintsadze Gori College of Music. At various times the focus of her scientific interest was the dialectology of Georgian folk music, currently studies the issue of the application of Georgian folk music in contemporary socium; has participated in different conferences in Georgia and abroad (Finland, Turku, EUPOP2013); is the author of scholarly articles, a three-fold winner of Students' international conference-contest, has led field expeditions in Kartli, Imereti, Racha and Tusheti. Is a co-organizer of the Gori Youth Conference dedicated to Giorgi Mtatsmindeli (2009, together with Ekaterine Qazarashvili).

### TREE OF LIFE AND MYTHOLOGEME IN GEORGIAN FOLK MUSIC (POPLAR TREE AND THE RITUALS RELATED TO IT)

Tree of life is one of the oldest mythologemes, documented in the mythology of all peoples of the world. This symbol of the connection between the sky and earth is embodied in different tree species, proceeding from the peculiarities of the country's flora.

The symbol of the Tree of Life introduced into Georgian ethnography from Georgian mythosystem pierces through all branches of folklore including folk music; here the Tree of Life can be represented by oak, vine, poplar, etc. The paper focuses on the latter, the symbol of poplar and discusses it in the context of folk music.

## რენატო მორელი
იტალია



ეთნომუსიკოლოგი და რეჟისორი. სწავლობდა სოციოლოგიას ტრენტოს უნივერსიტეტში და მუსიკას ბომპორტის კონსერვატორიაში. იყო იტალიის სახელმწიფო ტელევიზიის (*რაი*) ეთნოგრაფიული ფილმების დირექტორი. გადაღებული აქვს ეთნოგრაფიული ფილმები ტრენტინოზე, ალპურ რეგიონზე, სარდინიასა და ლათინურ ამერიკაზე – პროდუქციას მიღებული აქვს ოცი საერთაშორისო ჯილდო.
მიჰყავდა ასპირანტურის კურსები მილანისა და ტრენტოს უნივერსიტეტებსა და ტრენტოსა და ბოზენის/ბოლზანოს კონსერვატორიებში. არის სხვადასხვა გამოცემების (წიგნები, CD და DVD დისკები), აგრეთვე რამდენიმე თეატრალური პროდუქციის ავტორი, სამი მუსიკალური პროექტის: *Ziganoff* (*Klezmer-jazz*), *T.T.T.* (ტრენტინოს, ტიროლისა და ტრანსილვანიის მუსიკა) და Cantori di Vermèil (ტრადიციული ალპური პოლიფონიური სიმღერა) სულისჩამდგმელი, რეჟისორი და მონაწილე.

### ვნების კვირის ტრადიციული მრავალხმიანობა სარდინიაში

სარდინიაში ვნების კვირის რელიგიური ცერემონიები ტრადიციულად სრულდება გამოცდილი მომღერლებისგან შემდგარი საძმოს გუნდის მიერ. თვითონ სიმღერები, რთული და ცვალებადი ჰარმონიულობისა და ვოკალური შესრულების მრავალფეროვანი სტილების გამო, განსაკუთრებული მუსიკალური ინტერესის საგანს წარმოადგენს.
ეს სიმღერები ზეპირი ტრადიციისაა და ძალზე ცოტაა ცნობილი მათ წარმოშობაზე. ეს მემკვიდრეობა ჩვენამდე მოღწეული სახით ყოველთვის ემთხვეოდა მნიშვნელოვანი საეკლესიო ინსტიტუციების, უპირველესად, მონასტრების არსებობას XI საუკუნეში ბიზანტიური ბასილიანისა და სტუდიტის დაარსებიდან მოყოლებული.
ბიზანტიურ ტრადიციასთან შესაძლო კავშირის დასადასტურებლად ავტორმა სარდინიაში მოიწვია ქართული ჯგუფი *ჟურნალისტი* (შემდგომში *ქართული ხმები*) და მოაწყო მათი კონცერტი ცნობილ სარდინიელ, კორსიკელ და ლიგურიელ მომღერლებთან ერთად. სატელევიზიო ჩვენებისთვის კონცერტი გადაიღო ფილმად, რომლის ფრაგმენტები ჩართულია მოხსენებაში.

## RENATO MORELLI
ITALY

Studied sociology (Trento University) and music (Bomporti Conservatory), subsequently worked as a director of ethnographic films for the Italian State TV (RAI). He directed some sixty ethnographic films on Trentino, the Alpine Region, Sardinia and Latin America – a production acknowledged by twenty international awards.
As scholar he is best known as an ethnomusicologist. Apart from publishing a number of contributions in different formats (books, CDs and DVDs) he has taught in a number of post-graduate courses at the Universities of Milan, Trento, and at the Conservatoires of Trento and Bozen/Bolzano. He has also produced a number of theatrical productions. Last but not least he works on-, has inspired, directs and personally plays in three musical projects: *Ziganoff* (*Klezmer-jazz*), *T.T.T.* (music from Trentino, Tirol, Transylvania) and *Cantori di Vermèil* (traditional Alpine polyphonic singing).

### TRADITIONAL POLYPHONY IN SARDINIA FOR THE HOLY WEEK

In Sardinia, popular religious ceremonies during Holy Week are traditionally performed by the choir of the Brotherhood, composed of four specialized singers. The songs themselves are of extraordinary musicological interest due to their complex and varying harmonic elaboration, and great variety of styles of vocal emission.
These songs are of oral tradition and little is known of their origin. This patrimony as it has survived to this day has always coincided with the presence of important ecclesiastical institutions, monasteries, above all, from the initial establishment of the Bizantium Basiliani and Studiti in the 11th century.
To verify the possible relation with Byzantine tradition, author invited the Georgian choir *zhurnalisti* (later *Georgian Voices*) to Sardinia in 1989, and organized a concert together with important singers from Sardinia, Corsica and Liguria. The concert was filmed in its entirety for television broadcast which author produced, its excerpts are included in his paper.



## ნინო ნაკაშიძე
საქართველო

დაამთავრა თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახ. სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკისმცოდნეობის ფაკულტეტი ფოლკლორისტიკის სპეციალობით (1981). ამჟამად არის კონსერვატორიის ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების ლაბორატორიის სპეციალისტი. მონაწილეობა აქვს მიღებული მრავალ პროექტში, მათ შორის: ვენის ფონოგრამარქივის, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიისა და კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ერთობლივ პროექტში *ხმები წარსულიდან*, *ქართული ხალხური მუსიკა ფონოგრაფის ცვილის ლილვაკებიდან*, თბილისის კონსერვატორიისა და არასამთავრობო ორგანიზაცია *დამოუკიდებელი კავკასიის* ერთობლივ პროექტში *კავკასიელ ხალხთა მუსიკა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ფონოარქივიდან*, ქართული ხალხური სიმღერის საერთაშორისო ცენტრის, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიისა და ამერიკული გამომცემლობის *ნოვა საიენს ფაბლიშერს* ერთობლივ პროექტში. ბერლინის ფონოგრამარქივის და ტრადიციული მრავალხმიანობის საერთაშორისო ცენტრის ერთობლივ პროექტში *ქართული ჩანაწერები გერმანიის ტყვეთა ბანაკებიდან (1916-1918)*; მონაწილეობს საგამომცემლო საქმიანობაში.

### ქართული ჩანაწერები გერმანიის ტყვეთა ბანაკებიდან 1916-1918
(საპანელო მოხსენება **სუზან ციგლერთან** ერთად)

1915 წელს დაარსებულმა პრუსიის ფონოგრაფიულმა კომისიამ გერმანიის ტყვეთა ბანაკებში ჩაწერა ენები და მუსიკა; ამ პროექტში მონაწილეობას იღებდნენ ცნობილი გერმანელი მუსიკოლოგები, ენათმეცნიერები და ეთნოლოგები. ბერლინის ფონოგრამარქივში დაცული ეს კოლექცია 1022 ცვილის ლილვაკისგან შედგება, აქედან 69-ზე ჩაწერილია ქართული მუსიკა. ლილვაკებს თან დართული აქვს შესაბამისი დოკუმენტაცია. ბერლინის ფონოგრამარქივისა და თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის თანამშრომლობით მომზადდა პროექტი ქართველი ტყვეების ჩანაწერების გამოსაცემად, რაც ამ მასალას ფართო მსმენელისთვის ხელმისაწვდომს გახდის. ეს იქნება წიგნი 2 კომპაქტური დისკით, ინფორმაციით ჩანაწერების ისტორიაზე, შემსრულებლებზე, რეპერტუარზე, სიმღერების ტექსტებით, კომენტარებითა და ფოტოებით.
პროექტის შესახებ ისაუბრებს სუზან ციგლერი, ხოლო ნინო ნაკაშიძე – ქართულ მასალასა და შემსრულებელთა შთამომავლებისგან მიღებულ გამოხმაურებებზე.

## NINO NAKASHIDZE
GEORGIA

Graduated from the Musicology Department (specialty folkloristics) of Tbilisi State Conservatoire in 1981. Currently is a specialist at the Laboratory of Georgian Folk Music Department. Has participated in a number of projects such as *Echoes from Past* – the joint project of Tbilisi State Conservatoire and the Ministry of Culture and Monuments Protection; *Georgian Folk Music from Phonograph Wax Cylinders; The Music of the Caucasian Peoples from the Audio Archive of Tbilisi State Conservatoire* – joint project of Tbilisi State Conservatoire and NGO *Independent Caucasus*; joint project of the International Centre for Georgian Folk Song, Tbilisi State Conservatoire and *Nova Science Publishers* (USA), and *Georgian Recordings from German War Camps* (1916-1918) - joint project of *Berlin Phonogramm archiv* and International Research Centre for Traditional Polyphony; takes active part in publishing.

### GEORGIAN RECORDINGS MADE IN GERMAN WAR CAMPS 1916-1918
(Panel presentation with **Susanne Ziegler**)

The Royal Prussian Phonographic Commission, founded in 1915 documented language and music in German war camps. Renowned German musicologists, linguists and ethnologists were involved in the project. The collection comprises 1022 wax cylinders, among them 69 with Georgian music, which are today held at Berlin Phonogramm Archiv. The cylinders are supplemented by relevant documentation.
In cooperation between Berlin Phonogramm Archiv and the Tbilisi Conservatory a project has been prepared to publish the recordings of Georgian war prisoners and to make them available to the public. A book with two CDs, articles on the history of the recordings, the singers, repertoire, song texts, comments and photos is being prepared.
Susanne Ziegler will give an introduction into the project and history of the recordings; Nino Nakashidze will give an overview on the Georgian material and report about the comments of the singers' descendants.



## ნინო ნანეიშვილი
საქართველო

თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის სასულიერო მუსიკის ფაკულტეტის მაგისტრი; ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ანთროპოლოგია-მუსიკოლოგია). მგალობელ გოგონათა გუნდ *იალონის* ხელმძღვანელი (2010 წელს გამოიცა პირველი CD); ქალთა ფოლკლორულ ანსამბლ *სათანაოს* წევრი; მგალობელ ვაჟთა გუნდ *აღსავალის* პროდიუსერი; თბილისის სასულიერო აკადემიასთან არსებული საეკლესიო გალობისა და სიმღერის უმაღლესი სასწავლებლის ლაბორანტი, ბრიტანულ-ქართული აკადემიის მუსიკის პედაგოგი; საქართველოს საპატრიარქოს საეკლესიო გალობის ცენტრის წევრი. ორგანიზებას უწევს სიმღერა-გალობისადმი მიძღვნილ ლექცია-კონცერტებს. მიღებული აქვს მონაწილეობა სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციაში.

### რელიგიურ-კულტურული კონგლომერატი დედოფლისწყაროში

მოხსენებაში წარმოდგენილია დედოფლისწყაროში (კახეთი) არსებული მრავალეთნიკური, მრავალრელიგიური და, აქედან გამომდინარე, ჭრელი მუსიკალური რეალობა; ნაჩვენებია კონკრეტული მულტიეთნიკური დასახლებისრელიგიურ-კულტურული არე, მისი ევოლუციური დინამიკა, სოციუმის იერსახის ცვლილება პოსტსოციალისტურ ეპოქაში. გამოკვლეულია არსებული მუსიკალური რეალობა, რელიგიური მიმართულებები, ადამიანების დამოკიდებულებები და შეხედულებები რელიგიურ, რიტუალურ საკითხებზე.

## NINO NANEISHVILI
GEORGIA

M.A. of Sacred Music, received her Master's degree at Tbilisi State Conservatoire (2009); Doctoral student at Ilia state University (Faculty of Humanities, Anthropology-Musicology). She is a member of various folk ensembles and church choirs, takes active part in the concerts of traditional music in Georgia and abroad; Producer of the male choir of chanters *Aghsavali*. A laboratory worker at the High School of Folk Song and Church Chant; Teacher of music at the British-Georgian Academy; Director of *Ialoni* – a female chanters choir, which released the first CD in 2010. Cooperates with the Center for Chant of the Georgian Patriarchy. Worked for the newspaper *Kartuli Galoba* (*Georgian Chant*). Organizes lecture-concerts on Georgian song and chant. Has participated in various scientific conferences.

### RELIGIOUS-CULTURAL CONGLOMERATE IN DEDOPLISTSQARO

The paper presents multi-ethnical, multi-religious, hence multi-colored musical reality in Dedoplistsqaro (Kakheti); shown is the religious-cultural area of the specific multi-ethnic settlement, its evolutionary dynamics and changes in the socium in post-Soviet epoch. Studied is the existing musical reality, religious directions, human relations and viewpoints on religious, ritual issues.



## ბრუნო ნეტლი
აშშ

ილინოისის უნივესიტეტის მუსიკისა და ანთროპოლოგიის ემერიტუს პროფესორი. მიიღო მუსიკის ბაკალავრისა და მაგისტრის ხარისხი ინდიანას უნივერსიტეტში; საბიბლიოთეკო მეცნიერებების მაგისტრის ხარისხი მიჩიგანის უნივერსიტეტში, ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი (მუსიკოლოგია, ეთნომუსიკოლოგია, მეორადი ფაკულტეტი ანთროპოლოგია და ფოლკლორი) ინდიანას უნივერსიტეტში. 1964 წლიდან ასწავლის ილინოის უნივერსიტეტში.

არის მრავალი პრემიის მფლობელი, მათ შორის *ფუმიო კოიზუმის პრიზისა ეთნომუსიკოლოგიაში.* 2014 წელს მიენიჭა *ჩარლზ ჰომერ ჰასკინსის პრიზი*, რომლითაც ამერიკის სამეცნიერო საზოგადოებების საბჭო ყოველწლიურად გამორჩეულ ჰუმანისტს აჯილდოებს. აქტიურად ეწეოდა საექსპედიციო საქმიანობას: ჩატარებული აქვს ექსპედიციები ამერიკელ ინდიელებს შორის და ირანში, ისრაელსა და სამხრეთ ინდოეთში. იყო ეთნომუსიკოლოგიური საზოგადოების პრეზიდენტი და ამავე საზოგადოების ჟურნალის, *ეთნომუსიკოლოგია* და *ტრადიციული მუსიკის ყოველწლიური გამოცემის* რედაქტორი.

მის რამდენიმე ნაშრომს შორის ყველაზე ცნობილია *ეთნომუსიკოლოგიის თეორია და მეთოდი* (1964), *ბლექფუთების მუსიკალური აზროვნება: შედარებითი პერსპექტივები* (1989), *მთავარი ექსკურსიები: მუსიკალური სკოლების ეთნომუსიკოლოგიური პერსპექტივები* (1994). *ეთნომუსიკოლოგიის კვლევა* (1983, 2005) არის მისი ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ნაშრომი, რომელიც უახლოეს მომავალში მესამედ გამოიცემა.

### კვარტალური მუსიკალური გამოცემის ტ.47 (1961) თაობაზე. კომენტარები ჩრდილოეთ ამერიკელი ინდიელების მრავალხმიანობაზე ნახევარი საუკუნის შემდეგ

ავტორი გვთავაზობს კომენტარებს 1961 წელს დაწერილ საკუთარ სტატიაზე, რომელიც ამერიკელი ინდიელების მუსიკის მაგალითზე, მრავალხმიანობის არსის განსაზღვრას ეხებოდა. იგი გვიზიარებს თავის მოსაზრებებს კულტურისა და მრავალხმიანობის ფენომენზე, ამ უკანასკნელის როლზე მუსიკის წარმოშობის პროცესში; აგრეთვე, განიხილავს მუსიკის ტაქსონომიის საკითხს და მუსიკოლოგების მიერ მრავალხმიანობისა და ერთხმიანობის აღქმის თავისებურებებს.

## BRUNO NETTL
USA

Emeritus Professor of Music and Anthropology at the University of Illinois. Received Bachelor's and Magister's Degrees at Indiana Universityბ Magister of Library Sciences at Michigan University, PhD (musicology, ethnomusicology, with minors in anthropology and folklore), Indiana University. Since 1964 has taught at the University of Illinois. Is the owner of many awards, among them Fumio Koizumi Prize for Ethnomusicology. In 2014 was awarded the Charles Homer Haskins Prize, presented annually to a distinguished humanist of the American Council of Learned sciences.

Led active field expedition work: has done field research with Native American peoples and in Iran, and secondarily in Israel and Southern India. Has served as President of the Society for Ethnomusicology and as editor of its journal, *Ethnomusicology*, and also of the *Yearbook for Traditional Music*.

Among his several books, the best known are *Theory and Method in Ethnomusicology* (1964), *Blackfoot Musical Thought: Comparative Perspectives* (1989), *The Radif of Persian Music* (rev. ed., 1992), and *Heartland Excursions: Ethnomusicological Perspectives on Schools of Music* (1994). *The Study of Ethnomusicology* (1983, 2005), is one of his most distinguished works to be published for the third time in near future.

### CONCERNING AN ARTICLE IN MUSICAL QUARTERLY VOL. 47 (1961). COMMENTS ON NORTH AMERICAN INDIAN POLYPHONY A HALF CENTURY YEARS LATER

The author provides the comments on his own article from 1961, dealing with the definition of the essence of polyphony on the example of Native Americans' music. He shares his considerations about the phenomenon of culture and polyphony, on the role of the latter in the origin of music; also discusses the issue of music taxonomy and the peculiarities of interpreting polyphony and monophony by musicologists.



## ანა პიოტროვსკა
პოლონეთი

დაამთავრა იაგიელონიის უნივერსიტეტის (კრაკოვი, პოლონეთი) მუსიკის ისტორიისა და თეორიის განყოფილება (ხელოვნების მაგისტრი, 1997 წელი); გაიარა ასპირანტურის კურსი ფსიქოლოგიისა და პედაგოგიკის განხრით იმავე უნივერსიტეტის ამერიკულ ცენტრსა და მუსიკისმცოდნეობის ინსტიტუტში; 2002 წლიდან ფილოსოფიის დოქტორია. სხვადასხვა დროს მონაწილეობდა კონფერენციებსა და მასტერკლასებში პოლონეთში, დანიაში, ბელგიასა და ჩეხეთში. მუშაობდა იაგიელონიის უნივერსიტეტის მუსიკის თეორიისა და ანთროპოლოგიის კათედრის პედაგოგად (1998-2003), ასისტენტ-პროფესორად (2003-2005), 2005 წლიდან ასოცირებული პროფესორია. არის მრავალი პუბლიკაციისა და კომპაქტური დისკის ანოტაციების ავტორი.

### საესტრადო სიმღერების პოლიფონიური არანჟირება, როგორც საგანმანათლებლო მასალა (მეთოდოლოგიური პრობლემები, პრაქტიკული შეკითხვები)

ჯგუფური სიმღერა, თუნდაც უნისონში, ბავშვთა მუსიკალური განათლების ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ექსპერიმენტია, რომელსაც სხვა ექსპერტებთან ერთად ზოლტან კოდაიც მხარს უჭერდა, თუმცა ის ამ მიზნით ხალხური მასალის გამოყენებას ემხრობოდა. მოხსენებაში, სასწავლო პროცესში მრავალხმიანი სიმღერის გამოყენების სარგებლიანობიდან გამომდინარე, პედაგოგიური რესურსის სახით შემოთავაზებულია ასევე სათანადოდ არანჟირებული საესტრადო სიმღერების გამოყენება. პოლიფონიური სმენისა და სიმღერის სწავლების საგანმანათლებლო მასალის მაგალითად ავტორი წარმოადგენს პოლონელი ბარდის მარეკ გრეჩუტას (1945-2006) გუნდისთვის არანჟირებული სიმღერებს. იგი ასკვნის, რომ სათანადოდ შერჩეული საესტრადო სიმღერების პოლიფონიური არანჟირება შეიძლება იყოს შესანიშნავი საშუალება, რომელიც ხელს შეუწყობს მუსიკალურ განათლებაში ჰარმონიის სწავლის, ჯგუფური თანამშრომლობის განვითარებას.

## ANNA PIOTROWSKA
POLAND

Graduated from the Chair of History and Theory of Music at Jagiellonian University (Krakow, Poland), 1997. Received the degree of Master of Arts. Completed post-graduate studies in psychology and pedagogy, at the Center for American Studies and the Institute of Musicology at Jagiellonian University. In 2002 received the PhD in musicology. Participated in a number of conferences and workshops in Czech Republic, Belgium, Denmark and Poland. Worked as academic teacher (1998-2003) in the Institute of Musicology at Jagiellonian University, Assistant Professor (2003-2005) at the Chair of Theory and Anthropology of Music and Associate Professor since 2005. Is the author of a large number of publications and texts for CDs.

### POLYPHONIC ARRANGEMENTS OF POP-MUSIC SONGS AS EDUCATIONAL MATERIAL (METHODOLOGICAL PROBLEMS, PRACTICAL QUESTIONS)

Singing in a group, even in unison, is one of the most powerful experiences in the musical education of young children. Among others, it was Zoltan Kodaly who advised practicing choir singing with music adepts. He, however, was rather thinking of folk material to be used. In this paper, convinced of benefits coming from practicing polyphonic singing in educational process author would like to suggest that also pop music songs – properly arranged – may turn out to represent a valuable pedagogical resource. She would like to present a concrete case study of songs by a Polish bard Marek Grechuta (1945-2006) arranged for choir as an example of educational material for teaching polyphonic hearing and singing. Author claims that polyphonic arrangements of specially chosen pop music songs can serve as an excellent tool in musical education enhancing the development of harmony learning, cooperation in group, etc.



## იოსებ ჟორდანია
ავსტრალია/საქართველო

დაიბადა და ეთნომუსიკოლოგიური განათლება მიიღო საქართველოში. 1978 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია, 1982 წელს აქვე მიიღო ფილოსოფიის დოქტორის, ხოლო 1991 წელს, კიევის სახელმწიფო კონსერვატორიაში – მუსიკოლოგიის დოქტორის ხარისხი. 1993 წლიდან არის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი. საქართველოს და ავსტრალიის მოქალაქე, 1995 წლიდან ცხოვრობს ავსტრალიაში. არის მელბურნის უნივერსიტეტის მუსიკის ფაკულტეტის მეცნიერ-თანამშრომელი. გამოცემული აქვს ასზე მეტი ნაშრომი ინგლისურ, ფრანგულ, ესპანურ, ფინურ, ჩინურ, არაბულ, ბულგარულ, რუსულ და ქართულ ენებზე, მათ შორის – ორი მონოგრაფია ტრადიციულ მრავალხმიანობაზე. მის მეორე მონოგრაფიას *ვინ დასვა პირველი შეკითხვა? ადამიანის გუნდური სიმღერა, ინტელექტი, ენა და მეტყველება* (2006, ინგლისურად) 2009 წელს მიენიჭა *ფუმიო კოიცუმის* პრიზი. მისი ბოლო მონოგრაფია *ვეფხვები, ლომები და ადამიანები: მეტოქეობის, კონფლიქტის, პატივისცემისა და სიყვარულის ისტორია* გამოქვეყნდა 2014 წელს. 1984 წელს თბილისის კონსერვატორიაში დაიწყო ტრადიციული მრავალხმიანობის კონფერენციებისა და სიმპოზიუმის ორგანიზება. არის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის ერთ-ერთი დამაარსებელი და უცხოეთის ბიუროს ხელმძღვანელი.

### ნაციონალური უმცირესობები, ხალხური მრავალხმიანობა, კულტურული პოლიტიკა და სახელმწიფო საზღვრები

მრავალხმიან ტრადიციათა უმრავლესობა არსებობს მსოფლიოს ყველაზე უფრო იზოლირებულ რეგიონებში და ამ ტრადიციების მატარებლები უმეტესად ნაციონალური უმცირესობები არიან. ეს ორი ფაქტორი განაპირობებს მრავალხმიანი ტრადიციების უმეტესობის შესწავლის მარგინალიზაციას. მოხსენება სპეციალურად განიხილავს მრავალხმიანი რეგიონების სპეციფიკურ სტრატიფიკაციას. ეს რეგიონები ხშირადაა დაყოფილი ორი ან მეტი ქვეყნის საზღვრების მიერ (მაგ. ალპები, პირინეები, კავკასია, ბალკანეთი, პოლესიე, ანდები, ტიბეტი, კალაჰარის უდაბნო). ამას თავისი ისტორიული მიზეზი აქვს. როცა რეგიონში ახალი მიგრაციული ტალღა შემოდის, ძველი მოსახლეობა იძულებულია შეეფაროს უფრო იზოლირებულ რეგიონებს (მთებს, ტყეებს, უდაბნოებს). მოგვიანებით, როცა იქმნება სახელმწიფო საზღვრები, სწორედ ამ იზოლირებულ რეგიონებში ხდება სადემარკაციო საზღვრების გავლება,რის შედეგადაც ეთნიკურად და კულტურულად დაკავშირებული მოსახლეობა აღმოჩნდება საზღვრის სხვადასხვა მხარეზე, სხვადასხვა სახელმწიფოებში. სწორედ ამიტომ, მრავალხმიანი ტრადიციის სრულყოფილი შესწავლა უნდა მოიცავდეს სხვადასხვა ქვეყნის სასაზღვრო რეგიონების კომპლექსურ შესწავლას.

## JOSEPH JORDANIA
AUSTRALIA/GEORGIA

Doctor of Musicology, Honorary Fellow at the Melbourne Conservatorium of Music University of Melbourne. Educated as an ethnomusicologist in Georgia. From 1993 Professor at Tbilisi State Conservatoire. Citizen of Australia and Georgia, has lived in Australia since 1995.
Author of more than a hundred published works in English, French, Spanish, Finnish, Chinese, Arabic, Bulgarian, Russian and Georgian, including two monograph studies on traditional polyphony. The monograph *Who Asked the First Question? The Origins of Human Choral Singing, Intelligence, Language and Speech* (2006, in English). Was awarded *Fumio Koizumi Prize in ethnomusicology* in 2009. His last monograph *Tigers, Lions and Humans: History of Rivalry, Conflict, Reverence and Love* was published in 2014. In 1984 started organising ongoing series of conferences and symposia on traditional polyphony at the Tbilisi State Conservatoire. He is the Founding Member and the Head of the Foreign Bureau of the International Research Centre for Traditional Polyphony at Tbilisi State Conservatoire.

### NATIONAL MINORITIES, TRADITIONAL POLYPHONY, CULTURAL POLICIES AND STATE BORDERS

Majority of polyphonic regions are in the most isolated regions of the world, and carriers of these traditions are predominantly national minorities. These two factors result in marginalization of the study of polyphonic traditions in many countries of the world. The paper will discuss a specific aspect of stratification of polyphonic regions. Polyphonic regions are often situated on the border between two or more countries (e.g. the Alps, Pyrenees, Caucasus, Balkans, Polesie, Andes, Tibet, Kalahari Desert). There are historical reasons behind this pattern of stratification. When a new migration wave arrives, they occupy more fertile lowlands, pushing the earlier inhabitants of this land towards more isolated areas (mountains, forests, deserts). Later, when the state borders are drawn, these isolated regions are often used as demarcation areas. This process suddenly places culturally and ethnically related peoples into different countries. Therefore, comprehensive study of polyphonic traditions should involve cross-cultural study of border regions between different countries.



## ნინო რაზმაძე
საქართველო

ხელოვნებათმცოდნეობის მაგისტრი ეთნომუსიკოლოგიაში (2011); ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის თანამშრომელი. მონაწილეობა აქვს მიღებული ათამდე სამეცნიერო კონფერენციაში. დაჯილდოებულია ეთნომუსიკოლოგიის მიმართულებით *საუკეთესო მოხსენებისა* და *საუკეთესო პრეზენტაციის* ნომინაციებში კონსერვატორიის სტუდენტურ კონფერენცია-კონკურსზე (2009). მისი კვლევის სფეროა ხალხური საკრავები და საკრავიერი მუსიკა. სამეცნიერო ინტერესების სფეროში შედის, აგრეთვე, ქართული ხალხური სიმღერის, ძველი ქართული პროფესიული და კავკასიის ხალხთა მუსიკის საკითხები. არის რადიოგადაცემებისა და საგაზეთო პუბლიკაციების ავტორი.
ეწევა დამოუკიდებელ საველე-შემკრებლობით საქმიანობას, მონაწილეობს ტრადიციული მუსიკის კონცერტების ორგანიზებაში, არის ავტორი და ორგანიზატორი საღამოსა *ერთი სოფლის ფოლკლორი – მერისი, აჭარა* (კონსერვატორია, 2010). თანაშემდგენელია სანოტო კრებულისა *ქართული ტრადიციული საეკლესიო გალობა, აუდიოჩანაწერები სასწავლო დისკებით* (2010). არის თანაშემდგენელი წიგნისა *ქართული საგალობლების ხელნაწერთა აღწერილობა და ანბანური კატალოგი* (2013, დავით შუღლიაშვილის თანაავტორობით). მღეროდა კონსერვატორიის სტუდენტურ ფოლკლორულ ანსამბლსა (2005-2007) და სხვადასხვა საეკლესიო გუნდში.

### *ძიქრი*, როგორც პანკისის ხეობის ქისტების იდენტობის გამომხატველი

მოხსენების თემაა საქართველოში მცხოვრები ჩაჩნების მუსიკალური კულტურა. ისინი საკუთარ თავს ქისტებს უწოდებენ. ცნობილია, რომ ქისტები ვაინახური, ძირძველი კავკასიური წარმომავლობის არიან; საქართველოში კომპაქტურად სახლობენ XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან. ისინი ეზიარნენ ქართულ კულტურას და დაეუფლნენ ქართულ ენას. საუბრობენ ქართულად და ქისტური ენის დიალექტზე. ქისტების კულტურა ქართულ-ჩეჩნური კულტურების სინთეზით ჩამოყალიბდა. ქისტები მაჰმადიანური რელიგიის მიმდევრები არიან. აქ ისლამთან შერწყმულია ძველი ადათ-წესები, წარმართული და ქრისტიანული რწმენა-წარმოდგენები.
მოხსენებაში განხილულია ერთ-ერთი ქისტური რელიგიური რიტუალი – ძიქრი, რომელსაც მოსახლეობის მცირე ნაწილიღა ასრულებს. ცნობილია, რომ იგი ასეთი სახით არაა გავრცელებული სხვა მუსლიმურ ქვეყნებში. მოხსენებაში განხილულია მისი სოციალური ფუნქცია, მუსიკალური მახასიათებლები, და ის თავისებურებები, რაც ქისტურ ძიქრს გააჩნია. მოხსენება ილუსტრირებული იქნება აუდიო და ვიდეომასალით (ტმკსც-ის საექსპედიციო მასალებიდან).

## NINO RAZMADZE
GEORGIA

Magister of Arts in ethnomusicology (2011); employee at the International Research Centre for Traditional Polyphony. Main focus of the study is Georgian folk instruments and instrumental music. Also works on various aspects of Georgian secular and sacred music. Has participated in about 10 scientific conferences. At the Students Conference-Contest in 2009 was awarded as the author of the best paper in ethnomusicology. Is the author of several radio programs and newspaper articles. Organizes independent field expeditions (2007-2010: Achara, Guria, Samegrelo). Participated in the organization of three noteworthy concert events (Tbilisi State Conservatoire, 2007, 2009), is the author and organizer of the evening of *One village folklore* (village of Merisi, Achara); is the co-compiler of the collection of scores *Georgian Traditional Church Chant, with self-study audio recordings*, Tbilisi, 2010. Is the co-author of the book *Description of the Manuscripts and Alphabet Catalogue of Georgian sacred Hymns* (2013). Was a member of the *Conservatoir student folk ensemble* (in 2005-2007, directed by Nato Zumbadze) and other choirs.

### *ZIKR* AS AN EXPRESSION OF THE IDENTITY OF THE KISTS FROM PANKISI GORGE

The paper deals with the musical culture of the Chechens residing in Georgia. They refer to themselves as the Kists. It is known that the Kists are of Vainakh-aboriginal Caucasian origin; they have lived in compact settlements in Georgia since the second half of the 18th century. They are well - familiarized with Georgian culture and speak Georgian language and Kist dialect. The Kist culture has been formed as a synthesis of Georgian-Chechen cultures.
The Kists follow traditional Islam; in their religion old traditions and customs, Pagan and Christian beliefs are merged with Islam. In the last decades introduced was radical religious movement – Wahhabism, which prohibits a number of rituals and customs and endangers the identity of the Kists from Pankisi Gorge. The paper discusses *Zikr* – one of the Kist rituals, today performed only by a very small number of people. It is known that *Zikr* (in this way) is not encountered in other Moslim countries. The focus of our interest is the social function, musical characteristics and peculiarities of the Kist *Zikr*. The paper is supplied with audio and video material (from the IRCTP field expedition).



## დაივა რაჩიუნაიტე-ვიჩინიენე
ლიტვა

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ლიტვის მუსიკალური აკადემიის ეთნომუსიკო ლო გიის კათედრის გამგე და დოცენტი. დაამთავრა ლიტვის მუსიკალური აკადემია (1985). გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნიერო სტატია. არის ავტორი წიგნისა: *სუტარტინესის შესრულების ტრადიცია* (2000) და *სუტარტინესი: ლიტვური პოლიფონიური სიმღერები* (2002). აქტიურად მონაწილეობს ლიტვაში და მის ფარგლებს გარეთ მოწყობილ კონფერენციებში. არის ESEM –ის და ლიტვის კომპოზიტორთა კავშირის წევრი, საერთაშორისო ფოლკლორული ფესტივალის ორგანიზატორი. სუტარტინესის შემსრულებელ გუნდ ტრის კეტურიოზეს ხელმძღვანელი. მისი სამეცნიერო ინტერესების სფეროა: სუტარტინესი და ადრეული მრავალხმიანობის სხვა ფორმები; ტრადიციული სიმღერა თანამედროვე კულტურაში; შესრულების თავისებურებები, მითოლოგია, ხმოვანი ჩანაწერების (კომპაქტური დისკების) გამოცემა.

### თანამედროვე ლიტვური მრავალხმიანი სიმღერა: ტიპოლოგიისა და ტერმინოლოგიის პრობლემა

ლიტვური ვოკალური მრავალხმიანობა (*სუტარტინეს*) მრავალი მკვლევრის ყურადღების ცენტრშია, ხოლო თანამედროვე მრავალხმიანი სიმღერა მცირედაა შესწავლილი. ავტორის ბოლოდროინდელმა კვლევამ გამოავლინა მრავალხმიანი სიმღერის სახეები, რომლებიც დღემდე გამოკვეთილი არ იყო (მაგ. მრავალტემბრიანი სამ-ოთხხმიანი ჰომოფონიური სიმღერა ზედა თანმხლები ხმით; ჰომოფონიასა და ბურდონს, მონოფონიასა და ჰომოფონიას შორის გარდამავალი ფორმები და სხვ.). მოხსენება არის თანამედროვე ლიტვური მრავალხმიანი სიმღერის კლასიფიკაციისა და განხილვის მცდელობა, რაც სხვადასხვა ეთნოკულტურულ რეგიონსა და ადგილობრივ ტრადიციაში მრავალრიცხოვანი და არაჰომოგენურია. განხილულია ადგილობრივ პრაქტიკასა და სამეცნიერო ტერმინოლოგიასთან დაკავშირებული საკითხები. ბევრი სხვა ქვეყნის მსგავსად, ლიტვური ეთნომუსიკოლოგია იზიარებს თანამედროვე მრავალხმიანი სიმღერის *ჰომოფონიურ* წარმოშობას. ნათელია, რომ ეს ტერმინი სწორად გამოიყენება მთლიანად, თანამედროვე წარმოშობის ლიტვური მრავალხმიანი სიმღერის მიმართ. ის კვლავ ხმარებაშია თანამედროვე წარმოშობისა და ადრეული მრავალხმიანობის შედარების მიზნით. ნაშრომში დაყენებული საკითხები მნიშვნელოვანია არა მარტო ლიტვური ტრადიციისათვის, არამედ, ტერმინოლოგიისა და ვოკალური მრავალხმიანობის ზოგადი ტიპოლოგიისთვის.

## DAIVA RAČIŪNAITĖ-VIČINIENĖ
LITHUANIA

Doctor of Arts, Associate Professor and Head of Academy of Music; Graduated from Lithuanian Academy of Music (1985). Is the author of many scientific articles and books including: *Sutartines atlikimo tradicijos* (*The Traditions of Performing the Sutartines*, 2000) and *Sutartines: Lithuanian Polyphonic Songs* (2002). Actively participates in conferences in Lithuania and abroad. Is a member of ESEM and the Lithuanian Composers' Union and organizer of the International Folklore Festival *Skamba skamba kankliai,* directs *Trys Keturiose* – a *sutartines* performer group. Areas of scientific interest include: *Sutartines* and other forms of early polyphony; traditional singing in contemporary culture; peculiarities of performance; publication of sound recordings; mythology.

### LITHUANIAN MULTIPART SINGING OF RECENT ORIGIN: THE PROBLEMS OF TYPOLOGY AND TERMINOLOGY

Lithuanian vocal polyphony (*sutartinės*) has already attracted the attention of many researchers, whereas multipart singing of recent origin has still been little investigated. Author's recent scientific research has revealed the ways of multipart singing which have not been highlighted thus far (e.g. polytimbre homophonic singing in three-four voices with upper accompaniment voice; transitional forms between homophony and drone, between monophony and homophony, and the like). The report attempts to classify and discuss Lithuanian multipart singing of recent origin which is manifold and non-homogeneous in different ethno cultural regions and local traditions. The issues related to local practice and scientific terminology are dealt with. Like in many other countries, ethnomusicology in Lithuania refers to multipart singing of recent origin as *homophony*. It is clear that this term is not completely right to use and is applicable to define the whole variety of Lithuanian multipart singing of recent origin. It is still used though, wishing to juxtapose the phenomena of multipart singing of recent origin to early polyphony. The issues raised in the report are urgent not only for Lithuanian tradition – they are associated with terminology and general typology of vocal polyphony.

## მაგდა სუხიაშვილი
საქართველო



ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის საეკლესიო მუსიკის მიმართულების ლაბორატორიის ხელმძღვანელი. თბილისის სასულიერო აკადემიის კურსდამთავრებული. თბილისის გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი სასწავლებლის საეკლესიო მუსიკის ისტორიისა და თეორიის კათედრის გამგე. ძველი ქართული საეკლესიო მუსიკის მკვლევარი. მონაწილეობა აქვს მიღებული ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში.

### ქართული საეკლესიო გალობის ზეპირი ტრადიციის შესახებ

ქართულ სამგალობლო პრაქტიკაში გალობის ზეპირმა ტრადიციამ განსაკუთრებული სიმყარე და სიცოცხლისუნარიანობა გამოავლინა. იგი უძველესი დროიდან XIX-XX საუკუნეების მიჯნამდე იყო დაცული, რასაც მოწმობს ჩვენამდე მოღწეული ისტორიული და ლიტერატურული წყაროები, სამუსიკო ტერმონოლოგია, ადიასტიმური სამუსიკო დამწერლობის სახეობები, საგალობელთა ნოტირებულ ნიმუშებში გამოვლენილი ხმათა შეწყობის ვარიანტები,სამგალობლო ხელოვნებაში შენარჩუნებული ფორმულებრივი აზროვნება. ეს ყოველივე ქართულ საგალობლებში საეკლესიო მუსიკის არქაული შრეების შენარჩუნებაზე უნდა მიუთითებდეს.

## MAGDA SUKHIASHVILI
GEORGIA

Doctor of Arts, Head of the Sacred Music Laboratory of Tbilisi State Conservatoire, alumna of Tbilisi Theological Academy, Head of Church Music History and Theory Department at Giorgi Mtatsmindeli Tbilisi High School for Sacred Chant, researcher of Georgian sacred music, has participated in national and international conferences.

### ON THE ORAL TRADITION OF GEORGIAN SACRED CHANT

In Georgian chant practice oral tradition has turned to be particularly steady and viable. It was preserved from ancient times until the turn of the 19th-20th centuries, to this testify the surviving historical and literary sources, musical terminology, types of adiastimic script, variants of vocal tuning in transcribed chant examples, thinking with formulas preserved in the art of chant. All these may indicate to the preservation of archaic layers of church music in Georgian sacred hymns.



## ნინო ფირცხალავა
საქართველო

ეთნომუსიკოლოგი, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ხალხური მუსიკალური შემოქმედების ლაბორატორიის თანამშრომელი. 1979 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკისმცოდნეობის ფაკულტეტი ფოლკლორის განხრით, ხოლო 1983 წელს – ასპირანტურა მუსიკალური ესთეტიკის სპეციალობით. იკვლევს ქართული საერო და სასულიერო მუსიკალური შემოქმედების ესთეტიკის საფუძვლებს შუა საუკუნეების ქართული ფილოსოფიის ასპექტით (იოანე პეტრიწი). გამოქვეყნებული აქვს არაერთი სტატია კონსერვატორიის სამეცნიერო კრებულებსა და ჟურნალებში. მონაწილეობს რესპუბლიკურ და საერთაშორისო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში.

### ერთი სამუსიკო ანალოგიის შესახებ იოანე პეტრიწის თხზულებაში *განმარტებანი*

იოანე პეტრიწის *განმარტებანი პროკლესათვის დიადოხოსისა და პლატონურისა ფილოსოფიისათვის* მუსიკის შესახებ არაერთ საინტერესო განსჯას მოიცავს. თხზულების მეორე თავში წარმოდგენილი ფილოსოფიური თეზის არსი მთელისა და მის შემადგენელ ნაწილთა ურთიერთმიმართების საკითხია. აღნიშნული საკითხის თვალსაჩინოების მიზნით, ქართველი ღმრთისმეტყველი რიცხვთა, საბუნებისმეტყველო, ლოგიკისა და მუსიკის სფეროდან აღებულ ხატოვან პარალელებს მიმართავს. ამ პარალელებში, როგორც წესი, მთელის შემკვრელი სამი ძირითადი ნიშნული სახელდება. საყურადღებოა სამუსიკო ანალოგიის ბოლო ფრაზა, რომელიც გეომეტრიის სფეროზე ყურადღების გამახვილებას ურჩევს მკითხველს. სავარაუდოდ, აღნიშნული სამუსიკო ანალოგიის ქვეტექსტი უნდა წარმოადგენდეს მუსიკალურ მთელში სამის ერთების კონკრეტულ ნიმუშზე, მუსიკალური აზროვნების ქართულ გვარეობაზე, სამხმიანობაზე მინიშნებას.

## NINO PIRTSKHALAVA
GEORGIA

Employee of the Georgian Folk Music Laboratory of V. Sarajishvili Tbilisi State Conservatoire. Graduated from Tbilisi State Conservatoire, in the specialty of musicology (1980). Her research focuses on the problems of aesthetic principles of Georgian secular and sacred music in the aspect of medieval Georgian philosophy. Has published a number of articles in the proceedings of scientific works and journals of Tbilisi State Conservatoire. Regularly takes part in local and international conferences.

### ON ONE ANALOGY IN IOANE PETRITSI'S *INTERPRETATIONS*

Ioane Petritsi's *Interpretations on Proclus Diadokhus and Plato* includes a number of interesting discussions. The essence of the philosophical theses presented in chapter two of the work is the interrelation between the whole and its parts. To clarify the issue, the Georgian theologian applies figurative parallels taken from numbers, natural history, logic and music. In these parallels, as a rule, named are three basic components of one whole. Noteworthy is the final phrase of the musical analogy which advices the readers to pay particular attention to geometry. Supposedly, the implication of this musical analogy indicates to the specific unity of the three, Georgian musical thinking, three-part singing.



## კაო შუ-ჩაო
ტაივანი, ჩინეთი

დაამთავრა ტაივანის ნაციონალური ნორმალური უნივერსიტეტი, არის ტონგვას უნივერსიტეტის ეთნიკური ურთიერთობებისა და კულტურების მაგისტრი. იყო უმაღლესი სასწავლებლის პედაგოგი, გამოცდილი ქორეოგრაფი, დრამატურგი და მიუზიკლის პროდიუსერი. ამჟამად არის ტაიტუნგის უმცროსი ასაკის სახელმწიფო კოლეჯის კულტურული და კრეატიული ინდუსტრიების მენეჯმენტის პედაგოგი. ასევე კურირებს სტუდენტების კლასგარეშე საქმიანობას. მიწვეული იყო რამდენიმე საგუნდო და საცეკვაო კონკურსის ინსტრუქტორად და ჟიურის წევრად. 1997 წელს დაარსა *ჩუ-იინის კულტურისა და ხელოვნების დასი*, ხელმძღვანელობდა ჯგუფის გასტროლებს ევროპაში, აზიასა და ამერიკაში, მონაწილეობდა კულტურულ გაცვლით პროგრამებში. არის მალანის მუსიკის პროდიუსერი. მისი პროექტები ნომინირებული იყო *ოქროს მელოდიის* მე-16 დაჯილდოებაზე *ტრადიციული მუსიკის კატეგორიასა* და 23-ე დაჯილდოებაზე *მუსიკის საუკეთესო ტრადიციული ინტერპრეტაციის კატეგორიაში.*

### პოლიფონიურია თუ მონოფონიური *ამისების* სიმღერა?
(ლუ იუ-სიუს თანაავტორობით)

ხმებში განაწილება მრავალხმიანობის საფუძველია. *ამისები* მღერიან ორხმიანობის კონცეფციით. ჯგუფის წევრების რაოდენობისა და მათი სასიმღერო უნარების მიხედვით, სიმღერა აკუსტიკურად შეიძლება წარმოდგენილი იყოს, როგორც მონოფონიური ან პოლიფონიური.
დისციპლინის განვითარების პროცესში ეთნომუსიკოლოგები ყურადღებით სწავლობენ ევროპაცენტრიზმის პრობლემას და თანხმდებიან, რომ გათვალისწინებული უნდა იყოს ეთნიკური ჯგუფების ადგილობრივი პერსპექტივა. მართლაც, ამისების ხმები უფრო გამოირჩევა ტემბრით, ვიდრე ბგერის სიმაღლით. პოლიფონიის ეფექტს ქმნის ძირითადი მელოდიის *მრუდი* (*ი'კუნგი*). *მრუდის* შექმნის ნიჭი მომღერლებთან ერთად იცვლება, ასე რომ, სხვადასხვა მომღერალი სხვადასხვა პოლიფონიურ აკუსტიკას ქმნის. მრავალხმიანი შესრულება რთული სასწავლი და სასწავლებელია.

## KAO SHU-CHUAN
TAIWAN, CHINA

She completed her Chinese graduate program in National Taiwan Normal University, and received Master's degree in Ethnic Relations and Cultures from Tonghwa University. She was a high school teacher, and was experienced in choreography, playwriting and musical play producing. Currently she teaches Cultural and Creative Industries Management at National Taitung Junior College. In school, she is also in charge of students' extracurricular activities. She was invited to serve as an instructor or a judge at several competitions in chorus and dancing. Ms. Kao founded *Chu-Yin Culture and Arts Troupe* in 1997. As the leader of the troupe, she conducted the team to perform in Europe, Asia and America, and experienced cultural exchange programs. She is also a producer of Malan music. Her projects were nominated for the *Traditional Music Category* at the 16th *Golden Melody Awards*, and *Best Traditional Interpretation Music* – at the 23th.

### IS THE SONG OF *AMIS* POLYPHONIC OR MONOPHONIC?
(co-author **Lu Yu-Hsiu**)

The division of the vocal parts is the basis of polyphony. The *Amis* sing their songs in the concept of two parts. However, a song can be presented acoustically in either monophony or polyphony according to the members of singing groups, and the singing skills they have.
In the development process of the discipline, ethnomusicologists re-inspect the problem of Europe-centralism, and agree that the local perspective of ethnic groups should be taken into account. In fact, the vocal parts of the *Amis* are distinguished by timbre, rather than pitch. The effect of polyphony is mainly created with the *curve* (*i'kung*) of core melody. The ability of *curve* varies with singers, so that the songs presented by different members show various polyphonic acoustics. The skill of presenting multi-part is difficult to be taught and learned.



## სუზან ციგლერი
გერმანია

დაამთავრა კიოლნის უნივერსიტეტის მუსიკოლოგია/ეთნომუსიკოლოგიისა და სლავური ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტები. მუშაობს ბერლინის ფონოგრამარქივში, ბერლინის ეთნოლოგიური მუზეუმის ეთნომუსიკოლოგიის განყოფილებაში, პრუსიული მემკვიდრეობის ფონდში. გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნიერო სტატია ბერლინის ფონოგრამარქივის ისტორიასა და მასალებზე. არის კომპაქტური დისკებისა და ისტორიული კოლექციის თანარედაქტორი.

### ქართული ჩანაწერები გერმანიის ტყვეთა ბანაკებიდან 1916-1918
(საპანელო მოხსენება **ნინო ნაკაშიძესთან** ერთად)

1915 წელს დაარსებულმა პრუსიის ფონოგრაფიულმა კომისიამ გერმანიის ტყვეთა ბანაკებში ჩაწერა ენები და მუსიკა; ამ პროექტში მონაწილეობას იღებდნენ ცნობილი გერმანელი მუსიკოლოგები, ენათმეცნიერები და ეთნოლოგები. ბერლინის ფონოგრანმარქივში დაცული ეს კოლექცია 1022 ცვილის ლილვაკისგან შედგება, აქედან 69-ზე ჩაწერილია ქართული მუსიკა. ლილვაკებს თან დართული აქვს შესაბამისი დოკუმენტაცია. ბერლინის ფონოგრამარქივისა და თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის თანამშრომლობით მომზადდა პროექტი ქართველი ტყვეების ჩანაწერების გამოსაცემად, რაც ამ მასალას ფართო მსმენელისთვის ხელმისაწვდომს გახდის. ეს იქნება წიგნი 2 კომპაქტური დისკით, ინფორმაციით ჩანაწერების ისტორიაზე, შემსრულებლებზე, რეპერტუარზე, სიმღერების ტექსტებით, კომენტარებითა და ფოტოებით.
პროექტის შესახებ ისაუბრებს სუზან ციგლერი, ხოლო ნინო ნაკაშიძე – ქართულ მასალასა და შემსრულებელთა შთამომავლებისგან მიღებულ გამოხმაურებებზე.

## SUSANNE ZIEGLER
GERMANY

Graduated in Musicology/Ethnomusicology and Slavic languages and literature from the University of Cologne. Has a position at Berlin Phonogramm Archiv, Ethnomusicology Department of the Ethnological Museum, National Museums in Berlin, Prussian Heritage Foundation. Is the author of a large number of scientific articles on the history and holdings of the Berlin Phonogramm Archiv and is the co-editor of the historical collections of CD series.

### GEORGIAN RECORDINGS MADE IN GERMAN PRISON CAMPS 1916-1918
(Panel presentation with **Nino Nakashidze**)

The Royal Prussian Phonographic Commission, founded in 1915 documented language and music in German war camps. Renowned German musicologists, linguists and ethnologists were involved in the project. The collection comprises 1022 wax cylinders, among them 69 with Georgian music, which are today held at Berlin Phonogramm Archiv. The cylinders are supplemented by relevant documentation.
In cooperation between Berlin Phonogramm Archiv and the Tbilisi Conservatory a project has been prepared to publish the recordings of Georgian war prisoners and to make them available to the public. A book with two CDs, articles on the history of the recordings, the singers, repertoire, song texts, comments and photos is being prepared.
Susanne Ziegler will give an introduction into the project and history of the recordings; Nino Nakashidze will give an overview on the Georgian material and report about the comments of the singers' descendants.



## ნინო ციციშვილი
ავსტრალია/საქართველო

მელბურნის მონაშის უნივერსიტეტის მეცნიერ მუშაკი. 2005 წელს ამავე უნივერსიტეტში მიენიჭა ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი. 2010 წელს მისი ავტორობით გამოიცა წიგნი: *ეროვნული ერთობა და გენდერული განსხვავება; ქართული ტრადიციული მუსიკის იდეოლოგიები და პრაქტიკები*, მისივე სადოქტორო დისერტაციის საფუძველზე. იკვლევს კავშირებს მუსიკას, სოციალურ სისტემებსა და ისეთ პოლიტიკურ იდეოლოგიებს შორის, როგორიცაა ნაციონალიზმი და გენდერული რეჟიმები, როგორც ტრადიციული, ისე პოპულარული მუსიკის ჟანრებში. მისი პუბლიკაციები ასევე ეძღვნება მუსიკალური სტილების ინტერდისციპლინარულ და შედარებით კვლევას, მათ შორის ქართული, ბალკანური და შუა აღმოსავლეთის სასიმღერო ტრადიციების არქეოლოგიური და ფიზიკურ-ისტორიული ანთროპოლოგიით გამყარებულ ინტერ-რეგიონალურ ანალიზს.

### სასიყვარულო სიმღერა, კოლექტიური კულტურები და სქესობრივი ტაბუ

მოხსენებაში ავტორი შედარებით კონტექსტში განიხილავს კავშირს სამ სოციალურ-კულტურულ ფაქტორს შორის: 1) სასიყვარულო სიმღერის (ლირიკული სიმღერის) ადგილი კულტურაში; 2) მკაცრი ან დამთმობი სქესობრივ-რეპროდუქციული ურთიერთობები საზოგადოების წევრებს შორის; 3) რომანტიკული სიყვარულის იდეის არსებობა და მნიშვნელობა მოცემულ კულტურაში. წინა კვლევის მიხედვით ლირიკული სიმღერის გავრცელება კულტურაში პირდაპირპროპორციულ კავშირშია რომანტიკული სიყვარულის იდეის და სქესობრივი ტაბუების არსებობასთან.
როგორც ჩანს, პირდაპირი კავშირი მრავალხმიანობას, სასიყვარულო სიმღერის ჟანრსა და სქესობრივ ტაბუს შორის არ არსებობს, რაც ნიშნავს, რომ მთელ რიგ მრავალხმიან კულტურებში, ისევე როგორც ერთხმიან კულტურებში, სიყვარულის იდეა, სქესობრივი აკრძალვა და სასიყვარულო სიმღერა საკმაოდ გავრცელებული და ერთმანეთთან დაკავშირებულია. მიუხედავად ამისა, დამთმობი სქესობრივი იდეოლოგიის მატარებელი კულტურები, რომლებშიც ლირიკული სიმღერები ან არ არის ან უმნიშვნელო ადგილი უკავია, ხშირად მრავალხმიანი და ბუნებით კოლექტიურები არიან.

## NINO TSITSISHVILI
AUSTRALIA/GEORGIA

Is an Adjunct Research Fellow at the School of Music/Conservatorium at Monash University, Melbourne, where she graduated PhD in 2005. Her book entitled *National Unity and Gender Difference: Ideologies and Practices in Georgian Traditional Music* based on her doctoral dissertation was published in 2010. Tsitsishvili's research and publications concern links between music, social systems and political ideologies such as nationalism and gender regimes, both in traditional and popular music genres. Her publications also involve interdisciplinary and comparative research of musical styles, including inter-regional analysis of Georgian, Balkan and Middle Eastern singing traditions supported by the findings of archaeology and physical-historical anthropology.

### LOVE SONG, COLLECTIVE CULTURES, AND SEXUAL TABOOS

In this paper author attempts a cross-cultural examination to trace correlations between three variable socio-cultural factors: 1) presence and significance of love song genre; 2) restrictive or permissive sexual-reproductive system; and 3) presence and significance of the ideology and practice of romantic passion. According to my previous research, profusion of love song genre in societies is correlated with the presence of romantic passion/love, and considerable sexual restrictions and taboos.
There is no direct correlation between the presence of polyphony in culture, permissive sexuality, and insignificance of love song genre; polyphonic as well as monophonic cultures may exercise restrictive sexuality and practice love song as an important genre in their song repertoire. Nevertheless, often those societies in which love song is insignificant or absent due to more permissive sexual-reproductive systems, are mostly polyphonic or at least, based on group singing and other forms of communal co-existence.



## ზაალ წერეთელი
საქართველო

მათემატიკოსი. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი და ასპირანტურა ალგებრისა და კატეგორიათა თეორიის სპეციალიზაციით. 1983 წლიდან მუშაობს სხვადასხვა დაწესებულებაში წამყვანი პროგრამისტის თანამდებობაზე. მიღებული აქვს მონაწილეობა პროგრამირების მრავალ პროექტში საზღვარგარეთულ და ქართულ კომპანიებთან. მისი სტატია მუსიკალურ აკუსტიკაში, ინსტრუმენტების ტემბრების ავტომატური ამოცნობის შესახებ გამოქვეყნდა ედინბურგის საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალებში. 1989 წლიდან თბილისის ანჩისხატის ეკლესიის მგალობელთა გუნდის წევრია. მიღებული აქვს მონაწილეობა მრავალ ფოლკლორულ კონცერტში საქართველოსა და საზღვარგარეთ. ამჟამად მუშაობს საზოგადოებრივი აზრის კვლევისა და მარკეტინგის ინსტიტუტში.

### ქართული ბგერათრიგის შესახებ
(**ლევან ვეშაპიძის** თანაავტორობით)

ქართული ხალხური მუსიკის ბგერათრიგი რომ არც მაჟორულ-მინორულია და არც შუა საუკუნეების ევროპული კილოების წყობას ემთხვევა, ამაზე მუსიკისმცოდნეები აღარ დავობენ, თუმცა, კონკრეტულად, როგორია ეს ბგერათრიგი, ესაა თანამედროვე მკვლევართა ინტერესის საგანი. ამ საკითხს სხვადასხვა დროს იკვლევდნენ ქართველი და უცხოელი სპეციალისტები, რომელთაც არაერთი საყურადღებო ვარაუდი აქვთ გამოთქმული. მოხსენება ორი წლის პრაქტიკული კვლევების საფუძველზე ქართული ბგერათრიგის შესახებ მიღებული მეტად საინტერესო შედეგების გამომზეურების მორიგ მცდელობას წარმოადგენს.

## ZAAL TSERETELI
GEORGIA

Mathematician, graduated from Tbilisi State University Department of Mechanics-Mathematics. Took Post Graduate Course in Algebra and Theory of Categories. Since 1983 has worked as a Senior programmer in various institutions. Has participated in lots of programming projects with foreign companies. His publication in musical acoustics, concerning automatic recognition of the timbres of musical instruments, was printed in the proceedings of the International Symposium in Musical Acoustics in Edinburgh. Since 1989 is a member of Tbilisi Anchiskhati church choir. Participated in many folk concerts in Georgia and abroad. Currently works at the Institute of Polling Marketing.

### ON GEORGIAN SCALE
(Co-author **Levan Veshapidze**)

Musicologists do not argue any more about the fact that Georgian scale is neither major-minor, nor does it coincide with European modal scale, but the topic of study for today's researchers is what this scale was like. At various times this issue was studied by Georgian and foreign scholars, who have uttered a number of interesting considerations. The work "On Georgian Scale" presents rather interesting results of the 2-year research on Georgian scale.



## სვიმონ (ჯიქი) ჯანგულაშვილი
საქართველო

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის აკადემიური გუნდის დირიჟორობის მაგისტრი (2004); საეკლესიო მუსიკის მაგისტრი (2008); ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი. თბილისის ყოვლადწმიდა სამების საკათედრო ტაძრის საპატრიარქო გუნდის რეგენტი (1998 წლიდან). მონაწილეობს კათოლიკოს-პატრიარქის მიერ აღსრულებულ ყველა ღვთისმსახურებაში, როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. არის ქართული საეკლესიო გალობისა და ხალხური სიმღერის უმაღლესი სასწავლებლის პედაგოგი; საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საეკლესიო გალობის განყოფილების ხელმძღვანელი. არის სამეცნიერო სემინარების, კონფერენციებისა და სიმპოზიუმების მონაწილე. მისი სამეცნიერო ინტერესების სფეროა შუა საუკუნეების ქართული და ევროპული საეკლესიო მუსიკა.

### შუა საუკუნეების ქართული და ევროპული მრავალხმიანობა: რამდენიმე პარალელი

ამ მოხსენების იმპულსი გახდა 2012 წლის სიმპოზიუმის ფარგლებში გამართული მრგვალი მაგიდა, რომელიც მიეძღვნა მოდალობის პრობლემას შუა საუკუნეების ქართულ და ევროპულ მუსიკაში.
შუა საუკუნეების ქართულ-ევროპული მუსიკალური აზროვნების ურთიერთმიმართების შესახებ არსებობს როგორც ქართველ, ასევე უცხოელ მკვლევართა (ზ. ნადელი, ი. ჯავახიშვილი, ს. რანკინი, ჯ. გრემი) მოსაზრებები.
მოხსენებაში ყურადღება გამახვილებულია ქართული ტრადიციული და შუა საუკუნეების ევროპული მრავალხმიანობის მუსიკალურ სტრუქტურაში გამოვლენილ ზოგიერთ პარალელზე.

## SVIMON (JIKI) JANGULASHVILI
GEORGIA

Magister in the conduction of Academic Choir (2004); Magister in sacred music (2008) and Doctoral student at Tbilisi State Conservatoire (since 2008); Doctor of Arts. Director of the Holy Trinity Cathedral Church Choir of the Georgian Patriarchy (since 1998); Takes part in all divine services conducted by Ilia II – Catholicos-Patriarch of All Georgia both in Georgia and abroad. Is teacher at the High School of Church Chant and folk Song. Head of the Department of the Sacred Music of the Folklore State Centre of Georgia. Participated in a number of scientific seminars, conferences and symposia. His scholarly interest is focused on midieval Georgian and European sacred music.

### MEDIEVAL GEORGIAN AND EUROPEAN POLYPHONY: SEVERAL PARALLELS

The Round table session, dedicated to the problem of modality in Medieval Georgian and European music, held as part of the Symposium on Traditional Polyphony in 2012 gave me an impetus to write this paper.
Both Georgian and foreign scholars (Z. Nadel, I. Javakhishvili, S. Rankin, J. Graham) have expressed therir considerations on the interrelation of Medieval Georgian-European musical thinking.
The paper focuses on some parallels revealed in the musical structure of Georgian traditional and Medieval European polyphony



## კაე ჰისაოკა
იაპონია

ოსაკას უნივერსიტეტის დოქტორანტი მუსიკოლოგიაში. ჰოკაიდოს უნივერსიტეტის ხელოვნების მაგისტრი ლიტერატურაში (სლავური კვლევები). გაიარა ქართული ხალხური მუსიკის მოკლე კურსი თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრში. მუშაობს თანამედროვე კავკასიურ მუსიკალურ კულტურაზე, განსაკუთრებით, მე-20 საუკუნის საქართველოს კულტურულ პოლიტიკასა და ხალხურ მუსიკაზე. მისი ინტერესის სფეროა კავკასიის რეგიონის ეთნიკური ჯგუფების მრავალხმიანობის ისტორიული მრავალფეროვნება და სხვა მუსიკალური ფორმები.
ნაშრომები: *რეგიონული იდენტობის ფორმირება მუსიკაში გარმონისთვის: ჩრდილო-აღმოსავლეთ საქართველოს თუშეთის რეგიონი* (ჟურნ. *Handai Ongaku Gakuho, 10* (ივნისი, 2010). *კულტურის გამოვლინებები ქართულ მრავალხმიან სიმღერაში: მუსიკოლოგთა საუბრები რუსული იმპერიული პერიოდის ბოლოს* (ჟურნ. Ongaku Kenkiu, 75 (2010), 1-20).

### ბურდონის წარმოშობა ქართულ მრავალხმიანობაში: მოხეტიალე მუსიკოსების ისტორიული როლი

ქართული და ჩრდილო-კავკასიური ხალხური მრავალხმიანობის ყველაზე ფართოდ გავრცელებული მუსიკალური ფორმაა ბურდონი (ჟორდანია 2009, მაისურაძე 2004). ჟორდანია აცხადებს, რომ ბურდონი ევროპული მრავალხმიანობის უძველესი ფორმაა, რომელიც მხოლოდ მსოფლიოს ყველაზე იზოლირებულ ადგილებშია შენარჩუნებული. ეს მინიშნება საინტერესოა ბურდონული მრავალხმიანობის წარმოშობის ჭრილში. შილაკაძე (2009) ამტკიცებს, რომ ქართულ ვოკალურ მრავალხმიანობაზე გავლენა მოახდინა ზოგიერთი მუსიკალური საკრავის ჟღერადობამ – მათ შორის გუდასტვირებისა და სიმებიანებისა. ეს კვლევები ბურდონული ბანის წარმოშობის გაგებაში გვეხმარება. მოხსენებაში ავტორი ყურადღებას ამახვილებს ბურდონული ბანის წარმოქმნის პროცესზე ქართულ და ჩრდილო-კავკასიურ ხალხურ მუსიკაში გუდასტვირსა და ორლულიან ინსტრუმენტებზე დამკვრელი მოხეტიალე მუსიკოსების, როგორც „ბურდონის მედიატორების“ როლის გათვალისწინებით.

## KAE HISAOKA
JAPAN

Doctoral student in Musicology at Osaka University. M.A. in Literature (Slavic Research), Hokkaido University. Completed short course of Georgian Folk Musk at the International Research Center for Traditional Polyphony of Tbilisi State Conservatoire. Her research focuses on the creation process of modern musical culture of the Caucasus, focusing particularly on the 20th century Georgian cultural policy and folk music studies. She is also interested in studying the creation of historical diversity in polyphony and other musical forms of ethnic groups in the Caucasian region.
Works: *Formation of Regional Identity in Garmoni Music: From the Tusheti Region in North-East Georgia* In: *Handai Ongaku Gakuho*, 10 (2012, June); *Cultural representations of Georgian polyphonic singing: The Discourse of Musicologists at the End of the Russian Imperial Period Toyo Ongaku Kenkyu*, 75 (2010), 1-20.

### THE ORIGIN OF THE BASS DRONE IN GEORGIAN POLYPHONY: THE HISTORICAL ROLE OF WANDERING MUSICIANS

Bass drone is the most widely distributed musical form in the folk polyphony of the Georgian and North-Caucasian ethnic groups (Jordania 2009, Maisuradze 2004). Jordania (2009) pointed out that the drone is an ancient European polyphonic form that remains only in isolated places around the world. This indication is interesting in the light of the origin of drone polyphony. Shilakadze (2009) asserted that the sounds of certain musical instruments – including drone bagpipes and stringed instruments – have influenced Georgian vocal polyphony. These studies provide some insight through which to consider the origin of bass drone. In this paper, author focuses on the process of bass drone creation in Georgian and North-Caucasian folk polyphony by considering the role of wandering musicians – who play bagpipes and double-reed instruments in several places in the Caucasus – as “drone mediators”.

## მრგვალი მაგიდა: *მოდი, ვისაუბროთ ბურდონზე*
## ROUND TABLE: *LET'S TALK ABOUT DRONE*

### წამყვანი: იზალი ზემცოვსკი
### Speaker: IZALY ZEMTSOVSKY

არსებობს ბევრნაირი ბურდონი – ფოლკლორში, ზეპირ პროფესიულ და ტრადიციულ ლიტურგიკულ ჟანრებში; ვოკალურ და ინსტრუმენტულ მუსიკაში; გაბმული და რიტმული, სოლო შესრულებაში, პატარა ანსამბლსა და დიდ გუნდში, ღია ცის ქვეშ და დახურულ სივრცეში და ა.შ.
სადისკუსიოდ შემოთავაზებულია ბანის ორი ძირითადი ტიპი: ბანი ერთხმიანობაში (ხშირად, მაგრამ არა მხოლოდ, როგორც ფიქსირებული და გაბმული) და ბანი მრავალხმიანობაში (როგორც მეტ-ნაკლებად მოძრავი და ზოგჯერ მელოდიურიც კი). ეს დისკუსია ნამდვილი გამოწვევაა.
შესაძლებელი იქნება, ასევე, ბურდონის შესახებ არსებული მრავალენოვანი ლიტერატურის კრიტიკული მიმოხილვა და მისი კლასიფიკაცია.
ანთროპოლოგიურად თუ ვიტყვით, ბურდონის საკითხი იმდენად ფუნდამენტური და მნიშვნელოვანია, რომ იგი სცილდება როგორც ეთნომუსიკოლოგიის, ისე მუსიკოლოგიის საზღვრებს.

There are many kinds of bourdon – in folk, oral professional and liturgical traditional genres; in vocal and instrumental music; drone-pitch and drone-rhythmic formula; drone in a solo performance, in a small ensemble and in a big choir; drone in the outdoor and indoor singing, and so on, and so forth.
For discussion offered are two basic types of droning: drone in monody (often, but not solely, as fixed and protracted drone-pitch) and drone in polyphony (as more or less movable and sometimes even melodic one, among others). The perspectives of this discussion are truly challenging.
The critical survey of existing multilingual literature dedicated to the problem of drone and its classification should also be very appropriate.
Anthropologically speaking, the drone question has so fundamental significance for the humanities that it exceeds the bounds of ethnomusicology and musicology alike.



## ალმა კუნანბაევა
აშშ/რუსეთი/ყაზახეთი

კულტურის ანთროპოლოგი, ეთნომუსიკოლოგი, ფოლკლორისტი, მწერალი და ლინგვისტი. დაამთავრა ალმა-ატისა და მოსკოვის სახელმწიფო კონსერვატორიები, 1982 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია პეტერბურგის თეატრის, მუსიკისა და კინოს სახელმწიფო ინსტიტუტში.
სხვადასხვა დროს იყო სანკტ-პეტერბურგის პედაგოგიური უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი, ხელმძღვანელობდა ყოფილი საბჭოთა კავშირის ხალხთა ეთნოგრაფიის მუზეუმის ცენტრალური აზიისა და კავკასიის ხალხების ეთნოგრაფიის კვლევის განყოფილებას; აშშ-ში გადასვლის შემდეგ, 1993 წლიდან, ასწავლიდა ვისკონსინ-მედისონის, ბერკლის (კალიფორნია), ვაშინგტონის (სიეტლი) და აიოვას უნივერსიტეტებში. 2004 წლიდან ასწავლის სტენფორდის უნივერსიტეტში.
არის 50-ზე მეტი სტატიისა და ყაზახური, რუსული, ბრიტანული და ამერიკული ენციკლოპედიების, მათ შორის *New Grove's Dictionary of Music and Musicians* და *Garland Encyclopedia of World Music*-ის ათობით თემის ავტორი. 2001 წელს ნიუ იორკში გამოქვეყნდა მისი სამენოვანი (ყაზახური, რუსული და ინგლისური) ესეების წიგნი *ყაზახეთის სული* უეინ ისთეფის ფოტოებით. 2005 წელს მონაწილეობა მიიღო ლონდონის მსოფლიო სერიის კომპაქტური დისკის – *სტეპების სიმღერები: ყაზახური მუსიკა დღეს* – მომზადებაში. 2013 წელს გამოსცა ყაზახური ეპიკური სიმღერების ექვს-დისკიანი კომპლექტი *აბრეშუმის გზის სახლის მუსიკალური საგანძური*, რომელიც პირველად ითარგმნა ინგლისურ ენაზე.
იგი აქტიურად მონაწილეობს ცენტრალური აზიის, მისი ენების, ისტორიისა და კულტურისადმი მიძღვნილ საველე ექსპედიციებში, მასტერკლასებში, საერთაშორისო კონფერენციებსა და პროექტებში.
2006 წლიდან არის არასამთავრობო ორგანიზაციის აბრეშუმის გზის სახლის პრეზიდენტი ბეი არეაში (ჩრდილოეთ კალიფორნია), რომელიც პოპულარიზაციას უწევს სხვადასხვა ეთნიკურ კულტურულ ტრადიციას; რუსეთისა და ამერიკის არაერთი ჯილდოს მფლობელი, მრავალი საზოგადოებისა და ასოციაციის წევრი, შეყვანილია ბიოგრაფიულ ენციკლოპედიაში *რუსეთის ყაზახები* (2007), *ვინ ვინ არის ამერიკაში* (2010 წ-დან) და *ამერიკელი ქალები: ვინ ვინ არის* (2011).

## ALMA KUNANBAEVA
(USA/RUSSIA/KAZAKHSTAN)

Dr., specializes in cultural anthropology, ethnomusicology, folklore, storytelling, and linguistics. Graduated from the Moscow and Almaty State Conservatories, earned Ph.D. from the State Institute of Theater, Music and Film in St. Petersburg, Russia (1982). At various times she was an Associate Professor at the St. Petersburg Pedagogical University, chaired the Research Department of Ethnography of the Peoples of Central Asia and the Caucasus at the State Ethnographic Museum of the Peoples of the former USSR. From 1993, while in the US, she has taught at the universities such as Wisconsin-Madison, California at Berkeley, Washington in Seattle and Iowa. Since 2004 she has taught at Stanford University.
Is the author of over 50 scholarly articles and dozens of entries in Kazakh, Russian, British and American encyclopedias including the *New Grove's Dictionary of Music & Musicians* and the *Garland Encyclopedia of World Music*. Her book *The Soul of Kazakhstan* with numerous photographs of Wayne Eastep in three languages (Kazakh, Russian, and English) was published in 2001. In 2005 she participated in the production of the compact disc *Songs from the Steppes: Kazakh Music Today* of the London's Topic World Series. In 2013 published a unique set of six compact discs *Musical Treasures of the Silk Road House* dedicated to Kazakh epic songs recorded and translated into English for the first time ever.
Dr. Kunanbaeva has been actively participating in numerous field works, workshops, international conferences, and projects dedicated to Central Asia, its language, history, and culture.
Since 2006, is the President of the Silk Road House – a pioneering non-profit organization in Bay Area, a cultural and educational center created to promote and celebrate an impressive array of diverse ethnic traditions.
Is the owner of several Russian and USA Awards, member of numerous Societies and Associations. Listed in the biographical encyclopedia *Kazakhs in Russia* (2007), in *Who's Who in America (since 2010)* and *Who's Who of American Women* (2011).



## იზალი ზემცოვსკი
აშშ/რუსეთი

დოქტორი, ფოლკლორისტი და ეთნომუსიკოლოგი, სლავური კულტურებისა და მათი ევრაზიული ეთნიკური კავშირების, კავკასიის, ცენტრალური აზიისა და რუსულ-ებრაული მუსიკის სპეციალისტი. მისი კვლევის სფეროებია მუსიკა და ეთნოგენეზი; მუსიკა, როგორც ისტორია მუსიკის ისტორიის წინააღმდეგ; სმენის ანთროპოლოგია, ფოლკლორი და გეოგრაფია; ზეპირი პოლიფონია; მუსიკა და მხატვრობა.
არის პეტერბურგის უნივერსიტეტის რუსული ფილოლოგიის მაგისტრი და პეტერბურგის კონსერვატორიის ეთნომუსიკოლოგიისა და კომპოზიციის მაგისტრი, რუსეთის თეატრის, მუსიკისა და კინემატოგრაფიის სახელმწიფო ინსტიტუტის ეთნომუსიკოლოგიის დოქტორი (1964), უკრაინის ხელოვნების, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის ინსტიტუტის ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის დოქტორი (1981).
სხვადასხვა დროს მუშაობდა რუსეთის ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტში (პეტერბურგი), იყო რუსეთის კომპოზიტორთა კავშირის ფოლკლორის განყოფილების, რუსეთის პედაგოგიური უნივერსიტეტის ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის ხალხების ტრადიციული კულტურის განყოფილების ხელმძღვანელი.
1994 წლიდან იგი ცხოვრობს აშშ-ში, არის ლოს-ანჯელესის კალიფორნიის უნივერსიტეტის ეთნომუსიკოლოგიის განყოფილების მოწვეული პროფესორი, მიჰყავდა სხვადასხვა კურსები ამავე უნივერსიტეტში, ვისკონსინ-მედისონის, ბერკლის კალიფორნიისა და სტენფორდის უნივერსიტეტებში.
1997 წელს მიენიჭა *იაპ კუნსტის* პრიზი ეთნომუსიკოლოგიაში, *ერნსტ ბლოხის* პროფესორის წოდება ბერკლის კალიფორნიის უნივერსიტეტში, ვისკონსინ-მედისონის უნივერისტეტის *ბრიტინგემის* სტიპენდია (2000) და *ფუმიო კოიცუმის* პრიზი ეთნომუსიკოლოგიაში (2011).
არის სხვადასხვა ქვეყნის მრავალი საზოგადოების, ასოციაციისა და საბჭოს წევრი, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის საპატიო პროფესორი (2006).
შესულია საერთაშორისო ენციკლოპედიებსა და ბიბლიოგრაფიულ გამოცემებში, ამერიკის ბიბლიოგრაფიულმა საზოგადოებამ 2006 წელს მას *XXI საუკუნის უდიდესი გონების* ტიტული მიანიჭა.
არის მრავალი წიგნისა და სხვადასხვა ენაზე დაბეჭდილი 550-ზე მეტი სტატიის ავტორი. მის პატივსაცემად გამოიცა ორი საიუბილეო კრებული.

## IZALY ZEMTSOVSKY
(USA/RUSSIA)

Dr., folklorist and ethnomusicologist, specializes in Slavic cultures and their Eurasian ethnic connections, including music of the Caucasus, Central Asia, and Russian Jewish music. Among his scholarly interests is music and ethnogenesis; music as history vs. history of music; anthropology of hearing; folklore and geography; oral polyphony; music and painting.
Earned B.A. in composition at St. Petersburg College of Music, M.A. in Russian philology at St. Petersburg University and M.A. in ethnomusicology and composition at St. Petersburg Conservatory, Ph.D. in ethnomusicology at the Russian State Institute of Theater, Music, and Cinematography (1964), and a Doctorate in ethnography and folklore at the Ukrainian Institute of Arts, Ethnography, and Folklore (1981).
Since 1960 he has worked at the Russian Institute for the History of the Arts (St. Petersburg), chaired the Folklore Department of the Union of Russian Composers and, the new Department of Traditional Culture of Siberian and Far East Peoples at the Russian Pedagogical University in St. Petersburg.
From 1994, while in the US, was a visiting professor at UCLA Department of Ethno-musicology, taught various courses at UCLA, UW Madison, UC Berkeley, and Stanford. Since 2006, he is a founding Board Director of the Silk Road House – a pioneering non-profit organization in Bay Area, California.
Has been awarded the Jaap Kunst Prize in Ethnomusicology (1997), the Ernest Bloch Professorship at the University of California at Berkeley (1998), the Visiting Brittingham Scholarship, University of Wisconsin-Madison (2000), and the Koizumi Prize for Ethnomusicology (2011).
Is a Member of world's numerous Societies, Associations and Councils, Honorary Professor at Vano Sarajishvili Tbilisi State Conservatoire (2006).
Listed in the New Grove Dictionary of Music and Musicians, 2nd Edition (Vol. 27, 2001), Who's Who in Music (from the 8th edition), Men of Achievement, 6th ed., among others. The American Biographical Institute named him a Great Mind of the 21st Century (2006).
Is the author of a score of books and more than 550 articles published in different languages. Two Festschrifts have been published in his honor.



ფოტო: მ. კილაძე / Photo: M. Kiladze

## კონსერვატორიის დიდი დარბაზი

აგებულია 1938-1941 წლებში. იგი, როგორც არქიტექტურული ძეგლი, შესულია კულტურული მემკვიდრეობის უძრავ ძეგლთა სიაში. დარბაზი აღდგენილი და რესტავრირებულია 1997 წელს. დარბაზი გათვლილია 500 ადგილზე. გამოირჩევა შესანიშნავი აკუსტიკური თვისებებით. გათვალისწინებულია კამერული და სიმფონიური მუსიკის კონცერტებისათვის. დარბაზს ამშვენებს *Alexsander Schuke Potsdam*-ის ფირმის 3-მანუალიანი 40-რეგისტრიანი ორგანი, *Steinway & sons*-ის ფირმის ორი საკონცერტო როიალი, გააჩნია ციფრული ხმის ჩამწერი სტუდია, მოძრავი სცენა, საორკესტრო ორმო და ყველა ის შესაძლებლობა, რომელიც პასუხობს თანამედროვე საკონცერტო დარბაზების საერთაშორისო სტანდარტებს. სხვადასხვა წლებში დარბაზში კონცერტებს მართავდნენ მსოფლიოში სახელგანთქმული ქართველი და უცხოელი მუსიკოსები, მათ შორის: ა. გოროვიცი, ე. პეტრი, დ. შტიდრი, ო, რიდი, ს. რიხტერი, ე. გილელსი, მ. როსტროპოვიჩი. კონსერვატორიის დიდი დარბაზი დღესაც სისხლსავსე ცხოვრებით ცხოვრობს და დედაქალაქის მნიშვნელოვანი კულტურული ცენტრია. ბოლო წლებში კონსერვატორიის დიდ დარბაზში ტრადიციულად ტარდება საახალწლო კონცერტების სერია, რომელშიც მონაწილეობენ თანამედროვეობის გამოჩენილი მუსიკოსები.

## THE GRAND HALL OF THE CONSERVATOIRE

The Grand Hall of the Conservatoire was built in 1938-1941. The Hall has been as an object of national cultural heritage. The Hall was renovated in 1997. The Grand Hall seats an audience of 500 and is distinguished for its perfect acoustic qualities. It provides all the necessary facilities for chamber and symphony music concerts while its revolving stage and orchestra pit allow for opera performances. The Hall prides itself on a three manual forty register *Alexander Schuke Potsdam* organ and two *Steinway & Sons* concert grand pianos both in excellent condition. The Grand Hall has digital audio-recording facilities. In different years outstanding musicians of the world such as: A. Horovitz, E.Petri, D. Shtidri, O Reed, S, Richter, D Oistrach, E Gilels, M Rostropovich, etc performed on the stage of the Grand Hall. Nowadays the Grand Hall is one of the major cultural centres of the capital. It has become good tradition to hold series of the New Year's concerts with the participation of prominent Georgian and visiting musicians.



## კონსერვატორიის მცირე დარბაზი

მცირე დარბაზი საზეიმოდ გაიხსნა 1904 წლის 7 ნოემბერს. დარბაზის დამთავრებისათვის თანხა გაიღეს მეცენატებმა კონსტანტინე ალიხანოვმა და ძმებმა იაკობ და სტეფანე ზუბალაშვილებმა. დარბაზის ინტერიერი გვარწმუნებს იმაში, რომ XX საუკუნის დასაწყისში თბილისში არტმოდერნმა შემოაღწია. არქიტექტურული გაფორმება ეკუთვნის ცნობილ მხატვარ-დეკორატორ ნოვაკს, რომელმაც დარბაზის შიდა კედლები და ჭერი მოდერნის სტილის ძერწილი ჩუქურთმებით მორთო და მოავარაყა; კედლების გასწვრივ ბახის, ბეთჰოვენის, გლინკას, რუბინშტეინის ბიუსტებია განლაგებული; დარბაზის ელექტროგანათებისა და მოპირკეთების სამუშაოები მთლიანად *შუკერტის ფირმამ* შეასრულა.
მცირე დარბაზის 100 წლის თავზე მოხდა მისი პირვანდელი სახით აღდგენა, სრული რესტავრაცია. ორასადგილიანი მცირე დარბაზი გამოირჩევა შესანიშნავი აკუსტიკით, აღჭურვილია ციფრული ხმის ჩამწერი სტუდიით, ორი *Steinwey & Sons*-ის და *Yamaha*-ს ფირმის საკონცერტო როიალებით.

## RECITAL HALL OF THE CONSERVATOIRE

The Conservatoire Recital Hall was opened in a festive ceremony on November 7, 1904.
The funding necessary to finish construction was provided by philanthropists Konstantin Alikhanov and Zubalashvili (Iakob and Stepane) brothers. The interior shows very convincingly that art-modern was already familiar in Tbilisi at the beginning of the 20th century. The architectural ornamentation is the work of well-known painter and decorator Novack, who decorated the walls and ceiling of the hall with carved and gilded ornaments.
Busts of Bach, Beethoven, Glinka, and Rubinstein located along the walls of the hall. The lighting and wall tiling were provided entirely by the *Schuckert Company*. For the centennial anniversary the Recital Hall was renovated and restored to its previous design. Today, this small, 200-seat hall is distinguished by its superb acoustics. It is equipped with a digital recording studio and houses grand pianos by *Steinway & Sons* and *Yamaha*.

## თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია

თბილისის კონსერვატორია უმაღლესი მუსიკალური განათლების, შემსრულებლობისა და სამუსიკისმცოდნეო კვლევის ცენტრია საქართველოში. იგი დაარსდა 1917 წლის 1 მაისს. თავისი არსებობის მანძილზე თბილისის კონსერვატორიამ აღზარდა მრავალი გამოჩენილი მუსიკოს-შემსრულებელი, ქართველ კომპოზიტორთა და მუსიკისმცოდნეთა მთელი თაობა. ძალზედ დიდია პრესტიჟულ საერთაშორისო კონკურსებზე გამარჯვებულ სტუდენტთა თუ კურსდამთავრებულთა სია. კონსერვატორიაში ეწყობა სხვადასხვა სახის მუსიკალური ფორუმები, რესპუბლიკური თუ საერთაშორისო კონკურსები, სამეცნიერო სიმპოზიუმები და კონფერენციები.

**ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრი** – დაარსდა იუნესკო-ს მხარდაჭერით 2003 წლის 1 თებერვალს კონსერვატორიის ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების კათედრის, მასთან არსებული კაბინეტისა და საერო და სასულიერო მუსიკის კვლევის ლაბორატორიის ბაზაზე. ცენტრს აქვს ფართო კონტაქტები, ჰყავს საერთაშორისო სამეთვალყურეო საბჭო. ცენტრმა განახორციელა არაერთი პროექტი, მათ შორის, იუნესკოს *ქართული პოლიფონიის დაცვისა და განვითარების* სამწლიანი პროგრამა (2003-2006), რომლის ფარგლებში დაარსდა ცენტრის პერიოდული ორენოვანი ბიულეტენი, გამოიცა ქართველ მეცნიერთა ეთნომუსიკოლოგიური ნარკვევები ინგლისურ ენაზე და ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების სახელმძღვანელო ორი CD-ით ქართულ ენაზე. გარდა ამისა, საქართველოს კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით ცენტრმა გამოსცა საქართველოში დაცული ფონოგრაფის ცვილის ლილვაკების კატალოგი და 16 CD ამ საარქივო ჩანაწერებით. ცენტრმა ასევე გამოსცა გასული ექვსი სიმპოზიუმის (2002-2012) მოხსენებების კრებულები. 2010 წელს ამერიკულმა გამომცემლობამ *Nova Science Publishers*-მა გამოსცა ცენტრის მიერ მომზადებული ესეების კრებული *ექო საქართველოდან: ქართული პოლიფონიის 17 არგუმენტი.*



## THE V. SARAJISHVILI TBILISI STATE CONSERVATOIRE

Tbilisi State Conservatoire is the center of musical education, performance and musicological studies in Georgia. It was founded on 1 May, 1917. Since the day of its foundation the Conservatoire has brought up a great number of outstanding musicians, performers and generations of Georgian composers and musicologists. The list of the Conservatoire's students and graduates – prize-winners and laureates of the world's most prestigious international competitions, is quite long. Many remarkable musical forums, national and international competitions, scientific symposia and conferences are organized at the Conservatoire.

**RESEARCH CENTER FOR TRADITIONAL POLYPHONY** was founded on 1 February, 2003 by the support of UNESCO on the premises of Tbilisi State Conservatoire Department of Georgian Folk Music, the Department's and Secular and Sacred Music Research Laboratory. The Center was involved in the realization of UNESCO's three-year (2003-2006) program for the "Safeguarding and Promotion of Georgian Traditional Polyphony". The Center has elected the International Steering Committee. As part of this program the Center established bilingual bulletin; published the book of essays by Georgian ethnomusicologists in English, the textbook on Georgian folk music (in Georgian). Also, with the financial support of the Georgian Ministry of Culture and Monument Protection published the Catalogue of Wax Cylinder Collections in Georgia and sixteen CDs from the archival recordings. The Center also published the Proceedings of last sixth Symposia (2002-2012). In 2012 American *Nova Science Publisher* released a book of essays *Echoes from Georgia: Seventeen Arguments on Georgian Polyphony* prepared by the Centre.

## ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲣᲠᲘ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ

შეიქმნა 2001 წელს. მისი შექმნის ინიციატორია ბ-ნი ანზორ ერქომაიშვილი.
ცენტრი ეწევა მრავალმხრივ პრაქტიკულ საქმიანობას და უკვე ბევრი სასარგებლო საქმის გაკეთებაც მოასწრო: საფუძველი ჩაუყარა საქართველოს და უცხოურ არქივებში დაცული ქართული ხალხური სიმღერების ფონოჩანაწერების, კინო, ფოტო, ვიდეო და სხვ. მასალების არქივს.
საქართველოს ათამდე რაიონში ხალხური სიმღერების ხანდაზმული ოსტატების ხელმძღვანელობით შექმნა ახალგაზრდა ლოტბართა სკოლები, თანამედროვე უნივერსალური ტექნიკის გამოყენებით აფიქსირებს ძველ საშემსრულებლო ტრადიციებს.
საქმიანობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სფეროა ძველი ფონოჩანაწერების გაშიფრა, სანოტო კრებულების შედგენა და გამოცემა ლაზერული დისკების სახით. დაწყებულია სერიის *საუკუნის ანთოლოგია* გამოცემა (1901 – 2001 წ.წ.).
აქვს ფართო საერთაშორისო ურთიერთობები საზღვარგარეთ არსებულ ქართული ხალხური სიმღერის ანსამბლებთან და ასოციაციებთან, ფონოარქივებთან, სამეცნიერო და საბიბლიოთეკო ცენტრებთან.
ატარებს ფოლკლორულ საღამოებს, ფესტივალებს, კონკურსებს ავთენტიკური ჯგუფების, საოჯახო ანსამბლებისა და ინდივიდუალური შემსრულებლების მონაწილეობით. ცენტრმა განახორციელა იუნესკოს *ქართული პოლიფონიის დაცვისა და განვითარების* სამწლიანი პროგრამა (2003-2006).
ხელს უწყობს ქართული ხალხური სიმღერის უმნიშვნელოვანეს პრობლემებზე სამეცნიერო კონფერენციებისა და სიმპოზიუმების ჩატარებას.
ცენტრმა 2003 წლიდან დღემდე გამოსცა 30-მდე სანოტო კრებული, აუდიომასალა (მათ შორის – ცნობილი ქართული ხალხური სიმღერების ცალკეული ხმები), სამეცნიერო და საცნობარო ხასიათის წიგნები. უკანასკნელთაგან აღსანიშნავია: *ქართული ხალხური სიმღერების I ფონოჩანაწერები* (1901-1914), ქართული ფონოჩანაწერები უცხოეთში (კატალოგი), სერია ქართული ხალხური სიმღერის ოსტატები – სამეგრელო (5 წიგნი) და გურია (4 წიგნი), ტრადიციული მუსიკა ქართულ-აფხაზურ დიალოგში და სხვ.

## THE INTERNATIONAL CENTRE FOR GEORGIAN FOLK SONG

The Centre was founded in 2001 on the initiative of Mr. Anzor Erkomaishvili.
It undertakes versatile practical activities and has already carried out many useful projects, including: preservation of Georgian folk songs by the creation of new archives based on collecting and restoration of audio recordings, film and video materials, as well as other related materials, wherever they exist in the archives in Georgia or abroad.
It created suitable conditions for masters of Georgian folk song in ten regions of Georgia to pursue their art, and to instruct students through special schools to become masters for future generations; to record and document old performing traditions by using new audio and video equipment.
One of the most important spheres of the Centre's activities is transcription of archival recordings, creation of musical scores for publication in anthologies and issue of compact discs. Publication of the series of *Centenary Anthology* /1901-2001/ has already started.
The Centre has established wide international contacts with Georgian folk ensembles, associations, sound archives, libraries and centres of study. It holds folk concerts, festivals and contests with the participation of authentic groups, family ensembles and individual performers. The Center was involved in the realization of UNESCO's three-year (2003-2006) program for the *Safeguarding and Promotion of Georgian Traditional Polyphony*.
It promotes holding of scientific conferences and symposiums on the most important problems of Georgian folk song.
Since 2003 the Centre has published about 30 transcribed collections, audio materials (including those with separate voice parts of the well-known Georgian folk singers), scientific and reference books. The most noteworthy of these are: *The First Sound Recordings of Georgian Folk Song (1901-1914)*, *Georgian Audio Recordings Abroad* (a catalogue), series - *Masters of Georgian Folk Song: Samegrelo* (5 books), *Guria* (4 books), *Traditional Music in Georgian-Abkhazian Dialogue* and others.

## საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი

საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი (ყოფილი ხალხური შემოქმედების სახლი და ხალხური შემოქმედების სამეცნიერო-მეთოდური ცენტრი) შეიქმნა 1936 წელს, ივანე ჯავახიშვილის, ვახტანგ კოტეტიშვილის, დიმიტრი არაყიშვილის, ვარლამ თოფურიას, გრიგოლ ჩხიკვაძის, თამარ მამალაძის ინიციატივით. სხვადასხვა დროს ცენტრს ხელმძღვანელობდნენ მიხეილ მგალობლიშვილი, გრიგოლ კოკელაძე, ვალერიან ცაგარეიშვილი, მიხეილ ჩირინაშვილი, რევაზ კერესელიძე, ცისანა ქოჩეჩაშვილი, გიორგი უშიკიშვილი; ამჟამად, მისი აღმასრულებელი დირექტორია გიორგი დონაძე.

დაარსებიდან დღემდე ცენტრის პრიორიტეტები უცვლელია: ხალხური შემოქმედების სხვადასხვა დარგის ნიმუშთა მოძიება, კვლევა და პოპულარიზაცია; ქართული ყოფის ცოცხალ ფოლკლორულ პროცესებზე დაკვირვება და ყოფიდან გამქრალი ფოლკლორული ჟანრებისა და ნიმუშების აღდგენა-გაცოცხლება; ქართული ფოლკლორის პოპულარიზაცია და მსოფლიო კულტურულ პროცესებში ჩართვა. წლების განმავლობაში ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში შეიქმნა უნიკალური არქივი, რომელშიც დაცულია: ქართული ხალხური სიმღერისა და საეკლესიო საგალობელთა სანოტო ხელნაწერები; მდიდარი ხელნაწერი, ფოტო და დოკუმენტური მასალა; საინტერესო ნაშრომები ქორეოლოგიასა და ეთნომუსიკოლოგიაში... ამჟამად ძველი საარქივო ექსპონატები განთავსებულია ფოლკლორის ცენტრის ელექტრონულ საინფორმაციო ბაზაში. ბოლო ათწლეულში ამას დაემატა მდიდარი საექსპედიციო აუდიო-ფოტო-ვიდეო და დოკუმენტური მასალა, შეიქმნა ცენტრის საქმიანობის ამსახველი ფოტო-ვიდეო მატიანე...

ფოლკლორის ცენტრმა ბოლო წლებში გამოსცა: 20-მდე აუდიო და ერთი ვიდეოალბომი, ოთხი მონოგრაფია, ხალხური სიმღერებისა და საგალობელთა 5 სანოტო კრებული, ქორეოლოგიურ ნაშრომთა ანთოლოგიები, მოხეური ზეპირსიტყვიერების კრებული, მცირე ფოლკლორული ლექსიკონი; გადაიღო სამი მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი. მიმდინარე წლიდან ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრმა, საქართველოს ხელისუფლების ინიციატივით, ქართული ფოლკლორის უკეთ მოვლა-დაცვის მიზნით, დაიწყო ცენტრის რეგიონული წარმომადგენლობების ქსელის შექმნა.

საქართველოს ფოლკლორის
სახელმწიფო ცენტრი
THE FOLKLORE STATE CENTRE
OF GEORGIA

## STATE FOLKLORE CENTRE OF GEORGIA

State Folklore Centre of Georgia (former House of Folk Art and Scientific – Methodological Centre of Folk Art) was founded in 1936 on the initiative of Ivane Javakhishvili, Vakhtang Kotetishvili, Dimitri Araqishvili, Varlam Topuria, Grigol Chkhikvadze, Tamar Mamaladze and others. At various times the Centre was headed by Mikheil Mgaloblishvili, Grigol Kokeladze, Valerain Tsagareishvili, Mikheil Chirinahsvili, Revaz Kereselidze, Tsisana Kochechashvili, Giorgi Ushikishvili. Current executive Director is Giorgi Donadze.

Since the day of its inception the Centre has immutable priorities: seek for, study and popularize the examples of various branches of folk art; observe live folk processes in Georgia's mode of life; revive and publish vanished folk genres and examples; worldwide popularization of Georgian folklore and its inclusion in world cultural processes. Unique archive has been created at the Centre during years, where preserved are: notation manuscripts of Georgian folk songs and church hymns; rich oral, photo and documentary material; interesting works on choreology and ethnomusicology, currently old archival materials are included in the digital information base of the Folk Centre; in the past years it was supplemented with rich expedition, audio, photo, video and documentary material, created was the chronicle of the Centre's activity…

State Folk Centre carries out fruitful publishing activity – during the last years about 20 audio and video albums, four monographs, 5 scores of Georgian chants, anthologies of choreology, collection of Khevi folk poetry, folk dictionary and three short documentary films were issued. For the better preservation of Georgian folklore the Centre has started creation of its regional network.


The United Nations Educational, Scientific and Cultural Organization

hereby proclaims

Georgian Polyphonic Singing
- Georgia -

a Masterpiece of the Oral and Intangible Heritage of Humanity

松浦晃一郎

გაერთიანებული
ერების
განათლების,
მეცნიერებისა
და კულტურის
ორგანიზაცია
აცხადებს

**ქართულ მრავალხმიან სიმღერას**
**- საქართველო -**

კაცობრიობის ზეპირი და ხელთუქმნელი მემკვიდრეობის შედევრად

კოიშირო მაცუურა
გენერალური დირექტორი

(პარიზი, 18 მაისი, 2001)

*„ბოლო დროის ჩემი ერთ-ერთი უძლიერესი მუსიკალური შთაბეჭდილება შონბერგის „იაკობის კიბე“ და ქართული ხალხური პოლიფონიური სიმღერის ჩანაწერებია... მუსიკის აქტიური შესრულების ეს ტრადიცია, სათავეს უძველესი დროიდან რომ იღებს, შესანიშნავი მიგნებაა, რომელიც შესრუ-ლებისათვის გაცილებით უფრო მეტს იძლევა, ვი-დრე თანამედროვე მუსიკის ყველა მონაპოვარი... იოდლი, რომელსაც საქართველოში „კრიმანჭულს“ ეძახიან, საუკე-თესოა მათ შორის, რაც კი ოდესმე მომისმენია“.*

***იგორ სტრავინსკი***

*“One derives a highly significant musical impression from Arnold Schonberg's “Jacobleiter” and the recordings of Georgian polyphonic folk singing. This is a tradition of active execution of music which has roots in the remote past; it is also a splendid discovery that is capable of en-riching the performing art more than all the acquisitions of modern music… The yodle, known as “krimanchuli” in Georgia, was the best I ever heard”.*

***Igor Stravinsky***

წლევანდელ სიმპოზიუმს ქართული სიმღერის უცხოელი შემსრულებლები მხოლოდ ავსტრალიიდან სტუმრობენ. იქ მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების, იოსებ ჟორდანიასა და ნინო ციციშვილის წყალობით, ამ ქვეყანაში სულ უფრო მატულობს ქართული ხალხური სიმღერით, უფრო ფართოდ კი, ქართული კულტურით დაინტერესებულ-თა რიცხვი – სიმპოზიუმამდე 30-მდე ავსტრალიელი ეწვევა სვანეთს და გაეცნობა მის უნიკალურ კულტურას. რაც შეეხება მსოფლიო მრავალხმიანობას, მას უკრაინელი და ტაივანელი მომღერლები წარმოადგენენ.

This year the symposium will host Georgian folk song performers only from Australia; thanks to our compatriots Joseph Jordania and Nino Tsitsishvili residing there, the number of the people interested in Georgian folk song and Georgian culture, in general, is increasing in Australia; a group of about 30 Australians will visit Svaneti and get familiarized with its unique culture before the symposium.
As for World polyphony, at the Forum it will be presented by the singers from Ukraine and Taiwan.

## ფილმები

| | |
|---|---|
| **რენატო მორელი** (იტალია) | *სუ კონკორდუ (გუნდი)*<br>*წმინდა კვირა სანტულუსურჯუში (სარდინია)* |
| **ჰუგო ზემპი** (საფრანგეთი) | *შვეიცარიული იოდლი – 30 წლის შემდეგ* |
| **ეკეჰარდ პისტრიკი** (გერმანია)<br>**ბიორნ რაინჰარდტი** (გერმანია) | *პოლიფონია – ალბანეთის მივიწყებული ხმები* |

## FILMS

| | |
|---|---|
| **RENATO MORELLI** (ITALY) | *SU CONCORDU (THE CHOIR)*<br>*HOLY WEEK AT SANTULUSSURGIU (SARDINIA)* |
| **HUGO ZEMP** (FRANCE) | *SWISS YODELLING – 30 YEARS LATER* |
| **ECKEHARD PISTRICK** (GERMANY)<br>**BJÖRN REINHARDT** (GERMANY) | *POLYPHONIA – ALBANIA'S FORGOTTEN VOICES* |



## რენატო მორელი
იტალია

ეთნომუსიკოლოგი და რეჟისორი. სწავლობდა სოციოლოგიას ტრენტოს უნივერისტეტში და მუსიკას ბომპორტის კონსერვატორიაში. იყო იტალიის სახელმწიფო ტელევიზიის (*რაი*) ეთნოგრაფიული ფილმების დირექტორი. გადაღებული აქვს ეთნოგრაფიული ფილმები ტრენტინოზე, ალპურ რეგიონზე, სარდინიასა და ლათინურ ამერიკაზე – პროდუქციას მიღებული აქვს ოცი საერთაშორისო ჯილდო. მიჰყავდა ასპირანტურის კურსები მილანისა და ტრენტოს უნივერსიტეტებსა და ტრენტოსა და ბოზენის/ბოლზანოს კონსერვატორიებში. არის სხვადასხვა გამოცემის (წიგნები, CD და DVD დისკები), აგრეთვე რამდენიმე თეატრალური პროდუქციის ავტორი, სამი მუსიკალური პროექტის: *Ziganoff* (*Klezmer-jazz*), *T.T.T.* (ტრენტინოს, ტიროლისა და ტრანსილვანიის მუსიკა) და *Cantori di Vermèil* (ტრადიციული ალპური პოლიფონიური სიმღერა) სულისჩამდგმელი, რეჟისორი და მონაწილე.

## RENATO MORELLI
ITALY

Studied sociology (Trento University) and music (Bomporti Conservatory), subsequently worked as a director of ethnographic films for the Italian State TV (RAI). He directed some sixty ethnographic films on Trentino, the Alpine Region, Sardinia and Latin America – a production acknowledged by twenty international awards.
As scholar he is best known as an ethnomusicologist. Apart from publishing a number of contributions in different formats (books, CDs and DVDs) he has taught in a number of post-graduate courses at the Universities of Milan, Trento, and at the Conservatoires of Trento and Bozen/Bolzano. He has also produced a number of theatrical productions. Last but not least he works on-, has inspired, directs and personally plays in three musical projects: *Ziganoff* (*Klezmer-jazz*), *T.T.T.* (music from Trentino, Tirol, Transylvania) and *Cantori di Vermèil* (traditional Alpine polyphonic singing).

## *სუ კონკორდუ* (გუნდი)
## ვნების კვირა სანტულუსურჯუში (სარდინია)

**რეჟისორი:** რენატო მორელი; **სამეცნიერო კონსულტანტი:** პიეტრო სასუ; **ოპერატორები:** კლაუდიო ანდრეატა, ვირილიო გრავანო, ფილიპო ვიტი; **რედაქტორი:** ელენა ჩივარდი; **მწარმოებელი:** *რაი იტალიის* რადიოტელევიზია; **წელი:** 1988; **ხანგრძლივობა:** 55’
**ჯილდო:** ე. ფულჩინიონი, ეთნოგრაფიული ფილმების მე-8 საერთაშორისო ფესტივალი

შუა-დასავლეთ სარდინიის სოფელ სანტულუსურჯუში ვნების კვირის ტრადიციულ რელიგიურ ცერემონიას ატარებს კრიალოსნის საძმო. საძმოს გუნდი *სუ კონკორდუ* აკომპანირებას უწევს კომპლექსური პოპულარული რიტუალის ყველა დრამატულ ქმედებას. *კონკორდუ* ასრულებს *მიზერეს* (50-ე ფსალმუნი) ლათინურად და რამდენიმე *გოსოს* ანუ საგალობელს სარდინიულ ენაზე.
ფილმი წარმოგიდგენთ ვნების კვირაში ამ სიმღერების შესრულებისთვის ოთხ ყველაზე მნიშვნელოვან დღეს სანტულუსურჯუში:
***ფერფლის ოთხშაბათი*** – ძმობის წევრები ამზადებენ ჯვარცმული ქრისტესა და ღვთისმშობლის იმიტაციას სანტა მარია დელ კარმინეს სამლოცველოში.
***დიდი ხუთშაბათი*** – ადგილობრივ ეკლესიაში საძმო გაითამაშებს საიდუმლო სერობას; მქადაგებელი გაიხსენებს ქრისტეს ვნებასა და გარდაცვალებას; ჯვარცმის აღსანიშნავად საძმოს წევრები ჯვარს აღმართავენ და ამ დროს *სუ კონკორდუ* ასრულებს *მიზერეს* სხვა სტროფებს.
***წითელი პარასკევი*** – ოფიციალური ლიტურგიის დასრულების შემდეგ სამღვდელოება მიემართება საძმოს სამლოცველოსკენ. სპექტაკლს აკომპანემენტს უწევს სუ კონკორდუ, რომელიც ასრულებს *გოსოს* სიმღერებს; შემდეგ, გამოცდილ მომღერალთა ჯგუფები და ახალგაზრდები საეკლესიო სალაროსთან იკრიბებიან. *მიზერეს* და *გოსოს* შესრულება საშუალებას აძლევს მათ აირჩიონ ახალი *კონკორდუ*, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ძველს ჩაანაცვლებს.
შუაღამის შემდეგ რელიგიური სიმღერების შესრულება წყდება და იწყება აშკარად საერო ფაზა, საგუნდო სპექტაკლებით, რომლებიც მთელი ღამე, გათენებამდე გრძელდება.
***აღდგომის დღე*** – *მკვდრეთით აღმდგარი ქრისტესა და ღვთისმშობლის შეხვედრა დაასრულებს კრიალოსნის საძმოს მიერ ვნების კვირის განმავლობაში შესრულებულ სპექტაკლებს.*

## *SU CONCORDU* (THE CHOIR)
## HOLY WEEK AT SANTULUSSURGIU (SARDINIA)

**Director:** Renato Morelli; **Scientific consultant:** Pietro Sassu; **Camera:** Claudio Andreatta, Virgilio Gravano, Filippo Vitti; **Editing:** Elena Civardi; **Production:** RAI Radiotelevisione Italiana; **Year:** 1988; **Duration:** 55’;
**Prise:** E Fulchignoni, 8 Bilau du Film Ethnograpgique, Paris 1989

At Santulussurgiu, a small village in the mid-west of Sardinia, the popular religious ceremonies of the Holy Week are traditionally performed by the Brotherhood of the Rosary. Su Concordu, the choir of the confraternity, has the role of accompanying all the dramatic re-inactions of the complex popular rituals. The songs performed by the Concordu are the Misere (psalm 50) in Latin, and several Gosos, hymns in the Sardinian language.
Our film presents the four most important days for the songs of the Holy Week at Santulussurgiu:
**Ash Wednesday** – The members of the confraternity prepare the simulacra of the crucified Christ and the Madonna in the Carmine Oratory.
**Holy Thursday** – In the parochial church the confraternity re-enact the Last Supper; The preacher recalls the Passion and the Death of Christ; the crucifixion is emphasized by erecting a cross, performed by the members of confraternity, while Su Concordu sing other verses from the Misere.
**Good Friday** – When the official liturgy is over, the clergy goes to the Oratory of the Brotherhood, where the drama is performed. The performance is accompanied by Su Concordu who sing Gosos; Later, groups of experienced singers and young hopefuls, gather in the sacristy. This confrontation, as they sing the Miserere and the Gosos, provides the opportunity to select a new Concordu (choir) that will be called to replace the old one when considered necessary. After midnight, explicitly secular phase of the festivities begins with choral performances that continue through the night until dawn.
**Easter Sunday (Resurrection Day)** – The meeting between the resurrected Christ and Madonna concludes dramatic re-enactments performed by the Brotherhood of the Rosary during Holy Week.



## ჰუგო ზემპი
საფრანგეთი

ბაზელის (შვეიცარია) კონსერვატორიის დასარტყამი ინსტრუმენტების სპეციალობით დამთავრების შემდეგ პარიზში სწავლობდა ეთნომუსიკოლოგიასა და ანთროპოლოგიას. პენსიაზე გასვლამდე, 37 წლის განმავლობაში მუშაობდა პარიზის ადამიანის მუზეუმის სამეცნიერო კვლევების ეროვნული ცენტრის ეთნომუსიკოლოგიური კვლევის ჯგუფში. მონაწილეობდა ექსპედიციებში კოტ დ'ივუარში (დასავლეთ აფრიკა), სოლომონის კუნძულებზე (წყნარი ოკეანის დასავლეთი), ევროპაში (შვეიცარია, საქართველო, იტალია). 16 წლის მანძილზე იყო *სამეცნიერო კვლევების ეროვნული ცენტრის* ჩანაწერების სერიის მთავარი რედაქტორი, ასწავლიდა პარიზ-იქს-ნანტერის უნივერსიტეტში. თითქმის მთელი კვლევითი საქმიანობა მიუძღვნა მრავალხმიანობის შესწავლას, როგორც ვოკალურის, ისე ინსტრუმენტულის. კვლევის მთავარი საგანია აუდიოვიზუალური საშუალებების გამოყენება კვლევის შედეგების პრეზენტაციისათვის. მისი სრული რეჟისორული ვერსია აშშ-ში გაავრცელა საგანმანათლებლო დოკუმენტური ფილმების რესურს-ცენტრმა.

არის ავტორი ფილმებისა: *„არე“ არის მუსიკა* (1978); *ბამბუკის დამუშავება* (1978); *სუზანას და ჯოზეფის ქორწილი* (1986); *გლატალპი* (1986); *იუცინგი და იოდლი* (1987); *თავისმიერი ხმა, მკერდისმიერი ხმა* (1987); *ჰარმონიკის სიმღერა* (1990); *თამარისა და ლაშარის დღეობა* (1998); *ბალაფონის ოსტატები: ახალგაზრდების სიხარული* (2002); *ბალაფონის ოსტატები: სამგლოვიარო რიტუალები* (2001); *ბალაფონის ოსტატები: ხე და კალაბაში* (2002); *ბალაფონის ოსტატები: მეგობარო, კეთილი იყოს შენი მობრძანება* (2002); *აფრიკული სპილენძის ჩასაბერი ინსტრუმენტების ანსამბლი* (2004-2006); *სიაკა, აფრიკელი მუსიკოსი* (2005); *კავკასიური სამგლოვიარო სავალობლები საქართველოდან* (2007); *ჩერიანას მრავალხმიანობა: საკკოს ჯგუფი* (2010). (ნინო ციციშვილთან ერთად) *თბილისური დუდუკი: ელდარ შოშიტაიშვილი და მისი მოწაფეები* (2012).

## HUGO ZEMP
FRANCE

After his diploma as percussionist from the Conservatory of Basle (Switzerland), he came to Paris to study ethnomusicology and anthropology. Until his retirement in 2004, he worked for 37 years in Ethnomusicology Research group of the CNRS (National Center for Scientific Research) at the *Musée de l'Homme* in Paris. He did fieldwork in West Africa (Côte d'Ivoire), South Pacific (Solomon Islands), Europe (Switzerland, Georgia, Italy). He was for 16 years general editor of the record series *Collection CNRS/Musée de l'Homme*, and taught at the University Paris X-Nanterre. Almost all of his research is about polyphonies, both vocal and instrumental. Main concern is the use of audiovisual means for research and for presenting the results of research. His complete film work is distributed by Documentary Educational Resources in the U.S.A.

Films: *"Are" are Music* (1978); *Shaping Bamboo* (1978); *The Wedding of Susanna and Josef* (1986); *Glattalp* (1986); *Yootzing and Yodeling* (1987); *Head Voice, Chest Voice* (1987); *The Song of Harmonics* (1990); *The Feast-Day of Tamar and Lashari* (1998); *Masters of the Balafon: Funeral Festivities* (2001); *Masters of the Balafon: The Joy of Youth* (2002); *Masters of the Balafon: The Wood and the Calabash* (2002); *Masters of the Balafon: Friend, well come!* (2002); *An African Brass Band* (2004-06); *Siaka, an African Musician* (2005); *Funeral Chants from the Georgian Caucasus* (2007); *Polyphony of Ceriana: The Compagnia Sacco* (2010); (With Nino Tsitsishvili) *Duduki of Tbilisi: Eldar Shoshitashvili and His Students* (2012).

## შვეიცარიული იოდლი – 30 წლის შემდეგ

(ფრაგმენტები დაუსრულებელი ფილმიდან)

**რეჟისორი:** ჰუგო ზემპი
**ხანგრძლივობა:** 25'

შვეიცარიის ალპებში მუოტტატალის ხეობაში გვხვდება *იოდლის* ადგილობრივი, სხვა ალპური რეგიონებისა და საქართველოს ცნობილი იოდლისგან განსხვავებული სტილი. აქ *კრიმანჭულის* მსგავსად, პირველი ხმა მღერის მეორე ხმისა და ბანის მონაცვლეობის ფონზე.
ეს ფილმი არის 1983-1984 წლებში გადაღებული (www.der.org-ის მიერ გავრცელებული) დოკუმენტური სერიის *შვეიცარიული იოდლი* გაგრძელება. შვიდი წლის ბიჭი, რომელიც მღეროდა მშობლებთან და დებთან ერთად, ახლა 37 წლისაა. ზოგადად, უკან ბუნებისა და ავთენტურობისკენ, ადგილობრივი ფესვებისკენ (და საკვებისკენ!), მარტივი ცხოვრებისა და ლოზუნგისკენ „ადგილობრივი ყველაფერი კარგია", ჩნდება ახალი ინტერესი – შეიძლება ითქვას, რომ სოფლის ახალგაზრდობა და გარე სამყარო ხელახლა აღმოაჩენს ადგილობრივ ტრადიციას. ზოგიერთებს, ბერნჰარდისა და მისი მეგობრების მსგავსად, არ სურთ გახდნენ გუნდის ხელმძღვანელის წარმართული იოდლ-კლუბების წევრი, რეპეტიციებით, ხმის გასავარჯიშებელი ტექნიკითა და სასცენო გამოსვლებით. ისინი ამჯობინებენ არაფორმალურ შემსრულებლობას, „გულიდან მღერას", უქმეებზე რესტორნებში „გასვლას" და სოციალიზაციას.

## SWISS YODELLING – 30 YEARS LATER

(Excerpt of a work-in-progress film)

**Director:** Hugo Zemp
**Duration:** 25'

In Muotatal, a valley of the Swiss Pre-Alps, people have a local style of *yodelling*, different from the more well known *yodelling* types of other Alpine regions, and of Georgia, of course! But like *krimantchuli*, only the soloist of the first part sings with the alternation of head and chest voice; the other performers of two- or three-part polyphony stay in the chest register.
This new film supplements the four documentaries of the Swiss Yodelling Series shot in 1983-84 (distributed by www.der.org). The seven-year old boy, who performed with his parents and sisters, is now thirty-seven. In the general movement back to nature and authenticity, to local roots (and foods!), to simple life and to the slogan "local is fine", there is a new interest—one could say a rediscovery—of the local tradition both by the young people of the village and by the outside world. Some, like Bernhard and his friends, do not want to become members of constituted yodel clubs with choir directors, rehearsals, voice technique training, and stage presentations. They like better informal performing, "singing from the heart", during "going out" at weekends in restaurants, enjoying socialization.



## ეკეჰარდ პისტრიკი
გერმანია

დაიბადა 1980 წელს. 2009 წლიდან ასწავლის ეთნომუსიკოლოგიას ჰალეს მარტინ-ლუთერის უნივერსიტეტში (გერმანია), არის პარიზის ეთნომუსიკოლოგიური კვლევის ცენტრის (CNRS) თანამშრომელი. ჩატარებული აქვს ეთნომუსიკოლოგიური ექსპედიციები კამბოჯაში, ბალიზე, საბერძნეთსა და ალბანეთში. არის სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის აუდიოვიზუალური მედიისა და იდენტობის საკითხებზე დაბეჭდილი გამოცემის თანარედაქტორი, კემბრიჯის გამომცემლობა (2011).

## ECKEHARD PISTRICK
GERMANY

Born in 1980. Eckehard Pistrick is since 2009 lecturer in ethnomusicology at the Martin-Luther-University Halle, Germany, and researcher at the Centre de Recherche en Ethnomusicologie, CNRS, Paris. He has effectuated ethnomusicological fieldwork in Cambodia, Bali, Greece and Albania and is the co-editor of Audiovisual Media and Identity Issues in Southeastern Europe, Cambridge Scholars Publishers, 2011.



## ბიორნ რაინჰარდტი

გერმანია

დაიბადა აღმოსავლეთ გერმანიაში, წლების მანძილზე იყო სცენის დიზაინერი და დოკუმენტალისტი, 2002 წელს რუმინეთში გადასვლამდე. ბოლო 10 წელია დოკუმენტურ ფილმებს იღებს, ძირითადად, მარამურეს რეგიონში, კრეტაზე, ჩრდილოეთ საბერძნეთში, ალბანეთში და სხვ. 2007 წლიდან მუშაობს ფოტოგრაფადაც.

## BJÖRN REINHARDT

GERMANY

Born in Eastern Germany in 1963, Björn Reinhardt worked for many years as a stage designer and documentarian before emigrating to Romania in 2002. For the last 10 years he has been making internationally appraised documentaries mainly in the Maramures region, but also in Crete, Northern Greece, Albania, and elsewhere. Since 2007 he has also been working as a photographer.

## პოლიფონია – ალბანეთის მივიწყებული ხმები

**ავტორები:** ეკეჰარდ პისტრიკი, ბიორნ რაინჰარდტი
**ხანგრძლივობა:** 85’

ორი მწყემსი: არიფი (მუსულმანი) და ანასტასი (მართლმადიდებელი ქრისტიანი) რელიგიური წინააღმდეგობების მიუხედავად მეგობრები არიან. მათ დიდ მეგობრობას მუდმივად აძლიერებს ადგილობრივი მუსიკალური ტრადიცია, მრავალხმიანობა. ეს ვოკალური ტრადიცია 2005 წელს იუნესკომ მსოფლიო საგანძურში შეიტანა.
ფილმში წარმოდგენილია მკაცრი პოეზიის, ულმობელი ბედისწერისა და თითქმის ჯადოსნური ძალის მქონე ადამიანის ხმის დაუვიწყარი სახეები, რაც პოსტ-სოციალისტური ცვლილების ეტაპზე მთაში მცხოვრებ ხალხს ყოველდღიური რუტინის დაძლევაში ეხმარება. მეორე მხრივ, ფილმი არის მაგალითი იმისა, თუ როგორ შეუძლია მუსიკას ხიდი გადოს ხალხსა და რელიგიებს შორის ბალკანეთშიც კი.
ფილმი წარდგენილი იყო შემდეგ ფესტივალებზე:
*ევროპა ფესტივალი OFF*, ლაიფციგი, გერმანია 2011
*ეთნოგრაფიული ფილმის გოტინგენის საერთაშორისო ფესტივალი* (GIEFF), 2012, გერმანია
*ბურგოფის ფესტივალი 2012*, კლაგენფურტი, ავსტრია
*ვიზუალური კულტურის მსოფლიო ფესტივალი,* 2012, ტარტუ, ესტონეთი
*ნორიენტის მუსიკალური ფილმების ფესტივალი,* 2012, ბერნი, შვეიცარია
*ეთნოგრაფიული ფილმების საერთაშორისო ფესტივალი* (SIEFF) 2012, ნუორო, სარდინია
*აღმოსავლეთ მეზობლების ფილმების ფესტივალი* (ENFF) 2012, ჰაგა, ნიდერლანდები
*მთის ფილმების მე-10 საერთაშორისო ფესტივალი* 2012, ტეგერნსი, გერმანია (პირველი პრიზი კატეგორიაში – *კულტურა და მეცნიერება*)

## POLYPHONIA – ALBANIA’S FORGOTTEN VOICES

**Authors:** Eckehard Pistrick, Björn Reinhardt
**Duration:** 85’

Two shepherds in the Albanian mountains, Arif, a Muslim, and Anastas, an orthodox Christian, have been friends for years in spite of religious barriers. Their profound friendship is constantly strengthened by local musical tradition, polyphony. In 2005 this vocal tradition was declared UNESCO – World Heritage.
The film sets up unforgettable images for severe poetry, harsh fates and almost magical power of human voice, which helps people in the mountains to master their surreal daily routine at a contradictory stage of post-socialist change. On another level, the film gives an example of how music – even in the Balkans – can build bridges between people and religions.
Festival Participations:
*OFF Europa Festival*, Leipzig, Germany 2011 (Preview)
*Göttingen International Ethnographic Film Festival* (GIEFF) 2012, Germany
*Burghof Festival 2012*, Klagenfurt, Austria
*10th World Film Festival of Visual Culture*, 2012, Tartu, Estonia
*Norient Music Film Festival 2012*, Berne, Switzerland
*Sardinian International Ethnographic Film Festival* (SIEFF) 2012, Nuoro, Sardinia
*Eastern Neighbours Film Festival* (ENFF) *2012*, Den Haag, Netherlands
*10th International Mountain Film Festival 2012*, Tegernsee, Germany (First Prize Category: *Culture and Science*)

## ფოლკლორული ანსამბლები

| | |
|---|---|
| **ავსტრალია** | გორანი |
| | მელბურნის ქართული გუნდი |
| | ოქროს საწმისი |
| | უცხო სუნელი |
| **ლატვია** | სახელმწიფო გუნდი *ლატვია* |
| **საქართველო** | |
| **თბილისი** | ადილეი |
| | ანჩისხატის გუნდი |
| | ახალუხლები |
| | ბასიანი |
| | დიდგორი |
| | იალონი |
| | მთიები |
| | რუსთავი |
| | სახიობა |
| | ქალგული |
| | შავნაბადა |
| | ძირიანი |
| **აჭარა** | ელესა |
| | ქობულეთი |
| **კახეთი** | კესელო |
| | მრავალჟამიერი |
| **პანკისის ხეობა** | დაიმოახკ აზნაში |
| **სამეგრელო** | ჩხოროწყუ |
| | წალენჯიხა |
| **სვანეთი** | ლაგუშედა |
| **ქვემო ქართლი** | ბოლნელა |
| | კვირია |
| **უკრაინა** | კორალი |
| **ჩინეთი, ტაივანი** | ჩუ-ინის კულტურისა და ხელოვნების ჯგუფი |

## FOLK ENSEMBLES

| | |
|---|---|
| **AUSTRALIA** | GOLDEN FLEECE |
| | GORANI |
| | MELBOURNE GEORGIAN CHOIR |
| | UTSKHO SUNELI |
| **CHINA, TAIWAN** | CHU-YIN CULTURE AND ARTS TROUPE |
| **GEORGIA** | |
| **TBILISI** | ADILEI |
| | ANCHISKHATI CHOIR |
| | AKHALUKHLEBI |
| | BASIANI |
| | DIDGORI |
| | IALONI |
| | MTIEBI |
| | RUSTAVI |
| | SAKHIOBA |
| | KALGULO |
| | SHAVNABADA |
| | DZIRIANI |
| **ACHARA** | ELESA |
| | KOBULETI |
| **KAKHETI** | KESELO |
| | MRAVALZHAMIERI |
| **KVEMO KARTLI** | BOLNELA |
| **PANKISI GORGE** | DAIMOAKHK AZNASH |
| **SAMEGREOLO** | CHKHOROTSQU |
| | TSALENJIKHA |
| **SVANETI** | LAGUSHEDA |
| | KVIRIA |
| **LATVIA** | STATE CHOIR *LATVIJA* |
| **UKRAINE** | KORALI |



## გორანი
ავსტრალია

ავსტრალიური ანსამბლი *გორანი* 9 მამაკაცისაგან შედგება. რეპერტუარი, ძირითადად, ქართულ და ბულგარულ ხალხურ სიმღერებს მოიცავს. სიტყვა „გორანი“ ნიშნავს მკაცრ მთებსა და ნისლიან ტყეებს, რომლის წიაღშიც არაერთი სიმღერა შობილა. ანსამბლს ხელმძღვანელობენ ქართველი ეთნომუსიკოლოგი იოსებ ჟორდანია და ბულგარელი იან ვიტჩეფი. ანსამბლი 1992 წელს დაარსდა. *გორანმა* ოთხჯერ იმოგზაურა საქართველოსა და ბულგარეთში. მონაწილეობდა თბილისის 2002, 2004, 2006, 2008, 2010 და 2012 წლის სიმპოზიუმებში და გურული სიმღერების ფესტივალში (2004), გამოდიოდა აგრეთვე ბულგარეთის საერთაშორისო ფესტივალებსა და კულტურულ ცენტრებში, მათ შორის – ფილიპ კოუტევის პრესტიჟულ ფოლკლორულ სკოლაში. გორანი ორივე ამ ქვეყნის სატელევიზიო გადაცემების მონაწილეცაა. 2003 წელს ავსტრალიაში მიწვეულმა გურულმა მომღერალმა ვაჟა გოგოლაძემ ანსამბლს არაერთი სიმღერა შეასწავლა. ამავე მიზნით, 2004 წელს ისინი ცნობილ ლოტბარს მშობლიურ ჩოხატაურში სტუმრობდნენ. გორანი მონაწილეობდა ავსტრალიაში გამართულ არაერთ ფესტივალსა და მუსიკალურ ღონისძიებაში (1992-2008), აგრეთვე – ავსტრალიის რადიო და სატელევიზიო გადაცემებში. გამოცემული აქვს: *ჰარმონიის კვალდაკვალ* (*Chasing Harmonies*, 2008), *გორანი* (1999). მონაწილეობდა სამ დისკში სერიიდან *The Boite's* (1999-2007), *მრავალჟამიერის* ჩათვლით, რომელიც ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის ადგილობრივი ჯგუფებისთვის ქართული ხალხური სიმღერის სიმბოლოს წარმოადგენს.

## GORANI
AUSTRALIA

The nine voice male singing ensemble from Australia specializes in the performance of traditional songs from Georgia & Bulgaria. The name *Gorani* refers to the harsh mountains, misty forests, and indomitable cultures that are the sources of many of these songs. Founded in 1992, *Gorani* includes leading Georgian ethnomusicologist Joseph Jordania, and Bulgarian born musician, Ian Vitcheff. The ensemble has toured twice to Georgia and Bulgaria, where they have performed in the first two Tbilisi Symposia (2002, 2004), the International festival of Gurian Song (2004), and also in international festivals and community cultural centers in Bulgaria, including the prestigious Philip Koutev Folkloric School. *Gorani* appeared on television and radio in both countries. The group has also toured and studied with the Gurian singer Vazha Gogoladze on his 2003 tour of Australia, and also at his home in Chokhlatauri village (Guria), in 2004. *Gorani* has performed at major folk festivals and local community music events within Australia (1992-2008), and was featured on Australian National radio and television.

Discography: *Chasing Harmonies* (2008), *Gorani* (1999), Featured on 3 of *the Boite's* CDs (1999-2007), including *Mravalzhamier* which showcases Georgian songs performed in Australia and New Zealand by local groups. *Gorani* singing will also be featured on a new Australian TV documentary *The Real Hobbits* about the discovery of a new species of human, *Homo floresensis*.



## კორალი
ლვოვი, უკრაინა

ფოლკლორული ანსამბლი *კორალი* შეიქმნა 2001 წელს; მისი წევრები არიან ახალგაზრდა მეცნიერები, ხალხური მუსიკის მკვლევრები. კოლექტივის შექმნის მიზანი იყო იმ ძველი ხალხური მელოდიების აღდგენა, რომლებიც ყოფაში იშვიათად გვხვდება. ჯგუფი ცდილობს აღორძინოს და გააგრძელოს უკრაინული ხალხური მუსიკის ტრადიცია, გააცოცხლოს ძველი მელოდიები, რომელთა უმეტესობა ჯგუფის წევრებმა თავად ჩაწერეს მრავალრიცხოვანი ფოლკლორული ექსპედიციების დროს. მათ რეპერტუარშია საწესო და არასაწესო ხალხური ნიმუშები უკრაინის სხვადასხვა რეგიონიდან, ზოგი მათგანი საკრავის თანხლებითაა. *კორალის* წევრები უკრავენ ტრადიციულ საკრავებზე: ვიოლინოზე, *ტილინკაზე* (გუცულის სალამური), დაირაზე, ეჟვნებზე, *დრიმბაზე* (ებრაული არფა), ოკარინაზე. კოლექტივის წევრები არიან: ლუდმილა ზბოროვსკაია – მსახიობი და მოყვარული ფოლკლორისტი, ლარისა ლუკაშენკო – ეთნომუსიკოლოგი, ლვოვის კონსერვატორიის პედაგოგი, უკრაინის ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის ხალხთმცოდნეობის ინსტიტუტისა და მუსიკალური ეთნოლოგიის პრობლემური სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის მეცნიერ თანამშრომელი, გალინა პოხილევიჩი – ფოლკლორისტი, უკრაინის ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის ხალხთმცოდნეობის ინსტიტუტის თანამშრომელი. არსებობის 13 წლის მანძილზე კოლექტივმა მონაწილეობა მიიღო მრავალ კონცერტსა და ფესტივალში უკრაინაში, პოლონეთში, ლიტვაში, გერმანიაში, საქართველოში. ანსამბლი ეწევა საგანმანათლებლო საქმიანობას, პოპულარიზაციას უწევს ტრადიციულ უკრაინულ მუსიკალურ კულტურას.

## KORALI
LVIV, UKRAINE

Folk ensemble *Korali* was created in 2001. Its members were young scholars, researchers of folk music. They aimed to revive old folk examples, lesser heard in natural environment. The Ensemble does its best to revive and continue Ukrainian folk music tradition, old melodies, most of which were recorded by the ensemble members in many folk-ethnographic expeditions. The repertoire of Korali includes ceremonial and non-ceremonial folk songs from various regions of Ukraine; some of which are performed with instrumental accompaniment. The group members play traditional musical instruments – violin, *tilinka* (Gutsul horn), tambourine, handbells, *drinba* (Jew's harp), ocarinas. The members of the collective are: Ludmila Zborovskaya – actress, amateur-folklorist, Larisa Lukashenko- ethnomusicologist, pedagogue at Lviv Conservatory, scientific associate at the Institute of Ethnology of the Ukrainian National Academy of Sciences and Problem scientific-research laboratory of musical ethnology; Galina Pokhilevich-folklorist, employee of the Institute of Ethnology of the Ukrainian National Academy of Sciences. During 13 years of its history *Korali* participated in a large number of concerts and festivals in Ukraine, Poland, Lithuania, Germany, Georgia.

# სახელმწიფო გუნდი *ლატვია*
ლატვია



# STATE CHOIR *LATVIJA*
LATVIA

2017 წელს კაპელა არსებობის 75 წლისთავს აღნიშნავს. ის ევროპის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული გუნდია. ეს უნივერსალური კოლექტივია,მისი რეპერტუარი XIX-XX საუკუნეების ევროპული კლასიკური მუსიკის ყველაზე გამორჩეული ნაწარმოებებისგან შედგება, თუმცა იგი მუდმივად ივსება სხვადასხვა ჟანრის ახალი კომპოზიციებითა და კინომუსიკის ნიმუშებით.
1997 წლიდან კაპელის სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორია **მარის სირმაისი**. ბოლო წლებში კაპელა თანამშრომლობს გერმანიის, ფინეთის, სინგაპურის, ისრაელის, საბერძნეთის, შვეიცარიის, აშშ-ს, ესტონეთის, მოსკოვის, სანკტ-პეტერბურგის სიმფონიურ ორკესტრებთან და წამყვან დირიჟორებთან, როგორებიც არიან მარის იანსონი, ზუბინ მეჰტა, ანდრის ნელსონსი, ნეემე იარვი, პავო იარვი, დავიდ ზინმანი, ვალერი გერგიევი, ვლადიმირ ფედოსეევი, სიმონ იანგი და ბევრი სხვა.
კაპელა არის ლატვიის დიდი მუსიკალური პრემიის შვიდგზის მფლობელი, 2003 წელს გუნდს გადაეცა ლატვიის რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის ჯილდო, 2007 წელს კი – ლატვიის რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს ჯილდო. 2013 წელს გუნდი გახდა ეროვნული პრემიის ლაურეტი კლასიკური მუსიკის კატეგორიაში.
მონაწილეობა აქვს მიღებული მრავალ პროექტში მსოფლიოში ცნობილ სიმფონიურ ორკესტრებთან (მათ შორის, ბავარიის, ამსტერდამის და სხვ.) ერთად და სხვადასხვა პრესტიჟულ ფესტივალში (მონტროს, ლუცერნის). კონცერტებს მართავს მსოფლიოს ცნობილ საკონცერტო დარბაზებში (*ლინკოლნ ცენტრის*, პეტერბურგის ფილარმონიისა და მოსკოვის ჩაიკოვსკის დარბაზებში, ამსტერდამის *კონცერტგებაუში*).

In 2017 the choir will celebrate its 75th anniversary. At present the choir is in high demand among choirs in Europe. The choir is a universal collective. Its repertoire is based on golden pieces from 19th – 20th century European classical music but that permanently adds to its repertoire innovative compositions of various genres, as well as film music records.
Since 1997 the artistic director and chief conductor of the choir is **Māris Sirmais**. In recent years, the choir has co-operated with the leading symphonic orchestras of Germany, Finland, Singapore, Israel, Greece, Switzerland, USA, Estonia, Moscow, Saint-Petersburg, and also with prominent conductors Maris Jansons, Zubin Mehta, Andris Nelsons, Neeme Järvi, Pavo Järvi, David Zinman, Valery Gergiev, Vladimir Fedoseyev, Simone Young and many others.
The choir is a seven-time receiver of the Great Music Award of Latvia and in 2003 the Choir was presented with the Award of the Cabinet of Ministers of the Republic of Latvia. In 2007 it was given the Award of the Ministry of Culture of the Republic of Latvia. In 2013 the choir won the National Recording Award in classical music category.
The Choir has participated in many projects with the World-renowned symphony orchestras (including Bavaria, Amsterdam and other orchestras) and in different prestigeous festivals (Montrea, Lucern). It performs at various World-famous concert venues (*Lincoln Centre*, St. Petersburg Philharmonic and Moscow Tchaikovsky Halls, Amsterdam *Koncertgebouw*).

## მელბურნის ქართული გუნდი
ავსტრალია



*მელბურნის ქართული გუნდი* შეიქმნა 2011 წელს ქართული მუსიკით დაინტერესებული პირებისგან, რომლებიც რეგულარულად იკრიბებიან და სწავლობენ ქართულ ხალხურ სიმღერებს და რომელთაც სურთ უფრო მეტი ისწავლონ ქართულ კულტურაზე.

გუნდის ხელმძღვანელები არიან ცნობილი ქართველი ეთნომუსიკოლოგები, დოქტორები იოსებ ჟორდანია და ნინო ციციშვილი, რომლებიც ავსტრალიაში 1995 წლიდან ცხოვრობენ. მათი დამსახურებაა, რომ ბევრი ავსტრალიური ჯგუფის სურვილია თავის რეპერტუარში შეიტანოს ქართული სიმღერები და მონაწილეობა მიიღოს ტრადიციული მრავალხმიანობის საერთაშორისო სიმპოზიუმებში.

ამ ჯგუფების წევრებს ამჟამად საშუალება აქვთ ერთად იმღერონ *მელბურნის ქართულ გუნდში* და შეასრულონ ტრიოების, ქალთა, მამაკაცთა და შერეული გუნდების მრავალფეროვანი რეპერტუარი.

## MELBOURNE GEORGIAN CHOIR
AUSTRALIA

The *Melbourne Georgian Choir* was formed in late 2011 from a group of people interested in music of Georgia, who meet regularly to learn and perform traditional and contemporary Georgian songs, and who are also interested in learning more about Georgian culture.

The choir is led by Dr. Joseph Jordania and Dr. Nino Tsitsishvili, celebrated ethnomusicologists from Georgia who have been living and working in Australia since 1995. Their influence has inspired many Australian vocal groups to adopt Georgian songs into their repertoire and attend the International Symposium on Traditional Polyphony numerous times.

Singers from these groups now have the opportunity to sing together in the *Melbourne Georgian Choir* and present concerts with a more diverse program of trio, female and male ensembles and the full mixed Choir.



# ოქროს საწმისი
ავსტრალია

*ოქროს საწმისი* ქართული სიმღერის პირველი შემსრულებელი ანსამბლია ავსტრალიაში. ესაა შერეული ტრიო. იგი შეიქმნა 1996 წლის დასაწყისში ქართველი ეთნომუსიკოლოგების, ნინო ციციშვილისა და იოსებ ჟორდანიას და გერმანელი მუსიკოსის, კრისტოფ მაუბახის შემადგენლობით. ანსამბლმა ჩაატარა ტური აშშ-ში 1997 წელს და გამოუშვა კომპაქტდისკი 1999 წელს. ანსამბლს მონაწილეობა აქვს მიღებული მრავალრიცხოვან ფესტივალებში, გამოვიდა ავსტრალიურ რადიოსა და ტელევიზიაში. 2008 წელს კრისტოფ მაუბახის ახალ ზელანდიაში გადასვლის შემდეგ ანსამბლში მოვიდა ინგლისელი მუსიკოსი დევიდ რობინსონი.

# GOLDEN FLEECE
AUSTRALIA

*Golden Fleece* was the first ensemble of Georgian traditional singing in Australia. it is a mixed trio. The ensemble was formed in the beginning of 1996, by Georgian ethnomusicoloigsts Nino Tsitsishvili and Joseph Jordania, together with German musician Christoph Maubach. The ensemble toured USA in 1997 and released a CD in 1999. Golden Fleece participated in many national festivals in Australia, had National radio and TV appearances. After the move of Christoph Mauback to New Zealand in 2008, an English musician, David Robinson joined the ensemble.

## უცხო სუნელი
ავსტრალია



*უცხო სუნელი* არის ავსტრალიური ქალთა სასიმღერო ჯგუფი, რომელიც ქართულ ტრადიციულ მრავალხმიან ნიმუშებს ასრულებს. მისი სახელწოდება, სიტყვა-სიტყვით „უცხოური სანელებელი“, მომდინარეობს სანელებლის სახელწოდებიდან, რომელიც ძალიან პოპულარულია ქართულ სამზარეულოში. ამ სახელწოდებით ერთდროულად ხაზგასმულია, როგორც ჯგუფის წევრების არაქართული წარმომავლობა, ისე მათი გატაცება ქართული მუსიკით. *უცხო სუნელი*, რომელსაც ქართველი ეთნომუსიკოლოგი, ნინო ციციშვილი ხელმძღვანელობს, ასრულებს ქართულ ხალხურ სიმღერებს როგორც ავსტრალიაში, ისე საქართველოში.

## UTSKHO SUNELI
AUSTRALIA

*Utskho Suneli* is an Australian women’s singing group which specializes in Georgian traditional polyphonic songs. *Utskho Suneli*, literally “strange spice”, takes its name from a food spice very common in Georgian cuisine, and underlines the group’s non-Georgian background and its fascination with Georgian music. *Utskho Suneli* has performed in Australia and Georgia, and is led by an Australian Georgian ethnomusicologist Nino Tsitsishvili.



# ჩუ-ინის კულტურისა და ხელოვნების დასი
ტაივანი, ჩინეთი

გულისამაჩუყებელი ხმები აღმოსავლეთ ტაივანის მთებიდან – ეს პირველი შთაბეჭდილებაა, რომელიც ადამიანს ეუფლება ჩუ-ინის დასის ნახვისა და მოსმენისას. 1997 წლის ივნისში ქ-ნ კაო შუ-ჩუანის მიერ დაარსებული ჩუ-ინის კულტურისა და ხელოვნების დასის მიზანია, ააღორძინოს ამისების ტომის ულამაზესი სასიმღერო და საცეკვაო ტრადიციები, რომლებიც განადგურდა მოდერნიზაციის მიერ მათი ცხოვრების სტილის შეცვლის გამო; ასწავლოს მომავალ თაობებს წინაპრების სიმღერები და ცეკვები და გააცნოს ისინი ფართო აუდიტორიას.
ამისები, ტაივანის 14 აბორიგენული ტომიდან ერთ-ერთი, ცნობილია სიმღერისა და ცეკვის გამორჩეული ნიჭით. ისინი ცეკვავდნენ, როგორც შრომის, ისე დასვენების დროს, თუმცა ხელით შრომის ტექნიკით ჩანაცვლებამ მათი სასიმღერო არეალი რადიკალურად შეამცირა და ახალგაზრდა თაობამ დაკარგა წინაპრებისგან გადმოცემული სიმღერების სწავლის შესაძლებლობა.
ქ-ნ კაოს ხელმძღვანელობით, ჩუ-ინის კულტურისა და ხელოვნების დასში ამჟამად სხვადასხვა ასაკის 80-მდე წევრია. წამყვანი მომღერლები უფროსი ასაკის გამოცდილი ადამიანები არიან. მკივანა ხმებით ისინი ტომობრივ/გვაროვნულ ცხოვრებას აცოცხლებენ. ადმინისტრაციის (ძირითადად, შუა-ხნის წარმომადგენლების) მხარდაჭერით, ახალგაზრდები უფროსებისგან ბევრს სწავლობენ. ჯგუფის სასცენო გამოსვლების დროს ისინი მთავარი მოცეკვავეები არიან.
გასულ წლებში ჩუ-ინის კულტურისა და ხელოვნების დასმა ამისების სიმღერები და ცეკვები მუსიკალურ სპექტაკლად შეკრა. ყოველ ორ წელიწადში ახალ-ახალი სპექტაკლებით გამოდიოდა როგორც ტაივანში, ისე მის ფარგლებს გარეთ (აშშ, ახალი ზელანდია, მექსიკა მალაიზია). გამოცემული აქვთ 2 კომპაქტური დისკი (2002, 2004). ქ-ნ კაო შუ-ჩუანისა და პროფ. ლუ იუ-სიუს მიერ 2011 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში *მჟორავი ეპოქა-მალანის გლეხთა სიმღერა – ამისების* უმდიდრესი მუსიკა სრულად არის წარმოდგენილი, ოდესღაც დაკარგული ამისების გლეხური სიმღერების ჩათვლით. *ოქროს მელოდიის* 23-ე დაჯილდოებაზე ეს ნაშრომი დასახელდა, როგორც კარგი დოკუმენტური წყარო.
2013 წელს, პროფ. ლუ იუ-სიუმ ქ-ნ კაოს დახმარებით გამოსცა მუსიკალური ალბომი *პოლიფონიის ძიება*, რომელშიც იმ დროის საუკეთესო მომღერლები *ამისების* ცხრა სოფლის სიმღერებს სხვადასხვა სასიმღერო სტილში ასრულებენ. დისკს თან ერთვის საუკეთესო მკვლევრების სტატიები.

# CHU-YIN CULTURE AND ARTS TROUPE

TAIWAN, CHINA

A touching voice of life from the mountains of eastern Taiwan – that's the first impression Chu-Yin creates if you happened to have a chance to see their performance somewhere in the world. Established in June 1997 by Ms. Kao Shu-chuan, Chu-Yin Culture and Arts Troupe aims to revive the beautiful Amis singing and dancing traditions withered away as the tribe's living styles changed under the overwhelming influence of modernization, to teach young generations the songs and dances from the ancestors, and to share it with more audience.

The Amis, one of the 14 aboriginal tribes in Taiwan, is well- known for the talents in singing and dancing. They used to sing during the work and at leisure, they sang and danced in many occasions in life. However, as machines replaced the manual work, their chances for singing decreased dramatically, and young generations lost their opportunities to learn the songs passed from ancestors.

Under the lead of Ms. Kao, the Chu-Yin Culture and Arts Troupe has grown to be a team of about 80 members from different age levels. The main singers are the senior who master the sophisticated singing skills. Through their piercing voices, the old tribal life is once again brought to live. With the help from the administration team (mainly the middle-aged), young people are learning a lot from the senior. They are the main dancers when the group performs on the stage.

In the past few years, the Chu-Yin Culture and Arts Troupe presented the Amis songs and dance they recollected in the form of musical plays. New plays were introduced almost every two years. They have performed not only on the island, but also in other countries (USA, New Zealand, Mexico, Malaysia). Two music CD records were published in 2001 and 2004 respectively. In the year of 2011, a complete presentation of the great Amis music collected and studied by Ms. Kao Shu-chuan and Prof. Dr. Lu Yu-hsiu in five years was published in the name of *A Rolling Age - Farmer's Songs in Malan*, in which the once lost *Amis* farming songs are included. This publication was nominated in the 23th Golden Melody Awards, and is a good documentary resource.

In 2013, a music album *Searching for Polyphony* was produced by Prof. Lu Yu-hsiu with the assistance from Ms. Kao, in which the Amis songs from 9 villages were performed by the best possible singers of the time for the possibilities of future study in different Amis singing styles. Articles from top scholars are included to provide more in-depth guidance to the music.



## ბედინერა
წალენჯიხა, სამეგრელო, საქართველო

წალენჯიხის ფოლკლორული ანსამბლი *ბედინერა* 1936 წელს შეიქმნა, ცნობილი ლოტბარის ივანე ჩომახიას ხელმძღვანელობით. 1938 წლიდან გუნდს ვლადიმერ სალია და მიტროფანე შელია ხელმძღვანელობდნენ, 1980 წლიდან დღემდე კი ანსამბლს სათავეში უდგას დამსახურებული ლოტბარი მურთაზ ციმინტია.

*ბედინერას* რეპერტუარის ძირითადი ნაწილი ჩაწერილია და ინახება საქართველოს რადიოს ოქროს ფონდში. ანსამბლის მიერ შესრულებული ცეკვა-სიმღერა *ძაბრალე* გადაღებულია ქართულ მხატვრულ ფილმში *ერთი ცის ქვეშ* (სოლისტი მიხეილ ზარქუა), ხოლო სიმღერა *დადიანის მოძახილი* გამოყენებულია მხატვრულ ფილმში *მთვარის მოტაცება*. *ბედინერას*, ანსამბლ *მახასთან* ერთად, გრამფირფიტაზე ჩაწერილი და გამოცემული აქვს 14 მეგრული ხალხური სიმღერა. ანსამბლი გამოირჩევა საკუთარი საშემსრულებლო სტილითა და მანერით, ორიგინალური, მისეული რეპერტუარით.

*ბედინერა* მრავალი საკავშირო და რესპუბლიკური ფესტივალის ლაურეატია. ანსამბლმა სხვადასხვა დროს გამართა საკონცერტო ტურნეები მოსკოვში, ბულგარეთში, ჩეხოსლოვაკიასა და პოლონეთში. 1990 წელს *ბედინერას* „სახალხო ანსამბლის“ საპატიო წოდება მიენიჭა.

## BEDINERA
TSALENJIKHA,
SAMEGRELO, GEORGIA

Folk Ensemble *Bedinera* was created in Tsalenjikha in 1936 by the song-master Ivane Chomakhidze. From 1938 the collective was directed by Vladimer Salia nad Mitropane Shelia; since 1980 the group has been led by the merited song-master Murtaz Tsimintia.

Basic part of the ensemble's repertoire is recorded and preserved at the Golden Fund of Georgian National Radio. The dance-song *Dzabrale* as performed by the group was shot for the feature film *Under the Same Sky* (soloist Mikheil Zarkua), the song *Dadianis Modzakhili* was used in the feature film *Stealing the Moon.* Together with ensemble *Makha* the group recorded and published 14 Megrelian folk songs. *Bedinera* is distinguished in peculiar performance style and manner, original repertoire.

*Bedinera* is the laureate of many All-Union and Republican festivals. At various times the collective was on concert tours in Moscow, Bulgaria, Czechoslovakia and Poland. In 1990 *Bedinera* was conferred the Honorary title of "People's Ensemble".



## ბოლნელა
ბოლნისი, ქართლი, საქართველო

ქალთა ფოლკლორული ანსაბლი *ბოლნელა* 2012 წელს ბოლნისში, მეუფე ეფრემის ლოცვა-კურთხევითა და დეკანოზ ბასილ ახვლედიანის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა. ანსამბლის მიზანია, მრავალეთნიკურ ქვემო ქართლსა და ბოლნისში ქართული ტრადიციული კულტურის აღორძინება-პოპულარიზაცია. *ბოლნელას* რეპერტუარი მოიცავს საქართველოს სხვადასხვა კუთხის ქალთა და მამაკაცთა ტრადიციულ სიმღერებს. ფოლკლორული ნიმუშების შესრულებისას *ბოლნელა* მტკიცედ იცავს ხალხური საშემსრულებლო ტრადიციის კანონზომიერებებს, სიმღერებს ასრულებს ფერხულისა და ცეკვის თანხლებით, იყენებს ტრადიციულ ხალხურ საკრავებს. *ბოლნელას* ლოტბარია ეთნომუსიკოლოგი ნანა ვალიშვილი. ანსამბლმა პრეზენტაცია გაიმართა ბოლნისის კულტურის ცენტრსა და ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში. *ბოლნელა* 2013 წელს მონაწილეობდა საჩხერის I ფესტივალში *მრავალჟამიერ და გივი გარაყანიძის სახელობის ბათუმის ტრადიციული სიმღერისა და საეკლესიო გალობის VII საერთაშორისო ფესტივალში.*

## BOLNELA
BOLNISI,
KARTLI, GEORGIA

Female folk ensemble *Bolnela* was created in Bolnisi with the blessing of Father Eprem and Deacon Basil Akhvlediani in 2012. The ensemble aims to revive and popularize Georgian traditional culture in multi-ethnic Kvemo Kartli and Bolnisi. The repertoire of *Bolnela* includes female and male songs from Georgia’s different regions. It firmly follows the regularities of folk performance, performs songs with dances and round dances and applies traditional folk musical instruments. *Bolnela* is directed by ethnomusicologist Nana Valishvili. The collective held presentation at Bolnisi Centre of Culture and Georgian State Folklore Centre. In 2013 the group participated in the *1st Sachkhere Festival* and *Gigi Garaqanidze 7th International Festival of Traditional Song and Sacred Chant* in Batumi.



## დაიმოახკ აზნაშ

ქისტები
პანკისის ხეობიდან,
საქართველო

ქისტ ქალთა ანსამბლი პანკისის ხეობიდან *დაიმოახკ აზნაში* შეიქმნა 1995 წელს. იგი ათი წევრისაგან შედგება. ანსამბლი შეიქმნა საქართველო-ჩაჩნეთს შორის სამშვიდობო ხიდის გადების მიზნით. მისი ხელმძღვანელია მაყვალა მარგოშვილი. ანსამბლი ბევრს მოგზაურობს კონცერტებით მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში და მონაწილეობა აქვს მიღებული არაერთ ფოლკლორულ ფესტივალში. მის რეპერტუარშია როგორც რელიგიური საგალობლები, ისე საერო სიმღერები, ასევე ფოლკლორულ ტრადიციებზე დამყარებული თეატრალური ქმედებები, მღერიან ქართულ სიმღერებსაც. ანსამბლს მიენიჭა *სახალხო წოდება*. ჩაწერილი აქვს ერთი CD.

ანსამბლის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა მაყვალა მარგოშვილმა, ანსამბლის სხვა წევრებთან ერთად, აქტიური მონაწილეობა მიიღო პანკისის ხეობაში ტმკსც-ის მიერ მოწყობილ ფოლკლორისტულ ექსპედიციაში, რომლის ფარგლებშიც ქისტური ტრადიციული მუსიკის მრავალი საინტერესო ნიმუში დაფიქსირდა (ექსპედიციის ხელმძღვანელი ეთნომუსიკოლოგი ქეთევან ბაიაშვილი).

## DAIMOAKHK AZNASH

THE KISTS/CHECHENS FROM PANKISI GORGE, GEORGIA

Daimoakhk Aznash – a choir of Chechen-Kist women from the Pankisi Gorge, was founded in 1995.The ensemble was created with aim of building a bridge of peace between the Chechens and Georgians. The ensemble is directed by Maqvala Margoshvili. There are ten singers in the ensemble. The ensemble has participated in international folk festivals and has performed concerts in different countries of the world. In the repertoire of Daimoakhk there are religious chants and secular songs. The Ensemble's repertoire also includes theatrical pieces based on folk traditions, *Daimoakhk Aznash* was conferred the title of Peoples' Ensemble In 2000 the ensemble recorded the first CD.



## ელესა
ქედა, აჭარა, საქართველო

ქედის ფოლკლორული ანსამბლი ელესა 1996 წელს შეიქმნა. ანსამბლის ხელმძღვანელია ირაკლი სირაბიძე, ლოტბარ-კონსულტანტი – ტარიელ მამალაძე. 2003 წლიდან ანსამბლში ძველი და ახალი თაობა გვერდიგვერდ მღერის. ელესას საშემსრულებლო-შემოქმედებითი სტილი და მანერა ტრადიციულია. ანსამბლი, ძირითადად, ზემოაჭარულ სიმღერებს ასრულებს. *ელესა* აქტიურად მონაწილეობს საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ გამართულ კონცერტებსა და ფესტივალებში (ყოველწლიური ფესტივალი *არტ გენი*, საჩხერის ტრადიციული ფესტივალი *ქართული საგალობელი, გიგი გარაყანიძის სახელობის ბათუმის ტრადიციული სიმღერისა და საეკლესიო გალობის VII საერთაშორისო ფესტივალი*, ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ფესტივალი-კონკურსი *ქობულეთი-2007*), მართავს სოლო კონცერტებს. 2007 წლის აპრილში ანსამბლი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმის დეპარტამენტთან ერთად იმყოფებოდა ქ. ბაქოში, ტურისტულ ფესტივალზე. ანსამბლის შესრულებით 7 სიმღერა შესულია აუდიოალბომში *აჭარული ხალხური სიმღერები*, რომელიც 2013 წელს გამოიცა. 2012 წელს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრმა ჩაიწერა *ელესას* რეპერტუარი. გამოსაცემად მზადდება ანსამბლის პირველი აუდიოალბომი.

## ELESA
KEDA,
ACHARA, GEORGIA

Folk Ensemble *Elesa* of Keda District was created in 1996. The group is directed by Irakli Sirabidze, song-master and consultant is Tariel Mamaladze. Since 2003 old and new generations of the collective sing side-by-side. *Elesa* has traditional performance style and manner. The group basically sings Zemo Acharan repertoire, takes active part in concerts and festivals (*ArtGeni* annual festival; traditional festival *Georgian Chant* in Sachkhere; *Gigi Garaqanidze 7th International Festival of Traditional Song and Sacred Chant in Batumi*; Festival-Contest of Georgian Folk Song and Dance *Kobuleti-2007*) in and outside Georgia, holds solo concerts. In 2007 the collective was at Baku Tourist Festival together with the Tourism Department of Achara Autonomous Republic, 7 songs as performed by *Elesa* have been included in the audio album *Acharan Folk Songs* published in 2013. The State Folklore Centre of Georgia recorded the Ensemble's repertoire in 2012 and its first audio album is being prepared for publication.

## კესელო
ზემო ალვანი,
კახეთი, საქართველო



ფოლკლორული ანსამბლი *კესელო* 2000 წელს შეიქმნა, ახმეტის რაიონის სოფელ ზემო ალვანში. ანსამბლის დამაარსებელი და ხელმძღვანელია რევაზ ორბეთიშვილი. *კესელოს* შემადგენლობაში მხოლოდ თუშები არიან და, ბუნებრივია, ანსამბლის მიზანი მშობლიური კუთხის ფოლკლორული ტრადიციების შენარჩუნებაა. ისინი უშუალოდ ხალხისაგან სწავლობენ და აცოცხლებენ თუშურ სიმღერა-დასაკრავებსა და ცეკვებს.
*კესელო* აქტიურად მონაწილეობს რაიონულ და რეგიონულ ფოლკლორულ ღონისძიებებში, ადგილობრივ ფესტივალებსა და კონცერტებში. ანსამბლი ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის 2005-06 წლების დათვალიერება-ფესტივალის ლაურეატია.

## KESELO
ZEMO ALVANI,
KAKHETI, GEORGIA

Folk ensemble *Keselo* was created in 2000, in the village of Zemo Alvani Akhmeta District.
The group was founded and is directed by Revaz Orbetishvili. All members of the Ensemble are Tushetians and naturally they aim to preserve the folk traditions of their native region. They study folk examples directly from people and revive Tushetian songs, dance melodies and dances.
*Keselo* actively participates in District and Regional folk events, local festivals and concerts. It is the prize winner of the 2005-2006 Inspection-Festival of the State Folklore Centre of Georgia.



## კვირია
ქვემო ქართლი, საქართველო

ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი *კვირია* 2010 წლის მარტში შეიქმნა. მასში გაერთიანდნენ ახალგაზრდები სტიქიური უბედურების შედეგად ზემო და ქვემო სვანეთიდან ქვემო ქართლში ჩამოსახლებული სვანური ოჯახებიდან. *კვირიას* ხელმძღვანელობს გურამ კვასტიანი, რომლის მთელი ცხოვრება და მოღვაწეობა სვანურ ხალხურ ცეკვასა და სიმღერას უკავშირდება. ანსამბლის მიზანია, სხვადასხვა კილოკავის სვანური სიმღერებისა და ცეკვების აღდგენა, შესწავლა და შესრულება. *კვირია* მზარდი, დიდი შესაძლებლობების ანსამბლია, გამოცდილი ლოტბარით, ჩინებული ხმებით, მაღალი საშემსრულებლო დონითა და საუკეთესოდ შერჩეული რეპერტუარით. კვირია იცავს ხალხურ საშემსრულებლო ტრადიციას – სვანურ სიმღერებს ფერხულითა და ცეკვით, ტრადიციული ხალხური საკრავების გამოყენებით ასრულებს.

## KVIRIA
KVEMO KARTLI,
GEORGIA

Male folk ensemble *Kviria* was created in 2010. The members of the group come from the Svan families, who migrated to Kvemo Kartli from Zemo and Kvemo Svaneti due to natural calamity. *Kviria* is directed by Guram Kvastiani, whose entire life is connected with the study, revival and performance of Svan folk songs and dances. The Ensemble has increasing possibilities, is led by the experienced song-master high level of performance and interesting repertoire. Kviria follows traditional folk manner – performs Svan songs with dances and round dances, under the accompaniment of traditional folk instruments.



## ლაგუშედა
ლენტეხი, სვანეთი, საქართველო

ლენტეხის კულტურის ცენტრის ფოლკლორული ანსამბლი *ლაგუშედა* 1994 წელს შეიქმნა, ლოტბარების – ჯოკია და გელა გუგავების ხელმძღვანელობით. *ლაგუშედა* შეიქმნა ცნობილი ლოტბარის, ჯოკია მეშველიანის გარდაცვალებისა და *ლილეს* დაშლის შემდეგ. სახელწოდება მომდინარეობს უძველესი სვანური სიმღერიდან და ნიშნავს – *უფალო, შეგვეწიე.*

*ლაგუშედა* მისი წინამორბედი ანსამბლის – *ლილეს* საუკეთესო ტრადიციების გამგრძელებელია: მრავალი საკავშირო და რესპუბლიკური ფესტივალის ლაურეატი და 1994 წლის ფოლკლორის რესპუბლიკური ფესტივალის გრან-პრის მფლობელია. ანსამბლი გამოირჩევა საკუთარი საშემსრულებლო სტილითა და მანერით, ქვემოსვანური სიმღერების ორიგინალური ვარიანტების შექმნა-დამკვიდრებით.

დღეისათვის, *ლაგუშედას* გელა გუგავა ხელმძღვანელობს. ახლახან, იგი ქართული სიმღერის აღდგენა-პოპულარიზაციაში შეტანილი წვლილისათვის, ფონდმა *ქართულმა გალობამ* დააჯილდოვა ნომინაციაში – *სვანური სიმღერის მოამაგე.*

## LAGUSHEDA
LENTEKHI,
SVANETI, GEORGIA

Folk ensemble *lagusheda* of Lentekhi Cultural Centre was created under the guidance of the renowned song-masters Jokia and Gela Gugavas in 1994 after the dissolution of ensemble *Lile* directed by the well-known song-master Jokia Meshveliani. The name of the group comes from old Svan song and means *Lord, have mercy on us.*

*Lagusheda* continues the best traditions of *Lile*: Its predecessor is the laureate of many All-Union and Republican festivals; Grand-Prix winner of the 1994 Republican Folklore Festival. The group is distinguished in peculiar performance style and manner; creation and introduction of original Kvemo Svanetian variants.

Currently *Lagusheda* is directed by Gela Gugava. Recently the Fund *Georgian Chant* awarded the song-master in the nomination *Beneficent of Svan Song* for his contribution in the revival and popularization of Georgian folk song.

## მრავალჟამიერი
სიღნაღი, კახეთი,
საქართველო



ფოლკლორული ანსამბლი *მრავალჟამიერი* 1967 წელს, სიღნაღის რაიონის კულტურის სახლთან, ქართლ-კახური სიმღერების ჩინებულმა მცოდნემ და შემსრულებელმა გიორგი (ლუდა) ქუფარაშვილმა დააარსა. 2011 წლიდან *მრავალჟამიერს* პაატა მელაძე ხელმძღვანელობს. მისი ლოტბარობის პერიოდში საგრძნობლად შეიცვალა და გამოცოცხლდა ანსამბლის საშემსრულებლო-შემოქმედებითი საქმიანობა: გადახალისდა შემადგენლობა, დაიხვეწა რეპერტუარი, გამოიკვეთა შემოქმედებითი პრინციპები, ტრადიციული საშემსრულებლო ფორმები და მანერა. ანსამბლი *მრავალჟამიერი* ქართლ-კახურ სიმღერებს ასრულებს. 2013 წელს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მიერ *მრავალჟამიერის* პირველი აუდიოალბომი გამოიცა.

## MRAVALZHAMIER
SIGHNAGHI,
KAKHETI, GEORGIA

Folk Ensemble *Mravalzhamier* was founded in 1967 at Sighnaghi District House of Culture by Giorgi (Luda) Kuparashvili-a good connoisseur of Kartli-Kakhetian folk songs. Since 2011 the ensemble has been directed by Paata Meladze. Under Meladze's direction *Mravalzhamier* has significantly changed, its performance has been revived: the membership has been transformed, the repertoire – renewed, Ensemble *Mravalzhamier* performs Kartli-Kakhetian songs. In 2013 State Folklore Centre published the ensemble's first audio album.

## ქობულეთი
ქობულეთი, აჭარა,
საქართველო



ფოლკლორული ანსამბლი *ქობულეთი* 1968 წელს შეიქმნა. ათეული წლები მას გურულ-აჭარული სიმღერების საუკეთესო მცოდნე სულიკო მამულაიშვილი ხელმძღვანელობდა; მისი გარდაცვალების შემდეგ, 2006 წლიდან, ანსამბლს სათავეში ჩაუდგა ზორბეგ ოქროპირიძე. ქობულეთის რაიონს, გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, აჭარის დანარჩენი რაიონებისგან რამდენადმე განსხვავებული მუსიკალურ-ფოლკლორული ტრადიციები ახასიათებს. აქ აშკარაა გურიის ტრადიციებთან სიახლოვე: მთელ აჭარაში მხოლოდ ქობულეთშია გავრცელებული გურიისთვის ტიპური ოთხხმიანი ნადურები და განვითარებული, იმპროვიზაციულობით გამორჩეული ტრიო-სიმღერები. შესაბამისად, ანსამბლ ქობულეთის რეპერტუარი გურულ და აჭარულ (ქობულეთურ) ხალხურ სიმღერებს მოიცავს. ანსამბლი გამოირჩევა საკუთარი საშემსრულებლო სტილითა და მანერით, ორიგინალური ტემბრული პალიტრით, მაღალი საშემსრულებლო ოსტატობით და სოლისტების განსაკუთრებული ინდივიდუალობით. *ქობულეთს* 1978 წელს *სახალხო ანსამბლის* წოდება მიენიჭა. გასულ წელს ანსამბლს 45 წელი შეუსრულდა და საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრმა *ქობულეთის* პირველი აუდიოალბომი გამოსცა.

## KOBULETI
KOBULETI,
ACHARA, GEORGIA

Folk Ensemble *Kobuleti* was created in 1968 and directed by Suliko Mamulaishvili for decades. After his death in 2006 the direction was taken over by Zorbeg Okropiridze. Proceeding from its geographical location folk-musical traditions of Kobuleti district differ from those of the other districts of Achara. Here obvious is the proximity to Gurian traditions: four-part *naduri* songs and long trio songs, with marked out improvisation, typical of Guria are encountered only in Kobuleti in entire Achara. Correspondingly the repertoire of ensemble *Kobuleti* includes Gurian and Acharan (Kobuletian) folk songs. The Ensemble is distinguished for its performance style and manner, original timbre, high performance skills and the soloists' particular individuality. In 1978 the group was conferred the title of *People's Ensemble*. Last year *Kobuleti* was 45 and the State Folklore Centre published its first audio album.



## ჩხოროწყუ

ჩხოროწყუ, სამეგრელო, საქართველო

ფოლკლორული ანსამბლი *ჩხოროწყუ* 1982 წელს შეიქმნა, ცნობილი ლოტბარის ორდე ლეთანძის ხელმძღვანელობით. 1980-იანი წლების ბოლოდან თითქმის ორი ათწლეული ანსამბლს ხელმძღვანელობდა ვახტანგ მიმინოშვილი, 2006 წლიდან კი გიორგი კაჭარავა ჩაუდგა სათავეში. ახალგაზრდა ლოტბარის მოწადინებით, ანსამბლმა აღადგინა მივიწყებული ტრადიციული მეგრული სიმღერები და რიტუალები. ჩხოროწყუ მრავალი რესპუბლიკური და საკავშირო ფესტივალის მონაწილე და ლაურეატია, მათ შორის – 2005-06 წლების ფოლკლორის ეროვნული დათვალიერება-ფესტივალის. სხვადასხვა დროს გამართა საკონცერტო ტურნეები უნგრეთში, მოსკოვში, ლიტვაში, თურქეთში... მათ მიერ შესრულებული 15 სიმღერა ჩაწერილია და ინახება მოსკოვის საკავშირო რადიოკომიტეტის ოქროს ფონდში. 1988 წელს მას *სახალხო ანსამბლის* საპატიო წოდება მიენიჭა. მიმდინარე წელს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი ჩაიწერს და გამოსაცემად მოამზადებს ანსამბლის პირველ აუდიოალბომს.

## CHKHOROTSQU

CHKHOROTSQU,
SAMEGRELO, GEORGIA

Folk ensemble *Chkhorotsqu* was created in 1982 under the direction of Orde Letandze – a renowned song master. From the end of the 1980s, during almost twenty years the ensemble was directed by Vakhtang Miminoshvili; Giorgi Kacharava took over in 2006. Under the guidance of the young song master forgotten traditional Megrelian songs and rituals have been revived. *Chkhorotsqu* is the participant and laureate of a number of national and International Festivals, among these- National Inspection-Festivals in 2005 and 2006. At various times the Ensemble was on concert tours in Hungary, Moscow, Lithuania, Turkey… 15 songs as performed by them were recorded and are preserved in the Golden Fund of the All-Union Radio. In 1988 the collective was conferred the title of *People's Ensemble*. This year the State Folklore Centre of Georgia is planning to record and publish the ensemble's first audio album.

# ადილეი
თბილისი,
საქართველო




ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი *ადილეი* 2012 წელს შეიქმნა. გურული სიმღერების მოყვარული მეგობრები დემეტრე ქირიას ინიციატივითა და ხელმძღვანელობით შეიკრიბნენ; სახელიც ერთი გურული მგზავრული სიმღერისა დაირქვეს, რომელიც, ბიჭების აზრით, ყველაზე კარგად გამოხატავს მათს ხასიათსა და მისწრაფებებს.
ანსამბლის მთავარი შემოქმედებითი პრინციპი სოფელზე და ხალხურ მომღერლებზე სწორებაა. მათი ამოცანაა ხელი შეუწყონ ტრადიციული სიმღერა-გალობის ყოველდღიურობაში შემოტანასა და გაცოცხლებას: ლხინის სუფრებზე, სახალხო დღესასწაულებზე და სხვა. შესრულების პროცესში ყურადღებას იქცევს მღერის სილაღე და თავისუფლება.
*ადილეის* რეპერტუარში, ძირითადად, დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხის სიმღერებია. ისინი ცდილობენ ამა თუ იმ სიმღერის იმპროვიზაციული, „ადილეისეული“ ვარიანტი შესთავაზონ მსმენელს, შექმნან საკუთარი ხელწერა და სტილი.

# ADILEI
TBILISI, GEORGIA

Male folk ensemble *Adilei* was created in 2012 by the Gurian song-lovers on the initiative of Demetre Kiria, and called themselves after a Gurian travelers' song, which in their opinion expresses their characters and aims best. The creative principles of *Adilei* is to be orientated on village and folk singers.
The group strives to revive traditional songs and chants and bring them back to everyday life: at feast, folk celebrations, etc. Noteworthy is the free performance manner of the collective. The repertoire of *Adilei* basicly includes the songs from different parts of Western Georgia. The group strives to offer the listeners different – their own improvisational varaints of songs, create their own manner and style, the signs of which have been marked out at their public performances.



## ანჩისხატის გუნდი
თბილისი, საქართველო

ჩამოყალიბდა 1988 წელს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში. გუნდი თავდაპირველად ხალხურ სიმღერებს მღეროდა და მიზნად ჰქონდა დასახული საქართველოს სხვადასხვა კუთხისათვის დამახასიათებელი საშემსრულებლო მანერის აღდგენა და შეძლებისდაგვარად ძველ ქართულ ბგერათწყობაში აჟღერება. 1989 წლიდან ანსამბლმა ანჩისხატის ტაძარში დაიწყო გალობა. სწორედ ამ გუნდის უდიდესი დამსახურებაა XX საუკუნის 90-იანი წლებიდან ქართულ საეკლესიო ღვთისმსახურებაში მივიწყებული ძველი ქართული გალობის აღდგენა და დამკვიდრება. დაარსებიდან 2007 წლამდე გუნდის რეგენტი იყო თბილისის კონსერვატორიის თანამშრომელი, მალხაზ ერქვანიძე. გუნდი 11 წევრისგან შედგება, რომელთა შორის არა მხოლოდ მუსიკოსები არიან. ამჟამად გუნდის დირექტორია ზაალ წერეთელი, ხოლო შემოქმედებით საკითხებს მისი წევრები ერთობლივად წყვეტენ. მის რეპერტუარშია როგორც ქართული საგალობლები, ისე – ხალხური სიმღერები, რომელთა შორის, ბევრი მათგანის „გაცოცხლება" და პოპულარიზაცია სწორედ ანჩისხატის გუნდის სახელს უკავშირდება. გუნდს ხშირად აქვს საგასტროლო ტურნეები და მასტერკლასები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. *ანჩისხატის გუნდს* გამოცემული აქვს 18 CD, საგალობლებისა და ხალხური სიმღერების არაერთი სანოტო კრებული.

შარშან *ანჩისხატის გუნდს* 25 წელი შეუსრულდა, რაც საიუბილეო კონცერტით აღინიშნა. იუბილესთან დაკავშირებით მომზადდა და გამოიცა *ანჩისხატის გუნდის* ახალი კომპაქტდისკი სახელწოდებით *ნადი*. მასში თავმოყრილია ძველი საარქივო ჩანაწერებიდან ამოკრებილი, საქართველოს სხვადახვა კუთხის ხალხური სიმღერების შესანიშნავი ნიმუშები, რომელთა უმრავლესობა თვით *ანჩისხატის გუნდის* მიერ არის აღდგენილი.

## ANCHISKHATI CHOIR
TBILISI, GEORGIA

Was created at Tbilisi State Conservatoire in 1988. The choir aimed to restore regional performance styles from various regions of Georgia in the original manner. From 1989 the choir became intensely interested in Georgian church hymn and began chanting at the 6th century Anchiskhati Church, in Tbilisi. The revival of canonical church chant in the 1990s can largely be credited to the recordings, performances, research, and publishing activities of the choir. From the day of inception until 2002 the choir was directed by Malkhaz Erkvanidze _ an employee of Tbilisi State Conservatoire. Not all of the current 11 members of the choir are musicians. Currently the group is directed by Zaal Tsereteli, but creative problems are jointly solved by all members. Their repertoire includes Georgian chants and folk songs, many of which have been revived by *Anchiskhati* members. The choir often has tours and masterclasses in different countries of the world. The Choir has released 18 CDs, several collections of chants and transcriptions of folk songs.
Last year *Anchiskhati* was 25; the choir dedicated an anniversary concert to this date, prepared and published a new CD of the distinguished folk examples from various parts of Georgia, most of which were revived by *Anchiskhati*.



## ახალუხლები
თბილისი, საქართველო

ანსამბლი *ახალუხლები* ჩამოყალიბდა 2007 წელს. მისი ხელმძღვანელია ოთარ კაპანაძე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ეთნომუსიკოლოგი. ანსამბლის ძირითადი შემოქმედებითი მიმართულება ტრადიციული რეპერტუარისა და საშემსრულებლო ნორმების დაცვაა. *ახალუხლები* მონაწილეობდა სხვადასხვა ტელე-რადიო გადაცემაში, ფესტივალსა და კონცერტში: არტ-გენი, თბილისის საერთაშორისო სიმპოზიუმი, ბათუმის ქართული ხალხური სიმღერისა და გალობის ფესტივალი, ქართველი ეთნომუსიკოლოგებისადმი მიძღვნილი კონცერტები, ახალგაზრდა ქართველ ეთნომუსიკოლოგთა კონფერენციის თანმხლები კონცერტები, უცხოელებისადმი განკუთვნილი ლექცია-კონცერტები და სხვ.

## AKHALUKHLEBI
TBILSI, GEORGIA

Ensemble *Akhalukhlebi* was created in 2007, is directed by Otar Kapanadze, Doctor of Arts, ethnomusicologist. The Ensemble focuses on the maintenance of traditional repertoire and performance norms. *Akhalukhlebi* participated in various radio and television programs, festivals and concerts: *ArtGeni*, Tbilisi International Symposium, Batumi Festival of Georgian Folk Song and Sacred Chant, concerts dedicated to Georgian ethnomusicologists, concerts accompanying the Conference of ethnomusicologists, lecture-concerts intended for foreigners, etc.



## ბასიანი
თბილისი,
საქართველო

საქართველოს ხალხური სიმღერის სახელმწიფო ანსამბლი ბასიანი ჩამოყალიბდა 2000 წელს, უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის ლოცვა-კურთხევით, როგორც საპატრიარქოს ფოლკლორული ანსამბლი. დაარსებიდან მისი ხელმძღვანელია გიორგი დონაძე.
ბასიანის წევრების უმრავლესობა მომღერალთა ტრადიციული ოჯახიდანაა ან ბავშვობიდან მღეროდა ხალხური სიმღერის სხვადასხვა ანსამბლში.
ანსამბლის რეპერტუარი ქართულ ხალხურ სიმღერებსა და ტრადიციულ საეკლესიო საგალობლებს მოიცავს. სიმღერებს შეისწავლიან უნიკალური საარქივო ფონო და სანოტო ჩანაწერებიდან ან უშუალოდ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მოღვაწე უფროსი თაობის გამოჩენილი მომღერლებისაგან.
ბასიანი თანამშრომლობს გამოჩენილ უცხოელ ეთნომუსიკოლოგებთან, გამოცემული აქვს 8 აუდიოალბომი, მათ შორის, 2012 წელს საფრანგეთის რადიო *Ocora Radio France*-ს მიერ გამოცემული, რომელიც მთელ მსოფლიოში ვრცელდება. ყველაზე მასშტაბურია ბოლო ნამუშევარი – 4 დისკისაგან შედგენილი ალბომი, რომელშიც 102 ხალხური სიმღერა და ტრადიციული საგალობელია შესული (2013).
*ბასიანმა* კონცერტებით მოიარა 20-მდე ქვეყანა, გამოდის მსოფლიოს ყველაზე სახელგანთქმულ საკონცერტო დარბაზებში, რომელთა შორისაა *AuditorioNacional de Musica* (მადრიდი), *the Gulbenkian Great Hall* (ლისაბონი), *Concertgebouw* (ამსტერდამი). *Lincoln Center* (*New York*) და სხვ.; მონაწილეობდა არაერთ საერთაშორისო ფესტივალში, მათ შორის, *Aldeburgh Music Festival*-სა (ალდებურგი, ინგლისი) და *St. John's Smith Square*-ში (ლონდონი).
2010 წელს *ბასიანმა* მონაწილეობა მიიღო *ლინკოლნ ცენტრში* გამართულ *Mostly Mozart Festival*-ის კონცერტში, სადაც ბახისა და სხვა კლასიკოსი კომპოზიტორების ნაწარმოებების გვერდით ქართული მრავალხმიანი სიმღერა-გალობა შეასრულა. ეს კონცერტი ფართოდ გააშუქა ამერიკულმა პრესამ, მათ შორის, *The New York Times*-მა და *The Wall Street Journal*-მა. 2012 წელს ბასიანი კიდევ ერთხელ გამოვიდა *ლინკოლნ ცენტრში* გამართულ *White Light Festival*-ში.
ანსამბლი თბილისის ყოვლადწმიდა სამების საკათედრო ტაძრის საპატრიარქო გუნდის შემადგენლობაშიცაა და პატრიარქის მიერ აღვლენილ ყველა ღვთისმსახურებაში მონაწილეობს.

## BASIANI
TBILISI, GEORGIA

The State Ensemble of Georgian Folk Song *Basiani* was created in 2000, with the blessing of His Holiness and Beatitude Ilia II, Catholicos Patriarch of all Georgia. Initially, it held the status of Folk Ensemble of Georgian Patriarchy. Since the day of its inception the ensemble has been directed by the song-master Giorgi Donadze.
The members of *Basiani* come from different parts of Georgia, mostly from the families of traditional singers, and have sung folk songs in different ensembles since childhood.
*Basiani* performs Georgian folk songs and traditional hymns found and revived from old audio recordings and notations, study songs directly from famous singers and elderly song-masters in different regions of Georgia. It also works with many world-renowned ethnomusicologists. *Basiani* has already performed at numerous international festivals and visited some 20 countries, recorded and released eight CDs, out of which one album has exclusively been published by *Ocora Radio France* in 2012. The Ensemble's last recordings 4CD album *102 Georgian Folk Songs and Traditional Hymns* was published in June, 2013, as the landmark work of Basiani.
In recent years, *Basiani* performed at the world's most renowned concert venues and international festivals, such as *AuditorioNacional de Musica* (Madrid), the *Gulbenkian Great Hall* (Lisbon), *Concertgebouw* (Amsterdam), *Aldeburgh Music Festival* (Aldeburgh, England) and *St. John's, Smith Square* (London). In August 2010, *Basiani* participated in the Lincoln Center's *Mostly Mozart Festival*, performing for the New York audiences in the program that presented traditional Georgian polyphony alongside the masterpieces of J.S. Bach and other European classic composers. The event was widely lauded by the American press, including *The New York Times* and *The Wall Street Journal*. The ensemble returned to New York at the end of their 2012 American tour to perform in Lincoln Center's *White Light Festival*.
The Ensemble is part of the Tbilisi Holy Trinity Cathedral Choir and participates in church services conducted by the Patriarch himself.

# დიდგორი

თბილისი,
საქართველო



მგალობელ-მომღერალთა გუნდი *დიდგორი* 2004 წელს შეიქმნა. მასში ქართული ხალხური სიმღერის მოყვარული ახალგაზრდა შემსრულებლები გაერთიანდნენ, ლევან წიტაიშვილის ხელმძღვანელობით. მათი დებიუტი 2006 წელს, თბილისის *კინოს სახლში* შედგა. 1121 წელს დავით აღმაშენებლის წინამძღოლობით ქართველთა მიერ დიდგორის ველზე თურქ-სელჩუკთა „ძლევაი საკვირველის" აღსანიშნავად ანსამბლს სახელი არქიმანდრიტმა იოანემ (კიკვაძე) შეურჩია.
2007 წლის წლის ოქტომბრიდან *დიდგორი* ხელმძღვანელის გარეშე აგრძელებს მოღვაწეობას. ანსამბლმა სამი სოლო კონცერტი გამართა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში (2007, 2008, 2011). *დიდგორის* საშემსრულებლო-შემოქმედებითი სტილი და მანერა ტრადიციულია. ანსამბლი საზრდოობს საარქივო ჩანაწერებიდან, მოიძიებს და აღადგენს ძველ ოსტატთა ნამღერ ვარიანტებს.
*დიდგორი* აქტიურად მონაწილეობს კონცერტებსა და ფესტივალებში საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ. 2012 წელს ანსამბლმა წამოიწყო პროექტი *ჩემო კარგო ქვეყანავ*, რომლის ფარგლებშიც მოგზაურობს რეგიონებში, ხვდება ადგილობრივ მომღერლებს და მართავს ერთობლივ კონცერტებს. 2013 წლის სექტემბერში რიგის საკათედრო ტაძარში სასულიერო მუსიკის XVI საერთაშორისო ფესტივალზე *დიდგორი* და ლატვიის სახელმწიფო გუნდი *ლატვია* წარსდგა ერთობლივი საკონცერტო პროგრამით. მისი რეპერტუარი შედგენილი იყო ქართული ტრადიციული მუსიკის მოტივებზე ლატვიელი კომპოზიტორების მიერ სპეციალურად ამ პროექტისათვის შექმნილი ნაწარმოებებისაგან, რომელშიც ორგანულად იყო ჩართული ქართული ავთენტური სიმღერა-გალობა. ანსამბლი გალობს თბილისის წმინდა ილია წინასწარმეტყველის სახელობის ტაძარში. გამოცემული აქვთ ორი CD ალბომი.

# DIDGORI

TBILISI, GEORGIA

Choir of singer-chanters *Didgori* was created in 2004 from the young lovers of folk song with Levan Tsitaishvili's direction. They debuted in 2006 at Tbilisi House of Film. The name of the group was selected by archimandrite Ioane (Kikvadze) in token of the Georgians' brilliant victory over Seljuks on Didgori valley.
Since 2007 *Didgori* carries out its activity without a leader. They held three solo concerts (2007, 2008, 2011) at the Grand Hall of Tbilisi State Conservatoire. *Didgori* holds to traditional performance style and manner. The group seeks for and revives the old masters' variants from archival recordings.
*Didgori* takes active part in concerts and festivals both in and outside Georgia. In 2012 the Ensemble initiated the project *My beloved country*, as part of which it travels to various regions of Georgia, meets local singers and participates in joint concerts. In September, 2013 *Didgori* and Latvian State Choir performed in the concert with joint repertoire, created especially for this project, consisting of the pieces by Latvian authors composed on the motifs of Georgian traditional music organically including Georgian authentic songs and chants. *Didgori* chants at St. Ilia the Prophet's church in Tbilisi, has released two CDs.

## იალონი
თბილისი,
საქართველო



მგალობელ-მომღერალ ქალთა გუნდი *იალონი* შეიქმნა 2009 წელს, თბილისის იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ტაძრის მგალობელთა გუნდის ბაზაზე, ნინო ნანეიშვილის ხელმძღვანელობით. ამჯერად გუნდი თბილისის ვახტანგ გორგასლის სახელობის ტაძარში გალობს. გუნდის მიზანია შუასაუკუნეების ქართული გალობისა და ტრადიციული ხალხური სიმღერების შესწავლა-პოპულარიზაცია.

*იალონი* აქტიურად მონაწილეობს საქართველოს სხვადასხვა ქალაქში გამართულ ტრადიციული მუსიკის საღამოებში. ანსამბლს საქართველოში ჩატარებული აქვს ხუთი და პოლონეთში – ოთხი სოლო კონცერტი. 2014 წელს პოლონეთში გამართულ მართლმადიდებლური გალობის 33-ე საერთაშორისო ფესტივალზე *ჰაინოვკის მუსიკალური დღეები* დაჯილდოვდა კატეგორიაში *გამორჩეულის* სიგელით.

*იალონმა* 2014 წელს სრული გალობით აღავლინა *იესო ტკბილის პარაკლისი* – კონსერვატორიის მცირე დარბაზსა და ვაკის წმიდა სამების ტაძარში. ანსამბლს გამოცემული აქვს რამდენიმე აუდიოალბომი: *ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის პარაკლისის საგალობლები* (2010), *რვა ხმის ღმერთი უფალი და აღდგომის ტროპრები* (2011, ორ დისკად); *პოლონური საშობაო სიმღერების დისკი* გუნდ *ისონთან* ერთად (2010) და 2014 წლის პოლონეთის ფესტივალის საკონკურსო ნომრების აუდიოდისკი.

## IALONI
TBILISI, GEORGIA

Female chanters' group *Ialoni* was created in 2009 under Nino Naneishvili's direction on the basis of Ioane Ghvtismetqveli church choir. Currently the choir chants at Vakhtang Gorgasali Church in Tbilisi. It aims to study and promote Georgian traditional chants and songs. *Ialoni* actively participates in traditional music performances throughout Georgia. It has held five solo concerts in Tbilisi and four- in Poland, was awarded in the category "Distingusihed" at the 33rd International Festival *Musical Days of Haynovka* in Poland.

In 2014 *Ialoni* performed the complete paraklesis of Jesus the Sweet at the Recital Hall of Tbilisi State Conservatoire and Vake Holy Trinity Church, the Ensemble has relased several audio albums: *Chants of the Virgin's Paraklesis* (2010), *GhmetriUpali of the Eightnote and Easter Troparion* (2011, two CDs), a CD of *Polish Christmas songs together with the group "Isoni"* (2010), and the CD of the competition acts at the festival in Poland.



## მთიები
თბილისი,
საქართველო

1980 წელს ახალგაზრდა ეთნომუსიკოლოგმა ედიშერ გარაყანიძემ თანატოლებისაგან შექმნა ანსამბლი *მთიები*, რომელმაც რადიკალურად შემოაბრუნა სასცენო ფოლკლორული შემსრულებლობა ავთენტიკური სტილისკენ. ანსამბლის პოპულარობა მალე გასცდა საქართველოს ფარგლებს – ევროპის ქვეყნებსა თუ ამერიკაში *მთიების* კონცერტებს არასდროს დაჰკლებია ოვაციები, ბევრმა უცხოელმა მათგან შეიყვარა და შეისწავლა ქართული ხალხური სიმღერა.
1991 წლიდან მეორე თაობის *მთიები* ქალ-ვაჟთა ანსამბლად ჩამოყალიბდა, რომელშიც ბავშვთა ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული სტუდია *ამერ-იმერში* აღზრდილი გოგო-ბიჭები გაერთიანდნენ. ანსამბლის დამაარსებლის ტრაგიკული გარდაცვალების შემდეგ, 2001 წლიდან, *მთიებს* ედიშერის ვაჟი, ეთნოლოგი გიგი გარაყანიძე ჩაუდგა სათავეში, წარმატებით განაგრძო მისი საქმე და დღეს ანსამბლი *ედიშერ და გიგი გარაყანიძეების სახელობის ეთნომუსიკის თეატრი მთიების* სახელით მოღვაწეობს. 2012 წელს ანსამბლის ახალგაზრდა ხელმძღვანელის მოულოდნელი გარდაცვალება კიდევ ერთი გამოცდა იყო ანსამბლისათვის, მაგრამ *ეთნომუსიკის თეატრმა* დაძლია კრიზისი და 2014 წელს გამართა თეატრალიზებული საღამო – *ზარი*, რომელიც გიგი გარაყანიძისა და ანსამბლის ასევე უდროოდ დაღუპული წევრის, გიგა ხაინდრავას ხსოვნას მიეძღვნა.
*მთიებს* გამოცემული აქვს 15-მდე CD და DVD ალბომი. თითქმის ყოველ წელს ანსამბლი თბილისში მართავს შემოქმედებით კონცერტებს. გარდა ზემოხსენებულისა, აღსანიშნავია უკანასკნელ წლებში გამართული ორი თემატური ფოლკლორული საღამო – *ქართული ქორწილი* და *ლიფანალი*.

## MTIEBI
TBILISI, GEORGIA

Young ethnomusicologist Edisher Garaqanidze created folk ensemble *Mtiebi* together with his peers in 1980. The creative principle of the Ensemble was strictly determined from the start: to perform true, unsullied, unprettified folk examples on the stage, exactly the way they had been performed in everyday life – with dances, round dances, instrumental accompaniment, improvised comic verses, etc. *Mtiebi* made a radical turn in folk music performance. The Ensemble's popularity exceeded the borders of Georgia, their performance was always met with burst of applause in Europe and America. Thanks to *Mtiebi* many foreigners fell in love with Georgian folk music and studied.
In 1991 second generation of *Mtiebi* took over. It was a mixed female-male ensemble, with the membership of the alumni of *Amer-Imeri* Children's folk-ethnohraphic studio. After Edisher's tragic death in 2001, his son ethnologist Gigi Garaqanidze directed the Ensemble until his decease. Thus Gigi perfected his father's work and uttered a new word in Georgian folk performance. In 2012 unexpected decease of the ensemble's young director was another test for *Mtiebi*, but the collective managed to overcome the crisis and in 2014 ensemble performed another theatralized evening – *Zari*, dedicated to the memory of Gigi Garaqanidze and Giga Khaindrava.
*Mtiebi* has released about 15 CDs and DVD albums. Almost every year the Ensemble holds solo concerts in Tbilisi – reporting its activity to the loyal listeners. Particularly noteworthy are two recent thematic concerts – *Georgian wedding* and *Lipanali*.

# ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ,
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ



საქართველოს სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი *რუსთავი* 1968 წელს შეიქმნა. მისი დამაარსებელი და სამხატვრო ხელმძღვანელია საქართველოს სახალხო არტისტი, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ანზორ ერქომაიშვილი – ერქომაიშვილების მუსიკალური დინასტიის მეშვიდე თაობის წარმომადგენელი. ანსამბლის ლოტბარია საქართველოს სახალხო არტისტი და სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ბადრი თოიძე, რომელიც ასევე ტრადიციული მომღერლების შთამომავალია.

1970-იანი წლებიდან *რუსთავმა* უდიდესი როლი შეასრულა საქართველოს უიშვიათესი კულტურული მემკვიდრეობის, ეროვნული იდენტობისა და სულიერების გადარჩენისა და შენარჩუნების საქმეში. მეხუთე ათეული წელია იგი ნაყოფიერად მოღვაწეობს: აღადგენს მივიწყებულ ძველ ხალხურ სიმღერებს, გამოსცემს აუდიოალბომებს, მართავს კონცერტებს, მონაწილეობს ფესტივალებში, რადიო და სატელევიზიო გადაცემებში, იღებს და ახმოვანებს კინოფილმებს, მოგზაურობს უცხოეთში და ქართულ ფოლკლორს აცნობს მსოფლიოს. *რუსთავმა* წარმატებით მოიარა მსოფლიოს 70-მდე ქვეყანა (ბევრი მათგანი რამდენჯერმე), ჩაატარა 4000-მდე კონცერტი, მათ შორის – ისეთ პრესტიჟულ დარბაზებში, როგორიცაა პარიზის *ოლიმპია*, *მოგადორი* და *ფლეიერის* თეატრი, ლონდონის *ალბერტ ჰოლი*, მოსკოვის *დიდი თეატრი*, სანკტ-პეტერბურგის, ვენის, ამსტერდამის, ნიუ-იორკის, ტოკიოს, ქაიროს, რომის, შანხაის, ბერლინის და მსოფლიოს სხვა ქალაქების დიდი საკონცერტო დარბაზები. სხვადასხვა დროს გრამფირფიტებსა და კომპაქტურ დისკებზე ჩაწერილი და გამოცემული აქვს 700-მდე ქართული ხალხური სიმღერა-საგალობელი და მათი ვარიანტები. მათგან, 318 სიმღერა ჩაიწერა იაპონურმა ფირმამ *Sony*.

# RUSTAVI

TBILISI, GEORGIA

State Ensemble of Georgian Folk Song and Dance *Rustavi* was created in 1968, its founder and artistic director is Anzor Erkomaishvili – Peoples' Artist of Georgia, Laureate of Rustaveli State Prize, a representative of the seventh generation of the Erkomaishvili dynasty of folk singers, the choirmaster of the Ensemble is Badri Toidze – Peoples' Artist of Georgia, State Prize laureate, also a descendant of the traditional singers' dynasty. From the 1970s *Rustavi* played significant role in the preservation of Georgia's unique cultural heritage, national identity and spirituality. During 50 years *Rustavi* has led fruitful artistic life, revived lesser known old folk songs, published audio albums, held concerts, participated in festivals, radio and television programs, shot and synchronized films, toured with concerts to different countries, introducing Georgian folk music to the world. *Rustavi* has successfully performed about 4000 concerts in about 70 countries of the world at the prestigious venues such as *Olimpia*, *Mogador* and *Salle Pleyel* in Paris, *Royal Albert Hall* of London, *The Bolshoi Theatre* of Moscow, grand concert halls of St. Petersburg, Vienna, Amsterdam, New York, Tokyo, Cairo, Rome, Shanghai, Berlin, etc. At various times the Ensemble released about 700 Georgian folk songs and their variants on LPs and CDs, 318 examples of these were recorded by *Sony*.

## ᲡᲐᲮᲘᲝᲑᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ



ანსამბლი *სახიობა* ჩამოყალიბდა 2006 წელს. მისი ხელმძღვანელია ეთნომუსიკოლოგი, სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების სპეციალისტი, *ანჩისხატის გუნდის* ერთ-ერთი დამაარსებელი, მთაწმინდის *მამა დავით გარეჯელის სახელობის ტაძრის გუნდის* რეგენტი მალხაზ ერქვანიძე.

ანსამბლი „ანჩისხატელთა" გამოცდილებას ეყრდნობა და ცდილობს, თავისი წვლილი შეიტანოს ტრადიციული სიმღერა-საგალობლების ძველი ქართული ბგერათაწყობის აღდგენაში. მისი მიზანია შუასაუკუნეების ქართული გალობის აღდგენა-პოპულარიზაცია, ქართული საგალობლების ხელნაწერთა რედაქტირება და სანოტო კრებულების გამოცემა თანდართული აუდიოდისკებით, ექსპედიციები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, მომღერალ-ლოტბარებთან შეხვედრები და ერთობლივი კონცერტები... რეპერტუარის ძირითადი წყაროა ძველი საარქივო და საექსპედიციო ჩანაწერები, მათ შორის – თავად ანსამბლის ხელმძღვანელის მიერ მოპოვებული.

*სახიობა* ყოველწლიურად მართავს საანგარიშო სოლო კონცერტს განახლებული რეპერტუარით, ჩატარებული აქვს მრავალი სოლო კონცერტი საზღვარგარეთ, მონაწილეობა აქვს მიღებული ფოლკლორისა და ტრადიციული გალობის საერთაშორისო ფესტივალებში. 2011 წელს ანსამბლმა დიდ ბრიტანეთში ჩაატარა 14 კონცერტი. გამოშვებული აქვს ხალხური სიმღერისა და გალობის 7 აუდიოდისკი.

## SAKHIOBA

TBILISI, GEORGIA

Ensemble *Sakhioba* was created in 2006. It is directed by Malkhaz Erkvanidze – ethnomusicologist, Doctor of Social Sciences, specialist of the Georgian Folk Music Department, one of the founder of A*nchiskhati Church Choir*, director of the Mama Davit Garejeli Church choir. *Sakhioba* holds to the experience of *Anchiskhati* and strives to contribute to the revival of old Georgian scale. The group aims to revive and popularize medieval Georgian chant, edit the manuscripts of Georgian chants and publish them as collections supplied with audio CDs, organize field expeditions to various parts of Georgia, meet local song-masters and perform in joint concerts with them. Main source for its repertoire are old archival and field expedition recordings, including those obtained by Malkhaz Erkvanidze himself.

*Sakhioba* annually holds solo concerts with renewed repertoire, has performed in many concerts outside Georgia, has participated in international festivals of folk and church music, has released 7 CDs of folk songs and church hymns. In 2011 *Sakhioba* held 14 concerts in the UK.

## ქალგული
თბილისი,
საქართველო



## KALGULO
TBILISI, GEORGIA

Female folk ensemble *Kalgulo* was created in 2004 at the Rustaveli Theatre and Film University.
There are 10 members in the group, directed by Prof Gomar Sikharulidze, Peoples' Artist of Georgia.
The Ensemble's repertoire consists of folk songs from various parts of Georgia, *Kalgulo* has choral-academic manner of performance, its members play different folk (Diatonic and chromatic) musical instruments.

ქალთა ფოლკლორული ანსამბლი *ქალგულო* შეიქმნა 2004 წელს, საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტთან. ანსამბლი შედგება 10 წევრისგან. *ქალგულოს* ხელმძღვანელია საქართველოს სახალხო არტისტი, პროფესორი გომარ სიხარულიძე.
ანსამბლის რეპერტუარი მოიცავს საქართველოს სხვადასხვა კუთხის ხალხურ სიმღერებს. *ქალგულოს* საშემსრულებლო-შემოქმედებითი სტილი საგუნდო-აკადემიურ მანერას ემყარება. ანსამბლის წევრები უკრავენ ხალხურ (დიატონურ და ქრომატიულ) საკრავებზე.

# შავნაბადა
თბილისი,
საქართველო



ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი *შავნაბადა* 2005 წელს ჩამოყალიბდა, ახალგაზრდა ლოტბარმა დავით ცინცაძემ თავი მოუყარა ბიჭუნათა ანსამბლების – *მართვესა* და *ბიჭების* აღზრდილებს.
*შავნაბადას* რეპერტუარში საქართველოს თითქმის ყველა კუთხის ხალხური სიმღერა და ტრადიციული საგალობლებია. ანსამბლი ხალხური საშემსრულებლო ტრადიციების ერთგულია და ცდილობს, სიმღერები საარქივო ჩანაწერებიდან ან უშუალოდ ხალხური შემსრულებლებისგან შეისწავლს.
*შავნაბადამ* არაერთი სოლო კონცერტი გამართა საქართველოში. ანსამბლი ხშირად მოგზაურობს საზღვარგარეთ (თურქეთი, საფრანგეთი – კორსიკა, შოტლანდია, შვეიცარია, ჰოლანდია, დიდი ბრიტანეთი და სხვ.), მართავს კონცერტებსა და ვორქშოპებს, მონაწილეობს საერთაშორისო ფესტივალებში. *შავნაბადას* გამოცემული აქვს ხალხური სიმღერების 4 CD და ერთი DVD ალბომი, აგრეთვე წირვისა და ლოცვის საგალობლების სასწავლო მრავალდისკიანი 2 აუდიოალბომი, რომელიც სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით მომზადდა და უსასყიდლოდ ვრცელდება გალობის შესწავლის მსურველთათვის.

# SHAVNABADA
TBILISI, GEORGIA

Male folk ensemble *Shavnabada* was created in 2005, young song-master Davit Tsintsadze collected the former memebers of the boys' ensembles *Martve* and *Bichebi*.
The Ensemble's repertoire includes folk songs and traditional hymns from all over Georgia. *Shavnabada* keeps to folk performance traditions and strives to study songs from archival recordings and directly from folk performers.
*Shavnabada* has held a number of solo concerts in Georgia, often performs in concerts and holds work-shops outside Georgia (Turkey, France/Corsica, Scotland, Switzerland, Holland, UK, etc), participates in international festivals. *Shavnabada* has released 4 CDs of folk songs, one DVD album, and a 2 multi-disk educational audio album of liturgy and prayers, prepared with the blessing of Ilia II, the Catholicos-Patriarch of all Georgia, and is disseminated free of charge to all, willing to study chants.

## ძირიანი
თბილისი,
საქართველო



ფოლკლორული ანსამბლი *ძირიანი* 2011 წელს შეიქმნა, ახალგაზრდა ლოტბარის თორნიკე სხიერელის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით. ანსამბლში გაერთიანდა თბილისში მცხოვრები, წარმოშობით რაჭველი 16 ქალ-ვაჟი. *ძირიანმა* იმთავითვე მიზნად დაისახა ტრადიციული რაჭული სიმღერების, სიმღერა-ფერხულებისა და საცეკვაო სიმღერა-დასაკრავების შესრულება ავთენტიკურ პირველწყაროსთან მიახლოებული ფორმითა და მანერით.

ანსამბლის რეპერტუარის ძირითადი მასაზრდოებელი რაჭის საექსპედიციო ჩანაწერებია – როგორც ძველი, საარქივო, ასევე თავად თორნიკე სხიერელის მიერ მოპოვებული. მათ უკვე 30-მდე მივიწყებული რაჭული სიმღერა აღადგინეს, აქედან შვიდი – საფერხულო. განსაკუთრებულია ტრადიციული საკრავებისა და საკრავიერი მუსიკის ადგილი ანსამბლის რეპერტუარში: *ძირიანმა* გააცოცხლა რაჭული *ჭიანური*, *დაირა*, უკრავენ *გარმონსა* და *ბუზიკაზეც* (პატარა გარმონი). მომღერლები, განსაკუთრებით, ანსამბლის ხელმძღვანელი იმპროვიზაციის იშვიათი უნარით გამოირჩევა, რაც მათ შესრულებას უშუალობით აღბეჭდავს და განასხვავებს სხვა ქალაქური ანსამბლების უმრავლესობისაგან.

*ძირიანი* აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა ფოლკლორულ თუ საქველმოქმედო კონცერტსა და ფესტივალში.

## DZIRIANI
TBILISI, GEORGIA

Folk ensemble *Dziriani* was created in 2011, on the initiative and under the direction of Tornike Skhiereli – a young song-master. *Dziriani* consists of 16 young women and men of Rachan origin from Tbilisi. The Ensemble aims to perform traditional Rachan songs, round-dances and round-dance songs in the form and manner approximated to the source.

The repertoire includes the examples from field expedition recordings in Racha, both old archival, and newly documented by Tornike Skhiereli himself. *Dziriani* has already revived about 30 forgotten Rachan songs including 7 round-dance examples. Traditional musical instruments and instrumental music occupy particular place in the repertoire. *Dziriani* has revived Rachan *chianuri,daira,* they also play the *garmoni* and *buzika* (a small *garmoni*). The members of the collevtive, particularly the director have rare talant of improvisation, which distinguishes their performance from that of most urban ensembles.

*Dziriani* takes active part in various folk festivals and charity concerts.

სიმპოზიუმის ორგანიზატორები მხარდაჭერისა და ხელშეწყობისათვის მადლობას უხდიან:

საქართველოს პრეზიდენტს
საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს
საზოგადოებრივ მაუწყებელს
საპატრიარქოს ტელევიზია *ერთსულოვნებას*
საზოგადოებრივი რადიოს I არხს
ჟურნალ *მუსიკას*
სტუდია *მრავალჟამიერს*

**THE SYMPOSIUM ORGANIZERS ARE MOST GRATEFUL TO:**

**PREZIDENT OF GEORGIA**
**MINISTRY OF CULTURE AND MONUMENTS PROTECTION OF GEORGIA**
**GEORGIAN PUBLIC BROAD CASTER**
**PATRIARCHY TELEVISION *ERTSULOVNEBA***
**PUBLIC RADIO CHANEL I**
**JOURNAL *MUSIKA***
**STUDIO *MRAVALJAMIER***

**სიმპოზიუმი ტარდება თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში**

**გრიბოედოვის 8/10, თბილისი, 0108, საქართველო**

**ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრი**

ტელ.: (+995 322) 299 89 53
ფაქსი: (+995 322) 298 71 87
ვებ-გვერდი: www.polyphony.ge
ელ-ფოსტა: polyphony@conservatoire.edu.ge

**THE SYMPOSIUM IS HELD AT THE V. SARAJISHVILI TBILISI STATE CONSERVATOIRE**

**8/10, GRIBOEDOV STR., TBILISI, 0108, GEORGIA**

**THE INTERNATIONAL RESEARCH CENTER FOR TRADITIONAL POLYPHONY**

**TELEPHONE (+995 322) 2 99 89 53**
**FAX: (+995 322) 2 98 71 87**
**VEB-SITE: www.polyphony.ge**
**E-MAIL: polyphony@conservatoire.edu.ge**

რედაქტორი **რუსუდან წურწუმია**
შემდგენელი **თეონა ლომსაძე**
მთარგმნელი **მაია კაჭკაჭიშვილი**
მხატვარი **ნიკა სებისკვერაძე**
კომპიუტერული უზრუნველყოფა **ნინო რაზმაძე**

Editor **RUSUDAN TSURTSUMIA**
Compiler **TEONA LOMSADZE**
Translator **MAIA KACHKACHISHVILI**
Design **NIKA SEBISKVERADZE**
Computer Service **NINO RAZMADZE**